

საქართველოს ეკლესია



2022 წელი, №1. წინდა ილია მართლის სახელობის სალიბერატორო ჟურნალი

თანამედროვეობის დიდი მამები



ისტორია



ქადაგება ეროვნება

ლიტურატურული
ნობელი: პოეზია,
პროზა,
თარგმანები

ემენდირება





საქართველოს


ქოაქე

ზვიდა ილია მართლის სახელობის
სალიტერატურო ჟურნალი

გამოცემის 1996 წლიდან

გამოცემის 26-ე წელი

2022



**წმიდაო ილია მართალო,
ევედრა ღმერთსა ჩვენთვის!**

ISSN 2720-8435

საქართველოს

მოამბე

№ 1
2022

ფიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის)

სახელობის სალიტერატურო ჟურნალი

გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მიჰსცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მიჰსცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი.

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მიჰსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“

შინაარსი

მრწამსი 5

ფ. ილია მართალი

ღმერთი ქრისტიანობისა შურისმაძიებელი ღმერთი არ არის 6

ყალბი და ნამდვილი 8

კატრიარქი

ქადაგება მარიაშობის ღვთისმშობლისა (2001 წლის 28 აგვისტო) 11

თანამედროვეობის დიდი მამები

უფიდასი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-კატრიარქი მელქისედეკ III 13

მოკლვარება

ფ. მღვდელმთავარი ბაბრიელი (ქიქოძე)

სიტყვა ღვთისა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა მიძინებისასა 20

მოდვრება თქმული ქუთაისის, ღვთისა სამწყსოსა შინა შესვლისასა, ჩვე წელსა, სექტემბ. იბ-სა 22

სიტყვა მეორესა კვირიაკესა ზედა დიდისა მარხვისასა 24

მეცნიერება

ცირა ინჰპირველი –

„ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის შესახებ 27

ლი –

არსებობს თუ არა „ნორმალურობის კრიტერიუმები“ 38

სიმონ ჯაფარიძე –

ტოპონიმთა არქაული საფუძვლები

„გულგულა“ 41

ლიტერატურული ნობათი

პოეზია

თამარ შაიშველაშვილი –

დედაო ჩემო 46

ილიას სახლი საგურამოში 46

ილია ჭავჭავაძეს 46

ზურაბ ბორბილაძე –

აბოს ფერფლი 47

დემკანოზი ილია ჩიკვაძე –

ფრაგმენტი ლირიკული პოეზიდან „ფოლიანტები“ 48

წმინდა მოძღვარი (დემკანოზ დიმიტრი აბაიშვილის ხსოვნას) 50

ქეთევან დოლიძე –

ცრემლების ბარათები 51

იოანე ნათლისმცემელს 51

გადარჩები 51

თარგმანი

ფრანგული პოეზია

არტურ რემბო, პოლ ვერლენი, შარლ ბოდლერი, ვიკტორ ჰიუგო, პიერ დე რონსარი

– (თარგმნა მერაბ მიქელაძემ) 52

პროზა

ჯიბო ჯიმერი –

მაგარი პურის ჭამა (ნამღვილი ამბავი) 57

სათუნა პატაშური –

ნაწყვეტები მთიულური დღიურიდან 59

ამაგლარი

იკოლიტე ვართავაძე 62



რედაქტორ-გამომცემელი: დემკანოზი ილია (ჩიკვაძე)
პასუხისმგებელი რედაქტორი: ბრიგოლ (ბონა) სოზიაშვილი

წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი
„საქართველოს მოამბე“

ა
მ
ს
ი



მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს-ზე და ივნო, და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იციემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.


ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით.


და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

წმინდა ილია მართალი



ღმერთი ქრისტიანობისა უზრისმაძიებელი ღმერთი არ არის

ტფილისი, 9 ივლისი, 1887 წელი.



ჩვენს გაზეთში ზედიზედ მოწერილი ამბავია დაბეჭდილი: ერთი სოფელ კვათანიდამ და მეორე ლანჩხუთიდან, ორივე ეს სხვადასხვა ადგილიდან მოწვდილი ამბავი ერთსა და იმავე მიზეზს იძლევა, კაცი დაუკვირდეს ერთგვარს მოვლენას, რომელიც, ჩვენში რომ ესთქვათ, „არ ახალია, ძველია“ და მით, რასაკვირველია, არანაკლებ საყურადღებოა და ათასჯერ სათქმელი და სამოდვრებელი.

ამ წერილების დამწერნი გულმართლად მოგვითხრობენ თუ რა, ზედმოქმედება იქონია სოფლელებზედ ოთხის ივლისის მიწისძვრამა.

რა თქმა უნდა, რომ ეს ბუნებური მოვლენა, არაერთხელ ყოფილა ჩვენში თუ სხვაგან, ხალხმა ჯერ ყველაზედ უწინარეს ღვთის წყრომას მიაწერა, ცოდვათა გახშირების გამო მოვლინებულსა და ყველაზედ უწინარეს იგი ღონე იღონა, რომ წყრომა ღვთისა წყალობად გარდიქციოს და ღმერთი მოწყალების თვალთაგანად მოახედოს.

ამისათვის აიღეს და სოფლის განაჩენით დაადგინეს, რომ კვირაში ერთი დღე პარასკევი შესწირონ ღმერთსა და სამუდამოდ იგი დღე იუქმონ.

ცხენი როცა დაფრთხება ხოლმე, მიზეზი ის არის, რომ ნათლად ვერ არჩევს საგანსა. ამისი წამალი მარტო ის არის, რომ ცხენს ძალად მიიყვანენ ხოლმე საფრთხობელ საგანთან, თვალთაგან დაანახებენ და ერთხელ და ორჯელ ამნაირად ნაწურთნი ცხენი თუ ფრთხობას ერთობ არ დაიშლის, იმ ნაჩვენებ საგანზედ მაინც აღარ დაფრთხება ხოლმე. ადამიანი, რასაკვირველია, ცხენი არ არის. არც მიწისძვრას იმისთანა საგანი, რომ კაცმა ან ხელი შეახოს, ან თვალი მოჰკიდოს. მიწისძვრის მომავლინებელნი ძალნი ადამიანის თვალთაგან მიუწვდომელ სფერაში მოქმედობენ და რადგანაც ამის გამო მიზეზი ნათლად და თვალსაჩინოდ გამოურკვეველია, უცოდინარი ხალხი უფრთხის და ჰშიშობს.

ეს ამბავი განა მარტო ჩვენშია: ყველგან არის და ყველგან ასევე ჰშიშობენ და ფრთხიან ამგვარ ხორცის თვალთაგან მიფარებულ ამბავზედ.

მაგრამ კაცთა საბედნიეროდ, ღმერთს ადამიანისათვის ხორცის თვალთა გარდა მიუნიჭების გონების თვალთა და თუ ეს თვალი კაცს კარგად უჭრის, ქვეყანაზედ არა დაემალება რა და ყველა მოვლენას ქვეყნისას ასეთს თუ ისეთს მიზეზს მოუპოვებს. თუ ეს მიზეზი ყოველთვის მართალი და უტყუარი არ არის, იმოდენად მაინც საღი და ჭკუას ახლოა ხოლმე, რომ კაცი ტყუილუბრალოდ არ გადაეგება, არ იხარჯება, არ იბნევა და არა ბრკოლდება თვის ყოველდღიურ ცხოვრების მსვლელობაში და არ ეძლევა ტყუილს სასოწარკვეთილებას, რო-

მელიც ყველა მანებზედ მანება, რადგანაც ადამიანს გულზედ ხელებს აკრებიან და მცონარედა ჰხდის.

სწორედ ამ დღეში ჩაცვივრულან კვათანელნი და ლანჩხუთელნი და ამ დღეშივე ცვივიან ბევრგან სხვაგანაც იმისთანა ბუნებურ მოვლენის გამო, რომელსაც აუხილველი თვალი გონებისა ვერა სწვდება დასანახავად.

რამ უნდა აუხილოს ეს გონების თვალი?

მარტო სწავლა-განათლებამ და სხვა არაფერმა. აი, ძველის-ძველი სახსარი, რომელიც ყოველთვის ახლად სამოდვრელია ამ ურჩის და ბნელში მთარულ წუთისოფლისათვის.

ხორცის თვალს ბევრი არა შეუძლიან რა ქვეყნის საბედნიეროდ, თუ თან არ შესწევს ყოველად შემძლებელი გონების თვალი, რომელსაც ცაში ვარსკვლავი არ გამოეპარება და ზღვის ძირში ქვიშა, რომლისათვისაც არც იმოდენა მანძილია ქვეყნიერობაზედ, რომ არ მისწვდეს და არც სიღრმეა, რომ არ ჩაიხედოს, არც იმისთანა საიდუმლოა, რომ ჭკვისაგან შესაწყნარებელი მიზეზი მაინც არ მოუპოვოს ასე თუ ისე.

მართალია, მიწისძვრას დიდი უბედურობა მოსდევს ხოლმე. ჩვენი აწ წარმავალი საუკუნე, როგორც წინა საუკუნეებიც, არაერთხელ ყოფილა მოწმად, რომ ძვრას მიწა გაურღვევია და თან ჩაუტანია ქალაქები და სოფლები, მაგრამ აქ ღვთის წყრომა არაფერს შუაშია. ყოველად მოწყალე ღმერთი თვის დანაბადს ქვეყანას თვითვე არ დააქცევს. ღმერთი ქრისტიანობისა შურისმაძიებელი ღმერთი არ არის; იგი კაცთმოყვარეა და ამის დასამტკიცებლად ძე თვისი საყვარელი გამოგზავნა ქვეყნად ქვეყნის სახსნელად და მან ძემან ღვთისაგან განტეხა ხორცი თვისი და დაანთხია სისხლი თვისი მისატევებლად ცოდვათა.

თუნდ რომ მიწისძვრა ღვთის წყრომად ვიგულისხმეთ და არა ბუნებურ მოვლენად, როგორც ნიაღვარის მოვარდნა, სეტყვა, მეხი და სხვა ამისთანა, მაინც რა წამალია უქმობა, რომელიც ზემოხსენებულ სოფლებს სასოფლო გა-

ნაჩენით დაუდგენიათ? უქმობაა დედა ყოველის ბოროტისაო, განა იმავე ღმერთმა არ ბძანა?

მაშ ღვთის წყალობის მოსაპოვებლად რა სახსარია იგი ღონე, რომელიც ყოველის ბოროტის დედად აგრე სამართლიანად წოდებულია?

ღმერთს მშრომელი, გამრჯელი კაცი უყვარს, იმიტომ, რომ მისგანვე არის ნაბძანები: „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენით“.

მცონარეობა, უქმად ყოფნა სძულს ღმერთსა, იმიტომ, რომ ბოროტისა და ცოდვისათვის ხელგამომავალი და მოცლილი მარტო მცონარე და უქმი კაცია.

იესო ქრისტემ თვისის იგავით მცონარეობას ანდერძი აუგო და თვისი სამართლიანი მსჯავრი დასდო. ვის არ ახსოვს იგი იგავი, რომელიც მოგვითხრობს, რომ ბატონმა მონას ტალანტი მისცა სასარგებლოდ და იმის მაგიერ რომ ასარგებლოს, მონამ აიღო და მიწაში ჩაჰფალა, არ დამეკარგოსო. ვის არ ახსოვს როგორ განჰკითხა იესო ქრისტემ ამისთანა მცონარე?

ამიტომაც მეტისმეტ შეცლომად მიგვაჩნია კვათანელებისა და ლანჩხუთელებისაგან კვირაში ერთი დღის უქმად დადება.

ეგ უმიზეზო უქმობა რისხვას და არა მოწყალეობას მოიპოვებს იმისაგან, ვინც შრომა და გარჯა პატივსადებ მოქმედებად გვიანდერძა. ღმერთს უქმობით ვერავინ აამებს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ კეთილი საქმე, რომელიც წარმოსდგება ხოლმე პატიოსნებისა, ნაშუსისა, გულმართლად ცხოვრებისა და კაცთმოყვარეობისაგან. ყველა ეს მაცხოვარნი გრძნობანი შეიღნი არიან მარტო ჭეშმარიტის სწავლა-განათლებისა. ამიტომაც უფრო მართლად გამოსადეგი იქნებოდა, უფრო საამური ღვთისა და კაცისათვის, რომ კვათანელებმა და ლანჩხუთელებმა ის ერთი დღე კვირაში უქმად არ ატარონ, არამედ ისაქმონ და იმ ერთის დღის ნამოქმედარი ჭირნახული შესწირონ თვისი შვილების სწავლა-განათლების საქმეს და ამ შესაწირავით საკუთარი სკოლა გამართონ, როცა ამისათვის საჭირო ფული მოუგროვებათ.

ყალბი და ნამდვილი

I

ტფილისი, 17 ოქტომბერი, 1887 წ.

ლოლიკა თითქო ბაჟს რასმე ემალებაო, სა-
დღაც გაექცა, სადღაც დაეკარგა ადამიანსა.

ღრმად დაკვირვება არ არის საჭირო, კაცმა
დაინახოს, რომ ადამიანის ჭკუას რაღაც გაუტყდა,
ბუნებური მართულები მოეშალა, რაღაც სალტე
ან მოჭშვებია, ანუ უფრო მეტად წასჭერია,
რაღაც სოლი ამოვარდნია და ძირით თხემამდე
თავი და ბოლო დაჰბნევიან. კაცს ეხლანდელ
ღროში ვერა გაუგია რა, ვერა გამოურკვევია-
რა. ხედვით ერთსა ჰხედავს, სმენით სულ სხვა
ესმის. არის ერთი არეულობა.

იპარვენ პატიოსნების სახელითა და არა-
ვინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად
მპარაობა?

აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულმტ-
კივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხუ-
ლობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულმტ-
კივნეულობა?

ღალატობენ საქმეს, ჰღალატობენ ერთმანეთსა
ერთგულობის სახელითა და არავინ ჰკითხუ-
ლობს: სად ღალატი და სად ერთგულობა?

სხვის ნაკლს, სხვის უბედურობას თვის
ღირსებად, თვის ბედნიერებად, თვის სიხარუ-
ლად სთვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა
და არავინ ჰკითხულობს: სად სხვის ნაკლის
და უბედურობის გამო სიხარული და ცეკვა და
სად კაცთმოყვარეობა?

სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა
და არავინ ჰკითხულობს: სად ტყუილი და სად
სიმართლე?

კაცს სამარცხვინო ბოძხედ ტყუილ-
უბრალოდ გასაკრავად არა ჰზოგვენ, არ ჰთაკი-
ლობენ, და იძახიან-კი, — ადამიანის ღირსება,
ადამიანობა ხელშეუხებელია, სათაყვანებელიაო,
და გამკითხავი არავინ არის: სად ტყუილუ-
ბრალოდ ადამიანის თავზე ლაფის დასხმა და
სად ხელშეუხებლობა ადამიანის ღირსებისა?

ათასს ამისთანას ჩამოგიტოვლით, საცა თქმა
საქმეს არ ებმის და საქმე თქმას არ ემსგავსება,
არ ეთანხმება. ყველაფერი ეს ცარიელის სახ-
ელით გადის და სახრავს-კი არავინ დაგიდევთ.



ფიცი სწამთ და ბოლო კი არავის აკვირვებს, თქმა ერთია და ქმნა სხვა.

ნუთუ ამას არ ეთქმის, რომ ლოლიკა დაკარგულია, ხელილამ წასულია, სადაც ბარდებში განაბული?..

ეს ყოფა და ამბავი დიდი ჭირია. ამ ჭირს კაცთა კერძო ცხოვრების ერთმანერთობაში ადამიანი კიდევ როგორც იქმნებოდა, ვაითა და ვაგლახით აიტანდა, გაუძღვებოდა.

ვიდრე ქვეყანაზე კაცია, ბოროტიც არის, და ბოროტი ხომ იმითია მარტო სულდგმული, რომ თქმა ერთი აქვს და ქმნა სხვა...

სულ სხვაა და დიდი და მეტისმეტი უბედურებაა, როცა ეს ბოროტი, ეს ჭირი გზას გაიხსნის, მოედანს მოიპოვებს იქ, სადაც თქმა და ქმნა ერთი უნდა იყოს, სადაც ჭეშმარიტება უნდა ჭეშმარიტობდეს, მართალი ჰმართლობდეს, კეთილი ჰკეთილობდეს და პატიოსნება ჰპატიოსნებდეს, სადაც ხმა ერისაა და მამასადამე, ღვთისაცა. ამისთანა «წმიდა წმიდათა» ლიტერატურაა, საცა ჭკვათამყოფელი, უკეთესი, თავანკარა ნაწილი ერისა უნდა მეტყველებდეს აშკარად, უფერმარილოდ, უტყუილოდ და უხვანჯოდ. ლიტერატურას სხვათა შორის ერთი შვილი ჰყავს, რომელიც დღეს ყველა სხვა შვილებზე უფრო გაძლიერებულია, უფრო გავლენიანია.

ამ შვილს „ჟურნალ-გაზეთობას“ ეძახიან. ამ ჟურნალ-გაზეთობაზე, რომელიც სხვა არა არის-რა გარდა ყოველ-დღიურის სარკისა, ერი აჭდევეს ხოლმე თავის აკარგიანობასა დღითიდღემდე. აი, სავაგლახო ის არის, როცა ზემოხსენებული ჭირი აქ, ამ ჟურნალგაზეთობაშიაც დაიბუდება, როცა აქ თქმა და ქმნა ერთმანერთის განუყრელნი და-ძმანი არ არიან. მაგრამ რა თქმა და რა ქმნა! დღევანდელ ჟურნალგაზეთობას სხვა რა სჭირს კარგი, რომ ეგა სჭირდეს და თქმასა და ქმნას ერთმანერთს არ ამორებდეს და ერთმანერთს არ უპირისპირებდეს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემადრწუნებელი ზნე, რომ დღეს ჟურნალ-გაზეთობაში არ დაბადებულიყოს, ოღონდ, ავად თუ კარგად, ჟურნალ-გაზეთობასთან მოსათავსებელი იყოს და ასე თუ ისე მოსახმარებელი.

გამოცინცვლა რისამე გნებავთ ვისგანმე, იპოვით იმისთანა ჟურნალ-გაზეთს, რომელიც მზაა სამსახურისთვის. სახელის გატეხა გინდათ

ვისიმე, რამ სიგძეთაც გნებავთ დაგრიხეთ ბაწარი ჭორებისა და იპოვით იმისთანა ჟურნალ-გაზეთს, რომელიც სინარულით დაგითმობთ ადგილსა და თავს მოიწონებს კიდევ ლიბერალობითა. მაშ... ყველას ჰპენტავს და სწეწავს, – ლიბერალობა არ არის, მა რა ეშმაკია!... ჯავრის ამოყრა გინდათ ვისიმე, შესთხზეთ ერთი სამარცხვინო ამბავი თქვენს გამჯავრებელზედ, მოაყარეთ პილპილი ცილისწამებისა, მარილი ლაზათიანის გინებისა და გათავებულია საქმე. არიან იმისთანა გაზეთები, რომელნიც არამცთუ ხელაღპყრობით მიგიღებენ, როცა მიუტანთ ამისთანა განძსა დასაბეჭდად, არამედ თვით მოგნახავენ და თავს შემოგველებიან, ოღონდ ხელიდან არ წაუვიდეთ თქვენ მიერ შეთითხნილი ლანძღვა-გინება.

ჭირთა-ჭირი ეს არის, რომ აღარც მკითხველებსა აქვთ ხალისი და კბილ უკეთესის

კითხვისათვის. შეაჩვიეს ყური ამისთანა უწმაწურს ქარაფშუტობას და ცუღლუტობას...

ძნელია, როცა სახელმძღვანელო დედააზრებს ფეხქვეშედად მიწა გამოეცლება; ძნელია, როცა თქმასა და ქმნას შუა ხიდი ჩატყდება. აი მაგალითი ამისთანა ყოფისა, რომელმაც გამოიწვია ეს ჩვენი საუბარი და რომელიც ერთი მრავალთაგანია.

კითხულობთ ჟურნალ-გაზეთებს და გიკვირთ, – რაზედ შემოსწყრომია მწერლობა ლოლიკასაო? სად მიჰმალვია სახელმძღვანელო დედააზრი, რომ ესე არახუნებს უთავბოლოდ? აი, რაშია საქმე...

ეხლაც არ დაგვეთანხმებით, რომ ლოლიკა საძებნელი და საპოვნელი გაუხდა ადამიანსა ცალკედ და მწერლობასა საერთოდ! აბა, ეხლა იანგარიშეთ, რამდენი ამისთანა გაზეთია, რომელიც დედა-აზრობით ერთს გვეფიცება და საქმით კი სულ სხვასა საქმობს. არ შეიძლება, რომ ჩვენ თვითონ არ ვაქეზებდეთ ამისთანა მიმართულებას, თორემ დღეს-აქამომდე ამისთანა მწერლობას სული ათჯერ ამოეხუთებოდა, რადგანაც, როგორც ჭირიანს, შემოეფანტებოდნენ მკითხველები და მკითხველები იძლევიან მას, რითაც მწერლობაც ავად თუ კარგად იკვებება და სულდგმულობს. რაკი ესეა, ბოროტიც ამ მხრით არის გაძლიერებული და ამამია დღის სავალალოც.

II

ტფილისი, 19 ოქტომბერი, 1887 წ.

კვირანდელს ნომერში ჩვენმა მეთაურმა წერილმა შეჰნიშნა, რომ დღევანდელს დღეს ლოლიკა სადღაც გაჰქცევია და ადამიანის ჭკუა-გონებას ღერძი გასტეხიაო. ამან ისე აშკარად არსად არ იჩინა თავი, როგორც მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეობის სარბიელზედ. თუ თვალი გიდევნებიათ, შეუძლებელია არ შეგენიშნოთ იმისთანა მწერალნი, პუბლიცისტები, საზოგადოდ მოსაქმენი და მოღვაწენი, რომელნიც რასაც შინ თვითონ სდევნიან და ჯვარს აცმენ, იმის ნათალს დევნულობასაც-კი სხვა ქვეყანაში მომაკვდინებელ ცოდვად სთვლიან და არის ერთი ჭექა და ქუხილი იმ ქვეყნის მტარვალობასა და ბარბაროსობაზედ. გამოდის, რომ შესაძლოა, ერთს ქვეყანაში ორჯელ ორი ხუთი იყოს, თუ ეხეირება, რასაკვირველია, და სხვაგან-კი მომაკვდინებელი ცოდვა იქნება, თუ ორჯელ ორი ოთხად არ არის მიღებული. ამისი მაგალითები ათასია და უჩვენოდაც გონების თვალწინ გაიტარებს მკითხველი, თუ კი არ დაიზარა...

მეცხრამეტე საუკუნემ, რომელმაც ასეთი ძლევამოსილობა გამოიჩინა ყველაფერში, რომელმაც მანძილი და დრო დაიმორჩილა, ზღვა ყურმოჭრილ ყმად გაიხადა, უზარმაზარი მთები გასჭრა და გაარღვია, ცა და დედამიწა ხელის გულზედ გადიშალა, ამ მეცხრამეტე საუკუნემ ვერა უხერხა-რა, რომ ბუნებით მონიჭებული

ლოლიკა საზოგადოდ მოღვაწე კაცს შერჩენოდა.

ეს, რასაკვირველია, მარტო იმ ცალკე კაცებზედ ითქმის, ვისაც ბედმა არგუნა თავის ასე თუ ისე გამოჩენა საზოგადო სარბიელზედ. უფრო ის ერთნი პოლიტიკოსები და მწერალნი არიან ამაში დამნაშავენი. ხოლო, ამათ წინააღმდეგი არის ერთი არსება, რომელსაც ერს ეძახიან და რომლის სიღრმეშიაც, როგორც ზღვის ძირში მარგალიტი, თავს ინახავს ლოლიკა და, მაშასადამე, მართალიცა. საცა ეგ ერი თვალახილებულია, იქ დიდი მანძილი, დიდი საგზალი არა აქვს ულოლიკოდ რახუნსა და უდედააზრო საქმესა. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს იგივე ინგლისის ერი, რომელიც ჰომენისთანა კაცებსა იმისთანა მხნე მეომარს მიუსევს ხოლმე, როგორიც სახელოვანი გლადსტონია...


ტყუილს მოკლე ფეხები აქვს; იმას, რომ რაც გინდ ოსტატურად ამრუდო სასწორი ჭეშმარიტებისა, ადრე იქნება თუ გვიან, გამრუდებულს სასწორს თავის ლარზედ დააყენებს ლოლიკა ერისა. იგი აღტაცებით და დიდის პატივით მიეგება გლადსტონს და მით მხარიღლივ წუნი დასდო ჰომენისთანა კაცებსა. ნათქვამია: ჭკუა რომ დაიკარგოს, მთაში მონახეო. არა, ჭკუა რომ დაიკარგოს, ხალხში უნდა მონახოთ.

სულიერს განძს კაცობრიობისას აქა აქვს თავისი სალარო და ლოლიკაც – ეს უკეთესი ნიჭი ადამიანისა, – აქა ჰპოულობს თავის სადგურსა.

დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1887 წელი, 17, 19 ოქტომბერი.



ჰ ა ტ ი რ ი ა რ ძ ი



უწმიდესისა და უნეტაჲესის, სიუციად საქაჩთველოს
ჯათოღიჯოს-ჰატაჩიჲის

მცხეთა-თბილისის მთავაჩუჰისჯოჰოსის,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის
იღია II - ის

ქადაგება მახიამობის ღვესასნაუღზე

სიონის საკათედრო ტაძარი, 28 აგვისტო, 2001 წ.

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!
ჩვენთან არს ღმერთი!

ღმერთმა ინებოს თქვენი და საქართველოს მშვიდობა და სიცოცხლე!

ყველას გილოცავთ ღიდებულ ღღესას-
წაულს – მარიამობას! ღღეს სიონობაა, სიონის
ტაძრის ღღესასწაული. იგი საქართველოს
ღღა ეკლესიაა. როცა გადაწყდა, რომ აქ
ქალაქი თბილისი უნდა გაშენებულიყო, იმ
ღღოსვე იქნა ჩაფიქრებული სიონის ტაძრის
მშენებლობაც.

ღღეს ვღღესასწაულობთ ყოვლადწმიდა
ღღთისმშობლის მიძინებას. თითქოს მწუხარ-
ენი უნდა ვიყოთ, რაღგან ამ ღღეს მიიცვალა

ღღთისმშობელი ღღა, მაგრამ მორწმუნე
აღამიანის გული სავსეა სიხარულით, რამეთუ
მიძინებამღე ყოვლადწმიდა ღღთისმშობელმა
გაიმეორა სწორედ ის სიტყვები, რომელიც
უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თქვა ამალ-
ლების წინ: „მე თქვენთანა ვარ ვიდრე აღ-
სასრულამღე სოფლისა, ამინ“. ყოვლადწმიდა
ღღთისმშობელმაც ასევე აღგვითქვა.

ღა მართლაც, ჩვენ ყოვლღღიურ ცხოვრე-
ბაში ვგრძნობთ ღა ვხეღავთ სასწაულს ყოვ-

ლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობისა. იმდენად დიდია წყალობა უფლისა საქართველოსა ზედა, რომ იგი გახდა წილხვედრი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ერს, ანუ ადამიანს ეძლევა დიდი მადლი, დიდი ნიჭი ღვთისაგან, ბევრიც მოეთხოვება. ამიტომ, ჩვენს ხალხზე მოიწევა ხოლმე სასჯელი უფლისა, რომელიც სიყვარულით არის მოვლენილი და იგი ჩვენი ჭეშმარიტების გზაზე დაყენების სურვილს შეიცავს. სამწუხაროდ, ასეთი წვრთნა ხშირად გვჭირდება. მაგალითისთვის გავიხსენოთ ჩვენი წარსული, თუნდაც სულ რამდენიმე ათეული წლის წინანდელი. საშინელი განსაცდელი მოგვივლინა უფალმა მაშინ, დაცარიელდა ეკლესია-მონასტრები, სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვა-ლოცვას კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად სულ 10-15 ადამიანი თუ ესწრებოდა. კიდევ უარესი უბედურებაც დაგვატყდა თავს. ქართველი ადამიანი საკუთარი ხელით შეეხო წინაპრების მიერ აგებულ ტაძრებსა და მონასტრებს. აღრე უცხოეთიდან მოსული მტრები ანგრევდნენ ჩვენი სულიერების კერებს იმიტომ, რომ ხელავდნენ, მასში იყო ქართველი ერის ძალა, ამით იყო ძლიერი და მთლიანი საქართველო. ჩვენ კი ჩვენი მტრის საქმე ჩვენივე ხელით გავაკეთეთ. ღმერთმა შეგვიწოდოს და გვაპატიოს ეს უდიდესი ცოდვა შეიძლება ვთქვათ, მე ხომ არ ჩამიდენია ეს საშინელი ბოროტებაო, მაგრამ ცოდვა, ისევე როგორც მადლი, შვილებზე და შვილთაშვილებზე გადადის და ამიტომაც ჩვენც მოგვეკითხება იგი. შევთხოვოთ უფალს, რომ გვაპატიოს ის უმეცრება, ის უგუნურება, რაც ჩვენ და ჩვენმა წინაპრებმა ჩავიდინეთ.

მარიამობას, ამ განსაკუთრებულ დღეს, კიდევ ერთხელ მინდა გავიაზროთ, თუ რას ნიშნავს გარდაცვალება ადამიანისა. ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი მორწმუნე,

როდესაც თავის გარდაცვალებაზე დაფიქრდება, ღვთაებრივი მადლი მოეფინება მის სულს, რაღაც განსაკუთრებული სინარული მოეკვლინება მის გონებას და ეს ხდება იმიტომ, რომ მორწმუნე, კეთილისმყოფელი ადამიანი უკვე დედამიწაზე იმ იმედით ცხოვრობს, რომ გახდება მკვიდრი ღვთის სასუფეველისა, სასუფეველი ცათა უკვე მის გულშია დავანებული. მე არაერთხელ მითქვამს თქვენთვის, რომ სასუფეველი და ჯოჯოხეთი ადამიანისთვის დედამიწაზევე იწყება. თუ ადამიანის გულში არ არის ჭეშმარიტი სარწმუნოება, არ არის სიყვარული, თუ მის გულში სიძულვილი, ბოროტება სუფევს, თუ იგი ცდილობს, რომ ღვარძლი, მტრობა თესოს ადამიანთა შორის, ჯოჯოხეთი უკვე აქ იწყება მისთვის; ხოლო თუ ადამიანის გულში ჭეშმარიტი რწმენაა და იგი სიკეთის მთესველია, სასუფეველი ცათაც მისთვის ამ ცხოვრებიდან იწყება. ბრძენ ადამიანს უთქვამს: ვინც რას აკეთებს, თავის თავს უკეთებსო. კეთილს ვიქმთ - ჩვენს თავს ვეწევით, თუ ბოროტს, ღმერთმა გვიხსნას ამისაგან, ისევე ჩვენს თავს ვაზიანებთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს. დღეს მთელი საქართველოს ეკლესია-მონასტრები სავსეა მორწმუნე მრევლით. ჩვენი ხალხი უფალს ავედრებს საქართველოს, საკუთარ თავს, თავის ოჯახს. ღმერთმა მოგვცეს ძალა, რომ მხოლოდ უნდა სიკეთე ვთესოთ (და არავითარ შემთხვევაში ბოროტება), ვილოცოთ, ვიშრომოთ და ჩვენი შრომით გავახაროთ ჩვენი ოჯახი, ახლობლები და ყოველ გაჭირვებულ ადამიანს შეძლებისდაგვარად შევეწვიოთ.


ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა დედამ გად-აგაფაროთ თავისი კალთა თქვენ და სრულიად საქართველოს.

ჩვენთან არს ღმერთი! ამინ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II



თანამედროვეობის დიდი მამები



უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III



პატრიარქი მელქისედეკ III

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III, ერისკაცობაში მიხეილ გიორგის ძე ფხალაძე, დაიბადა 1872 წლის 2 ნოემბერს სიღნაღის მაზრის სოფ. ზემო ყანდაურაში, მედავითნის ოჯახში. სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში. ამ დროს მას დაეღუპა მშობლები, გაუჭირდა როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად. მაგრამ, ფარ-ხმალი არ დაყარა. წარჩინებით დაამთავრა სასწავლებელი და 1890 წელს ჩაირიცხა სასულიერო სემი-

ნარიაში. ამ დროს სემინარიაში სწავლობდნენ მომავალი სოციალ-დემოკრატები: სილიბისტრო ჯიბლაძე, ლადო კეცხოველი და სხვა მომავალი რევოლუციონერები. ხშირი იყო დაპირისპირება სემინარიის ხელმძღვანელობასა და სტუდენტებს შორის. ახალგაზრდა მიხეილი არ ერთვება ამ პროცესში, გულმოდგინედ მეცადინეობს და სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ყაზანის სასულიერო აკადემიაში, მეგობრობს ქართველ სტუდენტებთან: ბესარიონ ხელაიასთან, სერგო გიორგაძესთან, იპოლიტე ვართაგავასთან.

1900 წელს მან დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია ლვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით და დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლად. 1902 წლის 26 იანვარს იგი გადაყვანილი იქნა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ფიზიკმათემატიკის მასწავლებლად.

1904 წლის 8 აპრილიდან სმოლენსკის გუბერნიის ქ. ბელის სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიის მასწავლებელია. 1915 წლის 15 მაისს ტიეროვოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველია.

1915 წლის 31 მაისს აკურთხეს მღვდლად.

1917 წლის ივნისში იგი ბრუნდება საქართველოში. დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდში ინახება მისი წერილი: „დიდად პატივცემულო მამაო ნიკიტა მალაქიას ძეგ, დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის, მე ისე არ მიჭირს ენა და მოსაზრება, როგორც შენ, რომ ღირსეულად გამოვთქვა მადლობა. ამიტომ, მიიღე ეს უბრალოდ გამოთქმული მადლობა. მე დიდად მადლობელი ვარ იმათი, ვინც ასე დაუინებით მეძახის სამშობლოში დაბრუნებას. მღვდელი მიხეილ ფხალაძე 1917, 31/VI“.

1917 წელს იგი დაინიშნა გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. 1918 წლის 21 ნოემბერს აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში.

1921-1922 წლებში იყო უმუშევარი და განმოსილი.

1922 წლის 5 აპრილს დაბრუნდა ეკლესიაში და დაინიშნა სიონის საპატრიარქო ტაძრის კანდელაკად.

1925 წლის თებერვალში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებით მმართველის მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ლოცვა-კურთხევით დაინიშნა ანჩისხატის ეკლესიის წინაძღვრად.

1925 წლის ოქტომბერში უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს-პატრიარქის ამბროსის ლოცვა-კურთხევით აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად მელქისედეკი.

14 ოქტომბერს, სვეტიცოვლობას იგი აკურთხეს ეპისკოპოსად და ჩააბარეს ალავერდის ეპარქია. ურთულეს პირობებში უხდებოდა მას ეპარქიაში საქმიანობა. ანტირელიგიური პროპაგანდა, სასულიერო პირების მიმართ ძალადობა, ეკლესია-მონასტრების მარცვა-რბევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ დროს ალავერდის ეპარქიაში შედიოდა თიანეთის ოლქი.

1926 წლის 13 დეკემბერს მას ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის სოფ. საყდრიონის ეკლესიის მოღარე ქიტესა ნადიბაიძე: „თქვენი მოწერილობის თანახმად, საყდრიონის ეკლესიაც გადაეცა სოფ. მელიასხევის მღვდელ ალექსი წიკლაურს, რომელმაც, ტაძარი უნდა გადაიბაროს მღვდელ თეთრადისაგან. თეთრადემ განაცხადა, უნდა თავი დაავანებო მღვდლობას, ხალხმა მითხრა, აღარ გვინდინარ, აღარაფერს არ მიგცემთ“.

ეპისკოპოსი მელქისედეკი მხარს უჭერდა უწმინდესსა და უნეტარესს ამბროსის და უპირისპირდებოდა „განახალხებისა და რეფორმების“ ჯგუფის წევრებს.

1927 წლის 17 ოქტომბრიდან იგი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველია.

1928 წლის 24 მარტიდან იწოდებოდა წილკნელად, მაგრამ, ვინაიდან ეპარქიაში თითქმის აღარ იყო დარჩენილი მოქმედი ეკლესიები, გადმოყვანილ იქნა თბილისის ფერსიცვალების მამათა მონასტრის წინამძღვრად.

1935 წლის 2 იანვარს უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით მიენიჭა მიტროპოლიტობა და კვლავ გაიზგავნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში, სადაც ყოველთვის რთული ვითარება იყო.



მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე)

1937 წლის 2 მაისს მიტროპოლიტ მელქისედეკს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატესათვის: „მორჩილებით მოვახსენებ თქვენს უწმინდესობას, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში უმღვდლოდ დარჩენილია სამი დიდი სოფელი და ახალი სასაფლაოს ეკლესია სოხუმში. თქვენს უწმინდესობას მოვახსენებ, რომ შესაფერისი კანდიდატების უყოლობის გამო ახალი მღვდლის კურთხევა შეუძლებელი გახდა. ამის გამო დიდ გაჭირვებას განვიცდი“. ამას დაემატა 1937 წლის 9 ოქტომბერს დეკანოზების სვიმონ გიგინეიშვილისა და ელიზბარ ანჩაბაძის დაპატიმრება. ამის შესახებ მოახსენებდა მიტროპოლიტი მელქისედეკი უწმინდესს კალისტრატეს: „გულისტკივილით მოვახსენებთ, რომ ჩემი ეპარქიის სოფლებში მღვდლები აღარ არიან. ყველანი დაატუსაღეს, დავრჩი მარტო მე ორი მღვდლით სოხუმში. ჩვენც, ვგონებ, აღდგომის შემდეგ მოგველის ლიკვიდაცია. ამასთან მოგართმევთ: 1. პირს ჩემი სამღვდლოებასთან თათბირის ოქმის.

2. სოხუმის საბჭოს თავმჯდომარის ეკლესიების გაერთიანებაზე.“ ადგილობრივი ხელისუფლება მოითხოვდა ქართული, რუსული, ბერძნული, კათოლიკური, პროტესტანტული, ებრაული რელიგიური საზოგადოებების გაერთიანებას ერთ ეკლესიაში. ამასთან დაკავშირებით მეუფე მელქისედეკი ხელისუფლების წარმომადგენლებს სწერდა: „გაერთიანება შეიძლება მხოლოდ ქართული, რუსული და ბერძნული ეკლესიების, კათოლიკური, პროტესტანტული და ებრაული მასში ვერ გაერთიანდება. მამასადაძე, ლაპარაკია ქართულ-რუსულ-ბერძნული ეკლესიების გაერთიანებაზე. აქაც საქმე თავისთავად შესრულებულია. ბერძენთა ეკლესიის მღვდელი ორი თვეა რაც დაპატიმრებულია, ბერძენები თავის რელიგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიმართავენ ქართულ ეკლესიას, სადაც ღვთისმსახურება სრულდება ქართულ-რუსულ და ბერძნულ ენებზე. ამნაირად საკითხი რჩება ქართული და რუსული ეკლესიებისა, თუ რომელი უნდა გაუქმდეს. ძნელი არ უნდა იყოს ამ საკითხის გადაწყვეტა იმ საზოგადოებრივ მოღვაწეებისათვის, რომელმაც იცის სოხუმში ქართული გაზეთის „საბჭოთა აზრების“ არსებობა, რომელიც დაკვირვებია ამ გაზეთის პრიველ ნომერს, რომლის პირველ გვერდზე არის სტალინის დიდი სურათი“.

1938 წელს მიტროპოლიტი მელქისედეკი იძულებული გახდა სოხუმიდან დაბრუნებულიყო თბილისში.

1943 წლის 1 აპრილს დაინიშნა კუკიის ეკლესიაში რიგით სასულიერო პირად. 1944 წლის 30 აპრილიდან იგი ითვლებოდა ურბნელად და იყო წინამძღვარი თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიისა. თბილისში ყოფნის დროს მის წინააღმდეგ საერო ხელისუფლებაში სისტემატიურად იგზავნებოდა ხელმოუწერელი საჩივრები. რა ბრალდებებს არ უყენებდნენ მას. ამის მიზეზი იყო უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატეს გადაწყვეტილება კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ მიტროპოლიტ მელქისედეკის გამორჩევის შესახებ.

1952 წლის 5 აპრილს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეცხრე საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი.

პარტიარქ მელქისედეკ III ურთულეს პერიოდში მოუწია მოღვაწეობა.

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მოხმადარი ცვლილებების შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვის ჯგუფმა 20-50-იანი წლების სისხლიანი რეპრესიების მთელი სიმძიმე მხოლოდ იოსებ სტალინს დააკისრა და დაემო „პიროვნების კულტი“. ნ. ხრუშჩოვის მითითებით ახალი იერიში მიიტანეს სარწმუნოებაზე, რომელიც წარსულის მავნე გადმონაშთად და საბჭოთა ხალხის კომუნიზმისაკენ სვლის შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნიეს. დაიწყო წინა წლებში რეპრესიებს გადაარჩენილი სასულიერო პირების დაპატიმრება და ეკლესიამონასტრების დახურვა როგორც რუსეთში, ასევე ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში. ნიკიტა ხრუშჩოვს მიაწერენ შემდეგ სიტყვებს: „უკანასკნელ უკრაინელ ან ქართველ მღვდელს ტელევიზიით გაჩვენებთ და ქვეყანაში მასობრივი ათეიზმი დაისადგურებსო“. იდეოლოგიური დარგის ხელმძღვანელებს პირდაპირ ევალოდებოდათ ანტირელიგიური პროპაგანდის წარმართვა. ამ ვითარებაში კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა კომიტეტის და მოკავშირე რესპუბლიკებში მათი ფილიალის რელიგიის საქმეთა რწმუნებულების უფლებები, რომლებიც უხეშად ერეოდნენ ეკლესიის შიდა საქმეებში. მათი თანხმობის გარეშე ეკლესიის მეთაურს არ შეეძლო დიაკვნის, მღვდლისა და ეპისკოპოსის კურთხევა. უფრო მეტიც, ისინი ყოველ წლიურად სასულიერო პირების დახასიათების დოკუმენტებს აგზავნიდნენ მოსკოვში. სანიმუშოდ მოვიტანთ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოსე მექვაბიშვილის მიერ პატრიარქ მელქისედეკ III დახასიათებას: „ფხალაძე მიხეილი ეროვნებით ქართველია. დაიბადა 1872 წელს კაჭრეთის რაიონის სოფელ ყანდაურაში საქართველოს სსრ, ქვრივი, დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია 1900 წელს. ხელდასხმულია ეპისკოპოსის ხარისხში 1925 წელს. 1952 წელს არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად. მელქისედეკ III პრინციპული ადამიანია. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ სამღვდელოთა შორის

არ სარგებლობს კარგი ავტორიტეტით თავისი პრინციპულობის წყალობით. 1955 წლამდე სამღვდელთა შორის მის წინააღმდეგ იყო ჯგუფი, მაგრამ მოწინააღმდეგეთაგან ნაწილი მოხსნა, ნაწილი თვითონ წავიდა. პარტიასა და მთავრობასთან მიმართებაში ლოიალურია. მოცემული დროისათვის მისი დამსახურება გამოიხატება სსრკ-ის მთავრობის მხარდაჭერაში მშვიდობის დაცვის საქმეში, იგი გამოდის სხვადასხვა კონფერენციებზე მთელს მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად. იგი განსაკუთრებით არ ცდილობს მოქმედ ეკლესიათა ქსელის გაფართოებას. მელქისედეკ III ერკვევა საერთაშორისო მოვლენათა საკითხებში. კითხულობს ყველა რესპუბლიკურ გაზეთებსა თუ ჟურნალებს. ჩემს მიმართ აქვს კარგი დამოკიდებულება. ყურს უდებს ჩემს რჩევებს. იტანჯება სმენის დაქვეითებისა და სუსტი მხედველობის გამო. იგი სხვებზე მაღლა აყენებს თავის ნაციას და ტაძრების გახსნის გადაწყვეტილებას ცდილობს, გახსნას მეტი ქართული ტაძარი და ჩემთან საუბარში გამოხატა შიში, რომ ჩვენთან მორწმუნე ქართველები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რუსები, რის გამოც საქართველოს ეკლესიამ შესაძლოა დაკარგოს ავტოკეფალია. მელქისედეკ III რეპრესირებული არ ყოფილა“.

პატრიარქ მელქისედეკ III-ის დროს ეკლესიაში შექმნილ რთულ ვითარებას კარგად ასახავს დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ევაგრე დიასამიძის მიერ 1955 წლის 6 ოქტომბერს გამოგზავნილი თხოვნა: „მორწმუნენი არიან, მაგრამ სანთელი არ იყიდება! გულმოდგინე წირვა-ლოცვებით შესაძლებელია მორწმუნეთა შემოკრება... ამჟამად რთულ მდგომარეობაში ვართ. გემუდარებით და გთხოვთ, გასცეთ მამათავრული ბრძანება თბილისის ეკლესიებიდან თანხის გადმოცემის შესახებ, რათა შევაკეთო დოდოსა და სვიმონ მესვეტის ეკლესიები“. პატრიარქ მელქისედეკს სურდა, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჰქონოდა საკუთარი ჟურნალი. ამასთან დკავშირებით მან 1953 წელს საგანგებო წერილით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს მოსე მექვაბიშვილს - პატივისცემით გთხოვთ გვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რათა მოგვცეს ნება ეკლესიური ორგანოს

გამოცემისა, სახელწოდებით „საქართველოს ეკლესიის უწყებანი“, მაგრამ რწმუნებულმა ამ მხრივ არაფერი გააკეთა საკითხის დადებითად გადასაწყვეტად. ასევე უპასუხოდ დარჩა მის მომდევნო წერილში გამოთქმული სურვილები - „პატივისცემით მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკლესიას მღვდლების კანდიდატების მომზადებისათვის სკოლა არ აქვს. ამიტომ გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ მოგვცეს ნებართვა სიონის ტაძართან გავხსნათ უვადო კურსები მღვდლების კანდიდატების მოსამზადებლად. ამასთან საჭიროა, მოგვეცეს ნებართვა, რომ ეკლესიაში კედლებზე გავაკრათ განცხადებები კურსების გახსნის შესახებ და მოვუწოდოთ მსურველებს, განუცხადონ თავიანთი სურვილი კურსების გამკეს. სწავლის საგნები იქნება: 1. საეკლესიო კითხვა-გალობა, 2. საღმრთო წერილის კითხვა, 3. ღვთისმსახურება, 4. საეკლესიო ისტორია, 5. ქადაგება, 6. საეკლესიო საქმის წარმოება. რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა კვლავ უპასუხოდ დატოვა პატრიარქის თხოვნა, ხოლო საზოგადოებაში გავრცელდა ჭორები, თითქოს ხელისუფლება პატრიარქ მელქისედეკ III-ს სთავაზობდა სასულიერო სასწავლებლის გახსნას და ჟურნალის გამოცემას, მაგრამ იგი ამის წინააღმდეგი იყო. 1957 წლის ნოემბერში პატრიარქმა მელქისედეკ III-მ ამასთან დკავშირებით საგანგებო წერილით მიმართა იმხანად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სახალხო არტისტს აკაკი ხორავას. „ბატონო აკაკი, თქვენ გაკვირვებულს გითქვამთ შოთა მანაგაძისათვის „ამბობენ, რომ პატრიარქ მელქისედეკი სასულიერო სკოლის გახსნისა და სასულიერო ჟურნალის წინააღმდეგიაო. არა ბატონო აკაკი, ამას ტყუილად ავრცელებს ჩემი და ჩვენი ეკლესიის უსინდისო მტრები. ჩემი პატრიარქობის დროს აღსდგა წირვა-ლოცვა მოწამეთაში და გადმოსვენებულ იქნა წმინდა მოწამეების დავითისა და კონსტანტინეს ნეშტები. ეკლესია აშენდა ხაშურში, ამოქმედდა ბოღბის მონასტერი, გაქართულდა სიონი - აღსდგა აქ, დიდუბეში, ქართული გალობა. მოწესრიგდა დიდუბის ეკლესიის ეზო. რაც შეეხება სკოლას და ჟურნალს, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საქმეზე ორჯელ შევიტანე განცხადება მთავრობაში, პირველად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბატონი გივი ჯავახიშვილის

სახელზე 1956 წლის აგვისტოში, მეორედ 1957 წლის მარტში. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. მჟავანაძის სახელზე, მინისტრთა საბჭოს რწმუნებულის მ. მექვაბიშვილის სახელზე, მოსკოვში რელიგიების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის კარპოვის სახელზე. პასუხს არ იძლევიან, თუ დაგვეხმარებით მადლობელი ვიქნებით“. პატრიარქ მელქისედეკ III-ს საგანგებო წერილით მიმართა მოსკოვის სასულიერო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტმა ირაკლი შიოლაშვილმა: „თქვენო უწმინდესობავ! – წერდა იგი, – აქ ჩვენს წრეში ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თითქოს დასასრულს უახლოვდებაო რადგან:

1. მთელი რიგი ეპარქიები უმოქმედოდ, მღვდელმთავრის გარეშეა და არც არსებობს სათანადო კადრი; 2. ღვთისმსახურების შესრულებისას საყდრებში მორწმუნეთა დასწრება ერთობ მცირეა; 3. საქართველოს ეკლესიას არ აქვს სემინარია, გამოცემლობა, საეკლესიო მუზეუმი, წიგნსაცავი-ბიბლიოთეკა. ასევე ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში არ იქნება დაშვებული ახლად ხელდასხმული ქართველი მღვდელმთავარი და რომ მრვდელმთავართა შრის არის ისეთიც, რომელიც მოქმედებს ქვენა გრძნობებით და არაქართველთა შორისაც ავრცელებს უბადრუკ აზრს. საქართველოს ეკლესიის ეპარქიების გამსხვილების აუცილებლობის შესახებ ზემოთმოყვანილ ძირითად საკითხების ირგვლივ თქვენს მიერ მიღებული ზომები საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან შეხვედრის ჩათვლით ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ზოგიერთი მწარე სინამდვილის გამო, უფლებას ვაძლევთ თავს ნებას, რომ თქვენი ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას:

ა) სსრ კავშირის მთავრობის სათანადო დადგენილების საფუძველზე რუსეთის, უკრაინის, სომხეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებობს სემინარია-აკადემიები. ხდება ღვთისმსახურებისათვის საჭირო ლიტერატურის გამოცემა, ხატების გამრავლება, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლება. საქართველოს ეკლესიას თუ უპირატესობა არ აქვს, გამონაკლისს მაინც არ წარმოადგენს, მხოლოდ საჭიროა, ამ იურიდიული უფლების ადგილობრივი მთავრობის მეშვეობით გამოყენება,

ე.ი. საქართველოს ხელისუფლებას არსებული წესის დაცვით მატერიალური შესაძლებლობების ფარგლებში წარედგინოს წერილობითი სახის განაცხადი საქართველოს ეკლესიის სასიცოცხლო საკითხების შესახებ და ენერგიულად იქნას მოთხოვნილი საკავშირო მთავრობის სათანადო დადგენილების შესაბამისი განკარგულებით პირველ რიგში გაფორმება: სემინარიის (არა კურსები) გახსნის, საჭირო ლიტერატურის გამოცემის, საეკლესიო მუზეუმ-წიგნსაცავის დაარსების, გელათის, წილკნის, ნიკორწმინდის, ყაზბეგის, ანანურის, გორის საყდრებში ღვთისმსახურების უფლების აღდგენა-განახლების შესახებ.

საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის მტერსა და ორგულს ჩვენ ჩვენს პირად მტრად ვთვლით, მაგრამ განუხორციელებელი განდიდების სურვილის გამო განაწყენებულნი პატრიარქის შორსმჭვრეტელი გონების თვალთ და კეთილი ნებით შეიძლება დამორჩილებული და ეკლესიის საკეთილდღეოდ გამოყენებულ იქნან.

ბ) ქართველი ერის სიამაყე, სიწმინდე და დიდება (სვეტიცხოველი) არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ უცხოელთა ყურადღებასაც იმსახურებს და ამის გამო მის წმინდა მიდამოებში თქვენი ლოცვა-კურთხევით საეკლესიო-მუზეუმ წიგნსაცავის გახსნა ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა. თქვენი მოწოდება და მოსახლეობაში გაბნეული ისტორიული თუ სიძველეთა დაცვის თვალსაზრისით ბევრი დიდმნიშვნელოვანი საეკლესიო დანიშნულების ნივთი, წიგნი, ხატი, ჯვარი და სხვა აღმოჩნდებოდა ეკლესიის საკუთრებაში ე.ი. დაცული იქნებოდა შესაძლებელი განადგურებისაგან. ჩვენ მზად ვართ ამ დიდი საქმისათვის გავილოთ პირადი ბიბლიოთეკა. სააღდგომო არდადეგებისათვის შესაძლოა ვეახლოთ თქვენს უწმინდესობასა და თქვენი მითითებითა და ლოცვა-კურთხევით არსებული წესის მიხედვით სადღესასწაულო ქადაგებებით მიემართოთ მორწმუნე საზოგადოებას. ღრმა პატივისცემით გეამბორები და გამოვითხოვ თქვენ წმინდა ლოცვა-კურთხევას“.

პატრიარქ მელქისედეკ III-ის წინაარდეგ წერილები იგზავნებოდა როგორც მოსკოვში, ასევე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. 1955 წლის 22 დეკემბერს მისმა უწმინდესობამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ

გივი ჯავახიშვილს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა „ჩემ წინააღმდეგ ცილისმწამებლურ წერილებს აგზავნის ვინმე თომა ჩიქვანია - რესპუბლიკაში ცნობილი აფერისტი... იგი აფერისტობისათვის გადასახლებული იყო საქართველოდან. მან ჩემი ლანძღვა-გინება დაიწყო 1952 წლიდან“.

1957 წელს თბილისში და რაიონებში ვრცელდებოდა ანონიმური წერილები ასეთი სათაურებითა და შინაარსით „გულშემატკივარი ეკლესიისა“. წერილის ავტორი ქართველ საზოგადოებას გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებდა, ვინაიდან, მისი აზრით, საქართველოს ეკლესიას შემდგომი არსებობისათვის საფუძველი გამოცლილი აქვს და ამაში მთავარი დამნაშავე თვით პატრიარქია... პატრიარქმა უკანონო არჩევნებით დადგენილმა დაარღვია წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის კანონი... წერილის ავტორი მკაცრად აკრიტიკებდა პატრიარქ მელქისედეკ III არქიმანდრიტ ზინობის ეპისკოპოსად კურთხევის გამო. „უწინდელ დროში, როდესაც ეკლესიას ამა თუ იმ ობიექტური პირობების გამო რაიმე წარუმატებლობა შეემთხვეოდა, მას მთელი მოწინავე ინტელიგენცია ესარჩლებოდა და ცდილობდა, გაზეთის ფურცლებზე გამოსვლით მისი ჭირ-ვარამი შეემსუბუქებინა, მოუწოდებდა რა მას მეტი ბრძოლის უნარის გამოჩენისათვის, მისი აღორძინების მიზნით. დღეს ეკლესია მოწყვეტილია სახელმწიფო ორგანიზმს. ამიტომ მისი ერთადერთი ქომაგი და პატრონი პატრიარქია. მისი ფიქრი და მეცადინეობა იქითკენაა მიმართული, რომ თავის თავს შეუქმნას უშფოთველი, დალხინებული ცხოვრება და მის შემდეგ თუნდაც მეწყერს წაეღოს ყოველივე. მისი ასეთი სულისკვეთებით აიხსნება ის არაჩვეულებრივი მოვლენები, რაც ეკლესიაში ხდება. იგი სამსახურიდან ათავისუფლებს ყველას, შეაქვს თანამშრომლებში უთანხმოება, უსიამოვნება, ადგილი აქვს უსამართლო, პირადი ჯიუტობით გამოწვეულ მოქმედებას. ყოველვე ზემოთქმული დღევანდელი მშობლიური ეკლესიის მდგომარეობა ავალებს ყველა მორწმუნეს ხმა აღიმადლოს ეკლესიის ასეთი უმწეო მდგომარეობის წინააღმდეგ, რათა მოწვეულ იქნას საეკლესიო კრება, რომელიც დასახავს ღონისძიებებს საეკლესიო ცხოვრების ნორმალიაციისა და მისი გაჯანსაღებისათვის“. წერილის ავტორი ამკარად ტენდენციურად

წარმოაჩენს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილ მდგომარეობა. საფიქრელია, პატრიარქ მელქისედეკ III-ის წინააღმდეგ წარმოებული ეს ცილისმწამებლური კამპანია ხელისუფლებისაგან იყო მართული. სინოდში განხეთქილების გაღრმავებისა და დაპირისპირებისათვის პატრიარქს არწმუნებდნენ, რომ მიტროპოლიტი ეფრემი თითქოს აქეზებდა ხალხს პატრიარქის წინააღმდეგ... პატრიარქ მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით 1957 წლის 8 ნოემბერს თბილისში გაიმართა სინოდის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: კათოლიკოს პატრიარქი მელქისედეკ III, ბათუმელ-შემოქმედელი მიტროპოლიტი ეფრემი, მარგელი ეპისკოპოსი დავითი, სტეფანოვანი ეპისკოპოსი ზინოდი, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ლეონიდე, ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი ნაომი, პროტობრესვიტერი ალექსანდრე გაბუნია, დეკანოზი ნიკოლოზ ბერეკაშვილი. სინოდმა მკაცრი შეფასება მისცა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებულ ცილისმწამებლურ კამპანიას. ეკლესიიდან განკვეთილ იქნენ: დეკანოზი მელქისედეკ ხელიძე, მთავარდიაკონი ამბროსი ახობაძე, საერო პირი თომა ჩიქვანია.

პატრიარქ მელქისედეკ III-მ საგანგებო წერილით მიმართა მთავრობა, რომელშიც გულისტკივილით აღნიშნავდა - ვრცელდება ანონიმური წერილები პატრიარქზე და საქართველოს ეკლესიაზე. ბრალს გვდებენ გაუნათლებლობაში, უზნეობაში, რაც სიმართლეს არ შეეფერება. რა რთული მდგომარეობა უნდა ყოფილიყო საქართველოს ეკლესიაში, პატრიარქი თავს იცავდა ცრუ ბრალდებებისაგან... პატრიარქ მელქისედეკის არქივში შემონახულია 1955 წლის 2 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომლითაც მან მიმართა ქუთათელ გაენათელ მიტროპოლიტ გაბრიელს (ჩაჩანიძეს): „მაღალყოვლადუსამღვდელოესო გაბრიელ გაგკურთხეთ. ამის მომტანს გოდერძი ურგებაძეს იცნობთ, რა საკვირველია, მას თქვენგან აქვს აკრძალული მღვდელმოქმედება. გთხოვთ, ახსენით აკრძალვა, ვგონებ ისეთი რამ არ ჩაუდენია, რომ სამუდამოდ აკრძალვის ქვეშ იყოს. გთხოვთ, უსათუოდ გაათავისუფლოთ. სიყვარულით კათილიკოს-პატრიარქი მელქისედეკი“. პატრიარქი მელქისედეკ III ყველანაირად ხელს უწყობდა და ეხმარებოდა გაბრიელ ურგებაძეს.


1957 წლის 16 აპრილს პატრიარქ მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში ეპისკოპოსმა ზინობმა ბერად აღკვეცა მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ირაკლი შიოლაშვილი და უწოდა სახელი ილია.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II ასე იხსენებს პატრიარქ მელქისედეკ III-სთან შეხვედრას: „მახსენდება სემინარიაში სწავლის დროს ჩემი პირველი ჩამსოვლა თბილისში, არდადეგებზე. შემიყვანეს სქართველოს კათოლიკოს პატრიარქთან, უწმინდესა და უნეტარეს მელქისედეკ III-სთან... უწმინდესისა და უნეტარესი მელქისედეკის შესახებ არსებობს მოგონებები: მან ძალიან მძიმე წლები გამოიარა.

დაამთავრა ყაზანის სასულიერო სემინარია; ცოლი ადრე გარდაეცვალა და შვილები მამის იმედად დარჩა. მათ ბინაში თურმე ისე ციოდა, თითქმის ყინავდა და ამიტომ ჯერ თავად ჩაწვებოდა ხომე ლოგინში, რომ გაეთბო იგი და მერე შვილებს აწვევდა... როდესაც მასთან ლიცვა-კურთხევაზე მიმიყვანეს, ასეთი სიტყვები მითხრა: „გახსოვდეს, ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მიანიჭებს მადლსა“ და ეს რატომღაც რუსულად მითხრა, მგონი იმითომ, რომ ეგონა, ასე უფრო კარგად გავიგებდი. იმდენად ღრმად ჩამწვდა მაშინ გულში მისი სიტყვები, დღესაც მასზე ვფიქრობ, ალბათ მან ჩემში ამპარტავნება დაინახა და ამიტომ გამაფრთხილა“.



მ თ ქ ღ ვ რ ე ზ ა



წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)

სიტყვა ღღესა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა მიძინებისასა



წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) (1825-†1896)

წმიდაო მღვდელმთავარო გაბრიელ, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის

ოღეს კაცი ვინმე გარდაიცვლება ქვეყანაზე, მაშინ ყოველნი მისნი მახლობელნი, მცნობელნი და მონათესავენი სტირიან და სწუხან; ხოლო ღღესა გარდაცვალებისასა დიდხანს იხსენებენ გლოვითა და მწუხარებითა. გარნა ჩვენ ქრისტიანენი, სიხარულითა და ღღესასწაულობითა ვიხსენებთ ღღეს მიძინებასა, ანუ მიცვალებასა ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობლისასა. რას ნიჰჰნავს ეს უჩვეულო განწესება წმიდის ეკკლესიისა? ნაცვლად ჩვეულებრივისა ტირილისა და მწუხარებისა, რისთვის გვიხარიან და ვღღესასწაულობთ ჩვენ ღღესა ყოვლადწმიდის გარდაცვალებისასა? მისთვის, რომელ მიძინება, ანუ გარდაცვალება ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობლისა არ იყო მსგავსი გარდაცვალებისა სხვათა კაცთასა. რისთვის ვსწუხვართ და ვსტირით ჩვენ, როღესაც გარდაიცვლება კაცი ვინმე? მისთვის, რომელ მოგვაკლდება მისი ხილვა, მასთან მუსაიფობა; მონათესავეთა მისთა მოაკლდება მისგან ნუგეში; რომელნი შრომითა მისითა იხრდებოდენ, მათ მოაკლდებათ საზრდო; ერთი სიტყვით, სიკვდილი ერთისა კაცისა არის დიდი მოკლება მრავალთა სხვათა კაცთათვის. გარნა არა ესრეთი იყო მიცვალება ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობლისა. მიძინებითა მისითა არა თუ მოაკლდა რაიმე მახლობელთა მისთა და სოფელსა ყოველსა, არამედ შეეძინა დიდი რამ. რანაირად? ესრეთ, რომელ ყოვლადწმიდამ ღვთის-მშობელმან, ვითარცა თქმულ-არს საღმრთოსა გალობასა შინა დღევანდელისა დღისასა, შობასა ქალწულება დაიმარხა და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევა. სოფელსა ამას შინა ცხოვრება ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობლისა იყო ესოდენ მშვიდ და დაფარულ, რომელ მას ჰხედვიდენ არა მრავალნი პირნი,



არამედ მხოლოდ რაოდენიმე მახლობელნი მისნი მიიღებდნენ მისგან გამოუთქმელსა ნუგეშსა, დიდსა და სულიერსა სარგებლობასა; გარნა ოდესაც იგი გარდავიდა ამიერ სოფლითგან და შევიდა დიდებასა შინა ძისა თვისისა და ღვთისა ჩვენისა, მაშინ იგი შეიქმნა მრთელისა ქვეყნისათვის წყარო მადლისა და კარი მოწყალებისა. ურიცხვნი შემთხვევანი, მოთხრობა ყოველთა საუკუნეთა და სრულიად ყოველთა ჭეშმარიტთა ქრისტიანეთა ცხოვრება და სასოება მოწმობენ, თუ რაოდენი მადლი და წყალობა წარმომდინარეობს ყოველთა კაცთათვის ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისაგან.

აჰა მიზეზი, რომლისათვისცა ყოველნი კაცნი სიხარულითა და დღესასწაულობითა იხსენებენ დღესა ყოვლადწმიდისა ღვთის-მშობლის მიძინებისასა.

გარნა ვინ მიიღებს უმეტესსა მოწყალებასა ყოვლად-წმიდის ღვთის-მშობელისაგან? რომლისა კარის ლოცვასა და ვედრებასა ისმენს იგი? ერთის სიტყვით, ვითარსა კაცსა შეიყვარებს და შეიწყნარებს იგი უმეტესად? მე ესრეთ ვგონებ, რომ გრძნობა სიყვარულისა და შეწყალებისა ერთ-ნაირია, ვითარცა აქ, ამ სოფელში, ეგრედვე გულსა შინა ზეცად გარდასრულთა კაცთასა. ვიცით ჩვენ, რომ ამ ქვეყანაზე სიყვარული და

მეგობრობა დაფუძვნებულ არს მზგავსებასა, თანხმობასა და ერთობასა ზედა ჭკუისა, ჰაზრისა და ხასიათისასა. ოდეს ჰხედავ მეგობრობასა და სიყვარულსა შორის ორთა კაცთასა, უწყოდე, რომ იმ ორს კაცს აქვს მზგავსება გულისა და სულისა; მზგავსად ამისა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი შეიყვარებს, მოწყალე ექმნება და მეგობარი შეიქმნება მხოლოდ მათ კაცთათვის, რომელსა აქვს, ანუ რომელნი სცდილობენ, რომ ჰქონდესთ რაოდენიმე მზგავსება, ერთობა და ზიარება მასთან; ესე იგი, იმისი ჰაზრისა, ხასიათისა, და ყოფაქცევისა. ვითარი ხასიათი და ყოფა-ქცევა ჰქონდა ყოვლადწმიდასა? ამას მოკლე სიტყვითა ვერ გამოჰხატავს ენა კაცისა. მრთელი დიდი წიგნი რომ აღავსოს კაცმა წერილითა, მაშინაც სავსებით ვერ გამოჰხატავს მისთა თვისებათა და ცხოვრებასა. მხოლოდ, ოდეს წარმოიდგენს კაცი მისსა ღვთაებრივსა სახესა, მაშინ იფიქრებს: აი როგორი უნდა იყოს ყოველი ქრისტიანული ქალი, და ვის უნდა დაემზგავსოს შეძლებისა-მებრ და მადლისა მიცემულისა მისდამი. აჰა, ვის უნდა ემზგავსებოდეს ქალწულნი! აჰა, ვის უნდა ჰხედვიდნენ დედანი!

ღმერთო! მიეც ქალწულთა მზგავსება საკვირველისა ამის ქალწულისა; შეეწიე დედათა მიბაძვად ზეციერისა ამის დედისა. ამინ.

მოძღვრება თქმული ქუთაისს, დღესა სამოციქულოსა შინა შესვლისასა, ჩჲდ წილსა, სიკბემბ. იბ-სა

ძმანო ქრისტიანენო! დღეს წაკითხულისა სახარებისაგან გესმათ თქვენ იგავი, რომელი მაცხოვარმან ჩვენმან ჰრქვა მოწაფეთა თვისთა. სასუფეველი ღვთისა, სთქვა უფალმან, ემსგავსება კაცსა, რომელმან მოუწოდა თვისთა მონათა და მისცა მათ ტალანტნი, ანუ ღიდ-ფასნი ვერცხლნი, თვითეულსა ძალისამებრ მისისა. ერთსა მათგანსა მისცა ხუთი ტალანტი, მეორესა ორი, ხოლო მესამესა ერთი და უბრძანა მათ, რათა ამუშაონ, ანუ ასარგებლონ ივინი და განამრავლონ. პირველმან მონამან ასარგებლა ხუთი თვისი ტალანტი და მოიგო სხვა ხუთი; ესრეთვე ქმნა მეორემან: ორითა მით ტალანტითა მოიგო სხვა ორი; ხოლო მესამე წარვიდა და დაჰფულა ტალანტი თვისი მიწასა შინა და მით დაღუპა იგი. შემდეგ რაოდენისამე ჟამისა მოუწოდა კაცმან მან მონათა თვისთა, აქო და განადიდა ორნი იგი მონანი, რომელთა კეთილად მოიხმარეს თვისნი ტალანტნი, ხოლო აყვედრა და მისცა სასჯელსა უხმარი იგი მონა, რომელმან არა მოიხმარა ვერცხლი თვისი.

რასა ნიშნავს, ძმანო, იგავი ესე? ნიშნავს შემდეგსა: კაცი იგი, რომელმან დაურიგა ტალანტი, არს თვით ღმერთი: მონანი, რომელთა მიიღეს ვერცხლი, ვართ ჩვენ ყოველნი ადამიანნი; ხოლო ტალანტი ნიშნავს ყოველსა ნიჭსა, ესე იგი, გონებასა, ანუ სწავლასა, სიმდიდრესა, ანუ კეთილ-შობილებასა, თანამდებობასა, ანუ პატივსა, ერთის სიტყვით ყოველსა, რასაცა ღმერთი მისცემს კაცსა. ორნი იგი მონანი, რომელთა განამრავლნეს ვერცხლნი თვისნი და მიიღეს უფლისაგან ქება და აღმატება, მოასწავებენ ქრისტეანეთა მათ, რომელნი კეთილად და სასარგებლოდ ხმარობენ ყოველთა ღვთისაგან მიმადლებულთა ნიჭთა; ხოლო უხმარი იგი მონა ნიშნავს კაცსა მას, რომელი მცონარებითა, უზრუნველობითა და ცუდის ყოფაქცევითა დაღუპავს თვისთა ნიჭთა.

აწ, ვსცანით რა მნიშვნელობა იგავისა ამის, ვეცადნეთ და გამოვიყვანოთ მისგან ჩვენთვის სწავლა და სულიერი დარიგება.

პირველად ვიტყვი ჩემზედა: განგებამან ღვთისამან დამადგინა მე მწყემს-მთავრად ძველისა ამის და ჩინებულისა სამწყსოისა. ღიდ არს ტალანტი ესე! არა ვარ ღირსი ესოდენისა ნი-



ჭისა! გარნა, ძმანო ჩემნო, ვინაიდან ღმერთმან ინება მოცემა ჩემთვის ტალანტისა ამის, მე უნდა ვასარგებლო იგი, განვამრავლო, მოვიგო სულიერი ნაყოფი, რათა წარუდგინო იგი უფალსა დღესა განკითხვისასა. ხოლო ვითარითა სახითა ძალ-მიძს ვასარგებლო ტალანტი ჩემი? მსახურება ანუ საქმე ჩემი მას შინა მდგომარეობს, რათა გასწავლიდე თქვენ, განგანმტკიცებდე და გამოვაჩენდე თქვენ შორის სულიერსა ნაყოფსა სათნოებისასა. ხოლო, ძმანო ჩემნო, თქვენ უნდა შემეწიოთ ამ საქმეში; თქვენ უნდა მიიღებდეთ ჩემგანით სწავლასა და დარიგებასა გულ-მოდგინებით და აღასრულებდეთ მათ. უკეთუ თქვენ შორის ვპოვებ სულიერსა წარმატებასა, უკეთუ თქვენ ყოველთა გიხილავ კეთილად და სათნოებით მცხოვრებთა, მაშინ მაღლობს შევსწირავ უფალსა და ვიტყვი, რომელ არა ამაოდ დაგვკარგე ტალანტი ჩემი.

აწ ვიტყვი თქვენზედა: რომელნიმე აქა მდგომარეთაგანნი არიან სამოქალაქოსა მსახურებასა შინა, ანუ ესრეთ წოდებულნი ჩინოვნიკნი. მათ მიუღიათ ღვთისაგან ტალანტი იგი, რათა ემსახურონ მართლ-მსაჯულებასა, ჰყონ სიმართლე,

განამართლონ უბრალონი, დასაჯონ სჯულის-გარდამსვლელნი, ამაყნი და მტაცებელნი. უკეთუ ივინი ესრეთ იქმონენ, არა დაუღუპავთ ტალანტი თვისი; ხოლო უკეთუ, სიმართლისა წილ, იქმონენ უსამართლობასა, უკეთუ გამოჩნდებიან თავხედნი, უწყალონი, მოქრთამენი, მაშინ მიიღებენ ღვთისაგან ნაწილსა უხმარისა მის მონისასა.

ზოგნი თქვენ შორის არიან მოვაჭრენი. ვაჭრობა არის დიდი ტალანტი, ვინაიდგან ვაჭრობა დიდად საჭირო არს ქვეყნისათვის, და კეთილნი ვაჭარნი დიდსა სარგებლობასა მისცემენ სოფელსა; გარნა ვაჭარმა უნდა დაიმარხოს პატიოსნება, ეკრძალოს მოტყუებასა, სიხარბესა, მისცეს რაოდენიმე ნაწილი მონაგებისა მისისა გლახაკთა და ეკლესიათა. და მაშინ მიიღებს იგი ღვთისაგან მეორესა საუკუნესა შინა დაუფასებელსა სიმდიდრესა.

გარნა უმრავლესნი მცხოვრებთა შორის ამა ქალაქისათა არიან მდაბალნი მუშაკნი, რომელნიცა ოფლითა თვისითა ზრდიან თავთა თვისთა; ესენიცა უნდა მადლობდნენ უფალსა და არა იფიქრონ, რომელ ფრად მცირე არს ტალანტი მათი და არ მიემსგავსნენ მონასა მას, რომელი ემდურებოდა უფალსა თვისსა, მიიღო რა ერთი მხოლოდ ტალანტი. თუმცადა მცირეთ გვეჩვენება ტალანტი მათი, გარნა ოდეს ღრმად განვიხილავთ, მაშინ მივხვდებით, რომელ მცირენიცა მუშაკნი არა რაითა დაკლებულ არიან სხვათა შორის. პირველი და თვით მიუცილებელი ნივთი, ანუ ტალანტი ქრისტიანეთათვის არს კეთილი სარწმუნოება, კეთილ-მსახურება, კეთილი ყოფა-ქცევა, ერთი სიტყვით, სათნოება; ხოლო გზა სათნოებისა გაშლილ არს ერთობ ყოველთათვის. უმეტეს ამისა, მე ვგონებ, რომელ მცირენი და ღარიბნი მუშაკნი უმახლობელეს არიან სათნოებისადმი, ვიდრემდის მდიდარნი და აღმატებულნი პატივითა, ვინაიდგან თვით სიმდიდრე და სიმრავლე პატივისა ხშირად აბრკოლებს ამათ სვლად გზასა ზედა სათნოებისასა.

ეხლა ვსთქვათ რაოდენიმე ჰაზრი საზოგადოდ ამ ჩვენი ქვეყნისათვის. უფალმან ღმერთმან არ მოაკლო არცა ერთი ტალანტი, ანუ ნიჭი ამ ჩვენ მხარესა. ქვეყანა ესე ემსგავსება სამოთხესა, მშვენიერი მდებარეობით და ნაყოფიერებით, ესრეთ რომელ არცა ერთი სხვა მხარე კავკასის აქეთ არ აჯობებს მას. ხალხსა

ჩვენსა, მადლითა ღვთისათა, აქვს ყოველი ნიჭი-ერება, ადვილად მიიღებს განათლებასა, ადვილად შეითვისებს ყოველსა სასარგებლოსა საქმესა და ცოდნასა; გარნა, ჭეშმარიტებასა ვიტყვი: ვიდრე აქამომდე ვერ ვასარგებლეთ ჩვენ მრავალნი და დიდნი ჩვენნი ტალანტნი, დავმარხეთ მიწასა შინა საუნჯევე ჩვენი, ღვთისაგან მიღებული, და მით ვემსგავსენით მესამესა მონასა. ხოლო აწ ვეცადოთ, ძმანო ჩემო, და ვიწყოთ ბაძვა ორთა მათ სახიერთა მონათა. კვალად ვიტყვი: მრავალი მოგვცა ღმერთმან ტალანტი და ყოველივე დაფარულ და დამარხულ გვექონდა ვიდრე აქამომდე; ხოლო აწ, მადლითა ღვთისათა, მოიწია მარჯვე ჟამი. რათა ვასარგებლოთ და განვამრავლოთ ყოველი ნიჭი ჩვენი. ხოლო უმეტეს ყოველისა იმას ვეცადოთ, რათა გამოვიცვალოთ ყოფაქცევა, შევიძინოთ შიში ღვთისა, ვინაიდგან კეთილი ქრისტიანული ყოფაქცევა არს დასაწყისი ყოველისა წარმატებისა. მოვიხმობთ სიტყვანიცა იგი, რომელნი გვესმა ღღეს წაკითხულისა სამოციქულოსაგან: ნურავინ ნურა რაითა ნურცა ერთსა დაბრკოლებასა ვის სცემთ, რათა არა იგმოს მსახურება ეგე თქვენი.

ძმანო ჩემო საყვარელო! ჩვენ ვართ მართლმადიდებელნი ქრისტიანენი; ხოლო ქალაქსა ამას შინა არიან მრავალნი სხვა სჯულისანი. ჩვენ მოგვცა ღმერთმან ტალანტი ესე დაუფასებელი მართლ-მადიდებლობისა და ამისთვის თანა-გვაძს განვამართლოთ ნიჭი ესე ღვთისა. უკეთუ ყოფაქცევა ჩვენი იქმნება კეთილი, მაშინ სჯულიცა ჩვენი განმართლდება და სახელი ქრისტესი მიიღებს ქებასა და ეკლესია ჩვენი აღმატება; ხოლო უკეთუ ცხოვრება ჩვენი არა იქმნება მგზავსად სჯულისა ჩვენისა, მაშინ სახელი ჩვენი და წმიდა ეკლესია მიიღებს შეურაცხებასა სჯულის აღმსარებელთა შორის. ვითარი სირცხვილი მიეცემა დიდს და კეთილ-შობილს კაცსა, რომლისა ძე არს უღირსი, განრყენილი, უგუნური? ესრეთივე სირცხვილი იქმნება ჩვენისა ეკლესიისათვის და სარწმუნოებისათვის, უკეთუ ვსცხოვრებთ უღირსად. ქრისტემან ღმერთმან გვიწოდა ჩვენ ძედ ღვთისად, მოგვცა სახელი თვისი და საშინელ არს, უკეთუ ჩვენგან იგმოს სახელი მისი. ამისათვის, ძმანო, ვეცადოთ და განვამართლოთ სჯული ჩვენი, და მადლი უფლისა იყოს შემწე ჩვენი. ამინ.

სიტყვა მეორესა კვირიაკესა ზედა ღიღისა მარხვისასა

ღიღი მარხვა, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, არის საკუთარი ჟამი ლოცვისა, მარხვისა, სინანულისა და ამისათვის ჩვენცა, სულიერნი მოძღვარნი თქვენნი ამ საგანზე, ესე იგი ლოცვაზე, სინანულზე და აღსარებაზე საკუთრად და უმეტესად უნდა გეტყოდეთ თქვენ.

დღესა მე მსურს ვიწყო თქვენთან უბნობა მასზედ, თუ როგორ უნდა შევინანოთ ჩვენი ცოდვანი, რა ზომა უნდა მივიღოთ, რომ გასწორდეს ჩვენი ცხოვრება და ღირსეულად ვეზიარებოდეთ. გარნა პირველ, ვიდრე შევუდგები ამ საგანზე თქვენთან უბნობას, მოგახსენებთ ერთს უბრალო შემთხვევას, რომლისაგან გამოიყვანება ჩვენთვის კარგი სწავლა სინანულზე, მოქცევაზე, ცოდვის უარისყოფაზე, რომელზედაც დავაპირე დღეს თქვენთან უბნობა.

წარსულ კვირას, ოთხშაბათს, ეკლესიაში რომ მივიღოდი, გზაზე დამხვდა ერთი მახლობელი სოფლის მცხოვრები უბრალო კაცი, რომელმაც შემომჩივლა: ჩემმა მოძღვარმა გამომიცხადა, არ მიგიშვებ ზიარებისადმიო. უბრძანეთ, რომ მაზიაროსო.

კვითხე: რა მიზეზი გამოგიცხადა?

ამაზე იმ კაცმა გულწრფელად აღიარა: მართალია, ცოდვილი ვარო, უგვირგვინოდ ვსცხოვრობ მეოთხე ქალთანო, მაგრამ არ შემიძლია ახლა გავაგდო ისაო, წვრილი შვილები მყავსო, მეც ისე მოხუცებული არა ვარო.

ღიდ ხანს არ შემეძლო მასთან ბაასი და მისი დარიგება, დრო არ მქონდა; შეუგონებლადაც დატოვება მისი არ შეიძლებოდა, უცბად ვუთხარი მე მას: კარგი, აბა შემოდი ამ ეკლესიაში, დადექი მაცხოვრის ხატის წინაშე და ესრედ ილოცე: მაცხოვარო, უფალო იესო ქრისტე! მართალია ღიდ ცოდვაში ვარ, კიდევ ვსწუხვარ და ვნანობ, მაგრამ ახლა არ შემიძლია ჩემს ცოდვას გავეყარო; მერმე კი ვეცდები და გავემორები იმ ცოდვას, ოღონდ კი ღირს მყავ ახლა შენისა წმინდისა ზიარებისა.

მას ეუცხოვა ეს სიტყვა. მისმა სინდისმა ამხილა, რომ არ შეიძლება ამისთანა ახირებუ-



ლი ლოცვა, და მიპასუხა: ასე ლოცვა როგორ შეიძლებაო.

მაშინ მე ვუპასუხე: თუ კი ლოცვაშიც არ შეიძლება ამისთანა სიტყვის თქმა, მით უმეტეს ახირებულია და ცუდი საქმით მისი აღსრულება. სანამ შენ ცოდვას არ გაეყრები, ზიარებაც არ იქნება შენთვის სასარგებლო.

მე ვგონებ, ძმანო ქრისტიანენო, რომ მართლის ხსენებული სოფლის კაცი არ არის ამ მდგომარეობისა და ჰაზრისა, არამედ ვგონებ, რომ მას მრავალი ამხანაგი ჰყავს; დარწმუნებული ვარ, რომ უმრავლესნი აწინდელნი ქრისტიანენი ემზგავსებიან მას ამ შემთხვევაში.

ზემოდ მოხსენებულმა სოფელელმა იცოდა თავისი ცუდი, სჯულის წინააღმდეგი მდგომარეობა, კიდევ ნანობდა, მაგრამ თავისი ცოდვის უარისყოფა, მისგან გაყრა არ უნდოდა, გარნა ზიარებასაც კი თხოულობდა.

ერთი მხრით ისიც კი არის მოსაწონი, რომ ის კაცი გრძნობდა თავის სიცოდვეს, ისიც კარგია, რომ ჰქონდა განზრახვა მერმე მაინც ოდესმე დაეტოვებინა თავისი ცოდვა, მაგრამ ჭეშმარიტი სინანული არ იყო მის გულში. მას უნდოდა შეეერთებინა ცოდვა და მადლი, სულის ცხოვრებაც სურდა, და ცოდვასაც ვერ იმეტებდა, ვერ იშორებდა. მის გულში იბრძოდა ორი წინააღმდეგი გრძნობა – ცოდვის სიყვარული და მონანების და ზიარების სურვილი.

ესეც, ერთი მხრით, კარგია, როგორც ზემოდ ვსთქვით, ზოგიერთს კაცს აღარც ამისთანა რყევა აქვს. მრავალნი ქრისტიანენი ისე დამონებულნი არიან სხვა და სხვა ცოდვათაგან, რომელ სრულიად აღარ გრძნობენ რყევასა, არ ხედვენ იმ უფსკრულსა, რომლისა პირზე სდგანან იგინი, განმზადებულნი შთანთქმად.

გარნა, როგორც ვსთქვით, იმ კაცის გულში არ იყო ჭეშმარიტი სინანული.

რასა შინა მდგომარეობს ჭეშმარიტი, ქრისტიანული სინანული?

ერთი მიუცილებელი თვისება აქვს ჭეშმარიტს სინანულს. კაცი, ჭეშმარიტად შემნანებელი, მოიძაგებს თავის ცოდვას, ესე იგი არა თუ სწუხს მაზედ, არამედ კიდევ სძულს თავისი ცოდვა, და მაშასადამე, რასაკვირველია, უარ-ჰყოფს მას, გააგდებს, და ეზარება მისი არა თუ კიდევ აღსრულება, არამედ წარმოდგენაც.

ვინემ კაცი არ მოიძულეს, არ მოიძაგებს თავის ცოდვას, არ ითქმის, რომ იგი ჭეშმარიტად ნანობს და ჰსურს საუკუნოდ გაყრა ცოდვასთან, საუკუნოდ მისგან განშორება.

მაშასადამე, პირველ, ვიდრე მიხვალ შენ მოძღვართან აღსარების თქმად, კარგად განიხილე შენი სულიერი მდგომარეობა, გძულს შენი ცოდვა, ანუ ცოდვები, შეგიძლია საუკუნოდ გაეყარო მათ? თვინიერ ამისა რა სასარგებლო არის ზიარება?

ერთი კვირის განმავლობაში კი არ უნდა იყო გაფრთხილებული, არამედ მთელს შენს სიცოცხლეში, ესე იგი, უნდა სრულიად გამოიცივალო შენი ყოფა-ქცევა და ხასიათი.

ჭეშმარიტი სინანული მეორედ შობა არის კაცისა, იგი არს შესვლა ღვთის სიწმინდეში, ღვთის სასუფეველში. იყავით თქვენ წმინდა, ვითარცა მე წმინდა ვარ. იტყვის ღმერთი. უნდა გამოვიდეთ ცოდვისაგან და უნდა შევიდეთ ღვთის სიწმინდეში.

მტერობა, არაწმინდობა, სიძვა, შური, ვითარცა იტყვის წმინდა მოციქული პავლე, არა თუ საქმით სრულდებოდეს ჩვენს შორის, არამედ არც კი უნდა ისახელებოდეს.

გარნა, რადგანაც სიტყვა, მოძღვრება და ქადაგება უნდა იყოს სარკე, რომელსა შინა ყოველი ქრისტიანი კაცი ცხადად დაინახვიდეს თავისსა სულიერსა პირის-სახესა, მე მეშინის, რომ ჩემს სუსტს სიტყვაში და ქადაგებაში, ვაი თუ ნათლად ვერ დაინახოს კაცმა თავისი სულიერი სახე. ამისათვის მოვიყვან ერთი ახლად დაბეჭდილის, ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოზის ქადაგებისაგან ერთს ადვილს, რომელსა შინა იგი აღრიცხავს სხვა და სხვა ცოდვებსა, მისთვის, რომ იქნება უმრავლესთა მსმენელთა ჩემთა უძჯობესად იცნონ თავიანთი თავი.

უძრახსა, შურიანსა, ცილის მწამებელსა, სხვის განსაცდელზე მოხარულსა და მპარავსა, და მომტაცებელსა, და თავის სახლში ნარბევის შემტანსა, და სხვის ენის მიმტანსა, და შფოთის ჩამომგდებსა, სხვის თავსაცილით მასხრად ამგდებსა, სხვათა ცოდვების განმკითხველსა, მძრახავსა და მკილავსა, და სხვის ცოდვების წამაყვედრებელსა, სხვათა ავის თვალთ და ბოროტის შეყვარებით შემხედველსა, სხვათა მაჭანკალსა, და ბოროტად შუა შემომსვლელსა, და ბილწისა სიტყვის მოლაპარაკესა, მრუდს მოსამართლესა, და ქრთამისთვის მიმფერებელსა, უმოწყალოსა, და გულ-გამოუბრუნებელსა ძვირის მოხსენესა, და ღვთის მაფიცარსა, და სიცრუით მქცევსა, და ტყუილის მოლაპარაკესა. ამისთანების მოქმედს, სწორეს მოგახსენებ, თუ ამისთანებზე ხელს არ აიდებს, არც სეფისკვერი ერგება, არც ზიარება ეღირსება, არც იმისი ლოცვა და შესაწირავი შეიწირება, და არც ის მართალს ქრისტიანებთან ჩაიდება და არც იმისი ქრისტიანობა ირწმუნება. ამისთანების მოქმედი ქრისტიანობასაც არცხვენს, და თავის თავი ზომ სრულიად სულით და ხორცით დასჯილიც აქვს და წარწყმედილიც.

ამ ჩემს მოხსენებას, თვით წმიდა მოციქული დასწერს და ამტკიცებს:

ა) კორინთელთა მიმართ ეპისტოლესა შინა, ვითარმედ ანუ არა უწყითა, რამეთუ ცრუთა სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკვიდრონ?

ნუ ჰსცდებით, არცა მეძავთა, არცა კერპთ-
სახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენტა,
არცა მამათ-მავალთა, არცა მტაცებელთა,
არცა მომთვრალეთა, არცა მაგინებელთა და
არცა ანგართა, სასუფეველი ღვთისა ვერ
დაიმკვიდრონ (კორ. 6,9).

ესენი რაც მოგახსენე, და წმინდა მო-
ციქულმაც დაგვიწერა, დიდად დამსჯელი და
შემარცხენელი არის ამ სოფლისაცა, და იმ
საუკუნოს დიდებისა და სასუფეველისაგან
დამკარგავი და წარმწყვედელი არის. მე თუ
ქრისტეს მონა ვარ, და ან თქვენი ერთგული
მწყემსი ვარ, ამაებზე არავის უნდა მოგეფერო,
და ჭეშმარიტი უნდა მოგახსენო. ვინც ამისთან-
აების მოქმედია, და არ შეინანებს და ხელს არ

აიღებს, იმას დასჯა, შერცხვენა და წარწყმედაც
მოელის. სწორედ გული დააჯეროს, რომ ორ-
სავ სოფელს გარდახდება, და თუ მოიქცევა, და
კეთილს საქმეზე დადგება, როგორც წმიდათა
და ყოვლად ქებულთ მოციქულთ დიად მრავ-
ალნი ცოდვილნი მოაქციეს, და სასუფეველი
ელირსათ, აგრეთვე თქვენც ღვთისაგან იკურთხ-
ებით, და ამ წმინდის დღესასწაულის მადლიც
დაგიფარავსთ, და წმიდათა გრიგოლ პალამას
მეოხება სულისდა ხორცის განსაცდელისა, და
შეჭირვებისაგანაც გამოვიხსნისთ, და მადლი
შემწე და მცველი გექნებათ, მადლითა უფლისა
იესო ქრისტესითა, რომელსა პატივი, დიდება
და თაყვანის-ცემა შვენის აწ და უკუნისამდე.
ამინ.



ცირა ინსირელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

„ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის შესახებ

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულ უდავო თვალსაზრისით, საქართველოში არც ერთ პოეტურ ქმნილებას არ გამოუწვევია ისეთი ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა, როგორც „ვეფხისტყაოსანს“.



შოთა რუსთაველი

შოთა რუსთაველის პოემას და მის ავტორთან დაკავშირებულ პრობლემატიკას სწავლობს სპეციალური დარგი – რუსთველოლოგია. დარგის მესაფუძვლეა ბეჭდური წესით „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამომცემელი ქართლის მეფე ვახტანგ VI – პირველი რუსთველოლოგი. მეფე-პოეტი გვამცნობს: ჩემზე ბევრად ადრე მრავალნი ცდილან პოემის „თარგმანებას“.

სულხან-საბა ორბელიანი გვასწავლის, რომ ქართულ ენაში „თარგმნა“ ნიშნავს „იგავიანი სიტყვის განცხადებას“. ამრიგად, ვახტანგ მეფის ნათქვამი ცხადად მიგვანიშნებს, რომ მისთვის უკვე ცნობილი ყოფილა „ვეფხისტყაოსნის“ მრავალნაირი ინტერპრეტაცია. ალბათ იმათ საყურადღებოდ, ვინც მომავალშიც შეეცდებოდა ამას. პოემის პირველი მეცნიერ-გამომცემელი



ვახტანგ VI (1675-1737)

გვაფრთხილებს: ავტორი ესე წიგნისა, საღმრთოთა და საეროც რომ არის და „უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა“, იმისათვის „არცა დაშვრებოდა... რომელმან მიხედოსა დედაკაცსა გულისთქმად შემდგომითურთ“. „მე ვსწერ ძმისწული მეფისა გიორ-

გისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას ამისთვის, უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამენაოდ სთარგმნიდნენ მსი რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავესა სამუშაოსა... აწ მე ამისათვის დავშვერ, ეს რომ ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს, რომ ესე ვითარი მეცნიერი კაცი არცა დაშვრებოდა წარსაწყმედელად: და რადგან ქრისტიანი იყო არცა აღუდგებოდა ესეოდენსა ხანსა ამას წონ...“ /47, სპვ /.

დამოწმებული ციტატიდან ნათელია, რომ პოემის ადრინდელი „მთარგმნელი“ – განმარტებულნი – აკრიტიკებდნენ „ვეფხისტყაოსანს“ ორთღოქსული ქრისტიანული დოგმატურ-ფილოსოფიური მოძღვრების პოზიციებიდან.

ვახტანგ VI-ის საყვედური და პოლემიკური კილო მიმართულია „უმთავრესად, ვეფხისტყაოსნის“ „სამეძაოდ მთარგმნელთადმი“, რომელნიც, როგორც ჩანს, ვერ ჩასწვდნენ რუსთველისეული „მიჯნურობა პირველის“ საღვთო, მისტერი-ალურ არსს და გენიალური პოეტი დასახეს „მეძაობის“ ანუ კანონიკური ტერმინოლოგიით: „ღვთისაგან განდგომის“ აპოლოგეტად. როგორც ჩანს, ასეთებს არ აღმოაჩნდათ შედეგის ესტეტიკური აღქმის უნარი. მათ შორის ყოფილან სასულიერო წოდების პირნიც. ეტყობა, მოიკოჭლებდნენ წმინდა ბიბლიის ტექსტისა და ღვთისმეტყველების ცოდნაში.

არა ეზოთერული, არამედ ეგზოთერული ღვთისმეტყველება ფლობს ისეთ წყაროებს, როგორც არის, მაგ. წმინდა ბიბლიის წიგნების მამა გრიგოლ ნოსელისეული „თარგმანება“ ანუ განმარტება. მხედველობაშია განმარტება სოლომონის „ქება-ქებათასი“, რომლის ანალოგიითაც შეიძლება მიხვედრა, რომ ვეფხისტყაოსნის სატრფიალო ამბავი იგავურ პლანში გვიამბობს საღვთო მიჯნურობაზე; კიდევ მეტი: გვიმხელს და გვასწავლის საღვთო მიჯნურობის მისტერი-ალურ არსს, ისევე როგორც სოლომონის „ქებაი-ქებათა“ /212, 149/.

ვეფხისტყაოსანი მოყმის, ტარიელისა და ვეფხის ხატის, ნესტან-დარეჯანის გაუგონარი ამბავი ანალოგიურია სოლომონის იგავთა წიგნის საღვთო მისტერიებისა. ამაზე მიგვანიშნებს ჯერ ავტორი, პოემის პროლოგში, შემდგომ კი

პერსონაჟები, კერძოდ, ვეფხისტყაოსანი მოყმე, ტარიელი. ხოლო პროლოგში ამის გამო ნათქვამია:

20. ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა, ძნელად სათქმელი, საჭირო, გამოსაგები ენათა, იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა და ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდეს მრავალთა წყენათა.

21. მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან, ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან...

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი გავსწავლის, რომ მისი ავტორისათვის ხსნილია სიტყვის საწყისი საკრალური სიმბოლოურობა. დავაკვირდეთ, თუ როგორ არჩევს სიტყვებს რუსთაველი.

როცა ასმათი ავთანდილს ტარიელთან შეახვედრებს, ეს უკანასკნელი ამზადებს მას საკუთარი ამბავის მოსასმენად; ამბავი, რუსთველის სიტყვით ყველასათვის უცნობია, ჯერ დაუწერელია და, ამდენად, დაუჯერებელიც არის /შდრ.259 იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვების, თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიჯერების/; ტარიელი აფრთხილებს ავთანდილს სხვა სიტყვებით, რუსთველი აფრთხილებს მსმენელს, ანუ ვეფხისტყაოსნის მკითხველს:

310. „ისმენდი მოეც გონება, ჩემთა ამბავთა სმენასა საუბართა და სათქმელთა ვითა ძლივ ვათქმევ ენასა“ ...

ასეთნაირადვე აფრთხილებს მსმენელს ავტორი იგავთა წიგნისა, მეფე სოლომონი: „შვილო, სიბრძნესა ჩემსა ერჩდი და სიტყვათა ჩემთა მოეც გონება შენი“ /იგავთა, 5, 1/; ასეთი არის იგავთა წიგნის მკითხველსადამი მიმართვის ფორმულა.

წმიდანა ბიბლიის ტექტის ზედმიწევნითმა ცოდნამ და „სმენამ გულისა“, ანუ ეზოთერული

ცოდნის აღქმის ღრმა ინტუიტურმა უნარმა დავით გურამიშვილი მიიყვანა თვალსაზრისამდე, რომელიც, მეცნიერულ ლიტერატურაში გამოთქმული აზრით, შეიძლება ჩაითვალოს გამონაკლისად:

ოდესცა ბრძენმან რიტორმან
შოთამ რგო იგავთ ხეოდა,
ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა,
ზედ ხილი მოიწეოდა,
ორგზითვე საყოფს მისცემდა,
ვისგანაც მოირხეოდა,
ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი,
მე სხვაგან ვერ ვნახეოდა.

/დავითიანი, I, 4/.

ძველი ართქმის წინასწარმეტყველთა იგავებში დაუნჯებული სიბრძნე – ეზოთერია და მათ მიერვე შექმნილი ბიბლიის ღია ტექსტიც – ეზოთერული ცოდნა – გვასწავლის, რომ წმინდა ბიბლიაში დამარხული ეზოთერული ცოდნის კვლევა საჭირო, სულის სარგო საქმეა; ოღონდ „არავინ უნდა გრძნობდეს იმაზე მეტად, რაც დაწერილია“ /წმ. პავლე მოციქული/.

სხვა სიტყვებით, ეზოთერული ანუ აღვთო ცოდნის განმარტება ეგ ეზოთერულმა ანუ განცხადებულმა ცოდნამ უნდა დაგვიდასტუროს; ამ მიმართებით, პოემის კვლევა დაგვარწმუნებს, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ეზოთერული ცოდნის ჯერ გამოუკვლეველი, ტაბუირებული განძია.

დავით გურამიშვილისეული თეოსოფიური ეზოთერული გაგება ვეფხისტყაოსნის ამბავისა ვერ გამოუვლენიათ სასულიერო წოდების დაბალი რანგის წარმომადგენლებს. რუსთაველის პოემის შესახებ გამოთქმული ჩვენამდე მოღწეული მათი შეხედულებანი ცხადს ყოფს, „რომ მათ ვეღარ ხელწიფებოდათ „იგავიანის სიტყვის გამოცხადება“. დასანანია, რომ ასეთნი გულისხმაში ვერ ჩაუვლია ვერც ზემოთ დამოწმებულის მსგავს სასულიერო მწერლობის ნიმუშებს.

ისინი, ვინც რუსთველის ქმნილებას ქრისტიანული მორალის პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ, ყოფილან უმთავრესად შავი სამღვდელოების წრიდან. თუმცა, ბეჭდური წერით პოემის გამოჩენისთანავე გამოჩენილან საერო

პირებიც, როემლთაც არ აღმოაჩნდათ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში დაუნჯებული განსაცვიფრებელი ცოდნის გაგების უნარი და ინტუიცია. ამასთან, ზემოთაც ითქვა, ზოგიერთ სასულიერო პირს აშკარად უღალატა წმინდა წერილისა და ღვთისმეტყველების ცოდნამაც. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პოემის პირველ გამომცემელის ვახტანგ VI-ის დროინდელ საქართველოშიც და უფრო მოგვიანებითაც, დაბალი ჩინის სამღვდელოება არ გამოირჩეოდა ფართო გაქანებით არც საერო მწერლობის ცოდნაში, რამეთუ მათთვის იგი აღკვეთილი ხიდი იყო.

ამისდა მიუხედავად, როგორც ეს აღნიშნულია რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ორთოდოქსული ქრისტიანული მსოფლმხედველობისაგან განდგომა რუსთაველისათვის არავის შეუწყამებია. ტიმოთე გაბაშილიც კი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მთქმელმა „ლექსთა ბოროტთა“ შოთა რუსთაველმა ქართველ მანდილოსნებს ფერუმარილის მოხმარება ასწავლაო. სხვა რაიმე სერიოზული საბუთი რუსთაველის ნათქვამი ლექსის ბოროტებისა ტიმოთე გაბაშვილს ვერ მოჰყავს და ვერც სდებს ბრალს ვერც ქრისტიანობისადმი იდეურ დაპირისპირებაში, ვერც რაიმე ერესის, ანდა სექტის მიმდევრობაში, და ვერც „არადოგმატური რელიგიის ტენდენციის დამკვიდრებაში“, რამეთუ არადოგმატური რელიგია არ არსებობს ბუნებაში.

ამიტომაც, „ასკეტური ექსტრემიზმით“ პირობადებული ტიმოთე გაბაშვილის პოზიცია „ატარებს მეტად კურიოზულ ხასიათს“.

ქართული სასულიერო წოდების მაღალი რანგის მრველმთავართა განათლებული წარმომადგენლების დამოკიდებულება ვეფხისტყაოსანთან ყველა დროსა და ეპოქაში მუდამ დადებითი იყო. ამის მაგალითად, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, უნდა მოვიტანოთ ვეფხისტყაოსნისადმი დამოკიდებულება დიდი ქართველი ერუდიტისა, სულხან-საბა ორბელიანისა, რომლისთვისაც, რუსთაველი უდიდესი ავტორიტეტი და მოძღვარია. საბას „ლექსიკონი ქართული“ ამჟღავნებს ღრმა ცოდნას ვეფხისტყაოსნის ტექსტისას. ხოლო, მის მიერ გამართული წმინდა ბიბლიის ქართული თარგმანის „მცხეთური ხელნაწერის“ სახელით ცნობილი ტექსტი

ცხადს ყოფს, – ამაში ქვემოთ დავრძენებით, – „ვეფხისტყაოსნისა“ და ბიბლიის ტექსტების იდენტურ ტერმინოლოგიას და მათს რელიგიურ სიმბოლიზმს; სხვა სიტყვებით: ბიბლიის შემქმნელი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების, „მცხეთური ხელნაწერის“ მთარგმნელებისა და გამმართველის – ს.ს. ორბელიანის და შოთა რუსთაველის ჩახედულობას ხელდასხმულთა ვიწრო წრისათვის /ქურუმთა კასტური მოდგმისთვის/ ხელმისაწვდომ საღვთო ანუ ეზოთერულ ცოდნაში.

ცხადია, თავის აღზრდილს, ვახტან VI აღმზრდელმა ჩაუნერგა დიდი სიყვარული და მოკრძალება „ვეფხისტყაოსნისადმი,“ რამაც შემდგომში იჩინა თავი. აქ იგულისხმება ამ განათლებული მონარქის მიერ პოემის „თარგმანებაც“ /განმარტება/ და „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური წესით გამოცემისთვის მისი ზრუნვა.

ანტონ კათოლიკოსს, რომელსაც ზოგიერთი რუსთველოლოგი „ვეფხისტყაოსნის“ „მდევნელად“ სახავს, არსად, არასოდეს აღუნიშნავს ქრისტიანული დოგმატიზმისგან რუსთაველის განდგომა. „წყობილ სიტყუაობაში“ ანტონ პირველი სწუხს მხოლოდ იმას, რომ „მაღალი ღვთისმეტყველი“ „ბრძენი“ და „ფილოსოფოსი“ კაცი, „უცხო და საკვირველი რიტორი“ ამაოდ დაშვრა; პოემის ამბავი, როგორც ჩანს, ანტონ კათალიკოსისათვის დარჩა „სოფლის ზღაპრად“:

შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის,
უცხო, საკვირველ პიტიკოს მესტიხე,
თუ რომ სწადოდა, ღვთის მეტყველ მაღალ,
მაგრამ ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“ /9, 284/.

დამოწმებული სტროფი, როგორც დიდი ხანია შენიშნულია, არის დასტური იმისა, რომ ანტონ კათალიკოსისათვის დახურული დარჩა მეტად ღრმა და ფარული აზრის შემცველი იგავური ამბავი ვეფხისტყაოსნისა. მისი აზრით, საკუთარ პოემაში შოთამ არ მოიწადინა მაღალი ღვთისმეტყველებით თავის გამოჩინება.

სხვა თვალსაზრისს ადგა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე /კ. ეკაშვილის ფსევდონიმით/. ვრცელ ნაშრომში /4.4 ა.მ/ იგი თანმიმდევრულად იცავს რუსთაველის ქრისტიანულ აღმსარებლობას.

ჩვენთვის საინტერესო ნაშრომის ავტორი უწყვილებს „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ რელიგიურ-ფილოსოფიურ ტერმინებს ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან ცნობილ ტერმინებს და შედარებითი ანალიზის გზით ნათელს ხდის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში, ისევე როგორც ე.წ. „ბიბლიურ ქრისტიანობაში“ დაფარულ ღმერთად რჩება განკაცებული მნათობი – ძე ღვთისა ქრისტე „უჟამო ჟამი“. ავტორი დაასკვნის, რომ „თითქმის ყველა სტროფი მაჩვენებელია რუსთაველის ქრისტიანობისა და მისი მსოფლმხედველობაც ქრისტიანულია“ /44, 227 - 266/.

„ამრიგად, ქართული სამღვდელთაღვთის ყოველთვის ცხადი იყო, რომ რუსთაველი მსოფლმხედველობით ქრისტიანია, რომ იგი არის ჭეშმარიტი ქრისტიანი ღვთისმეტყველი, „რიტორი“ და „ბრძენი“. სამღვდელთაღვთის ერთი ნაწილის ოპოზიცია კი განპირობებული იყო ცალკეულ სამღვდელ პირთა შეზღუდულობით და იმ მცდარი ეთიკური ინტერპრეტაციით, რომელიც შემუშავდა „ვეფხისტყაოსნის“ ამბავთან დაკავშირებით, მისი ღრმა ეზოთერული შინაარსის გამო“ /31, 7/.

არაერთ რუსთველოლოგს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი სასულიერო წოდების მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დევნას, მით უფრო – განადგურებას: „ვეფხისტყაოსნის მიმართ კლერიკალური საზოგადოების მიერ წარმოებულ პოლემიკას გამძაფრებული ბრძოლის ხასიათი არ მიუღია და არც „ვეფხისტყაოსნის“ ფიზიკური განადგურების ფაქტი მტკიცდება დოკუმენტურად“ /42, 56/.

ეპოქის საზოგადოებაში გაბატონებული თვალსაზრისი წარმოჩინებულია არჩილის „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებაში“ /10/. სადაც, ხელმწიფე მეფე თეიმურაზს ათქმევინებს რუსთაველის მისამართით: მართალია, შენ ჩემზე ბევრად ნიჭიერი ხარ, მაგრამ მაინც მე გჯობივარ, რადგანაც მე საღვთო ვარ, შენ კი საერო. ბოლოს გულწრფელობით, მეფე თეიმურაზი თავის ამ შეხედულებას თვითონვე სადაოდ ხდის და ბოლო სიტყვას მიაკუთვნებს თავად რუსთველს: თვითონვე გაგვიმხილე, შენი ნათქვამი საღმრთოთ თუ საეროდ მოიხმარებისო /10, 120/.

XIX საუკუნეში საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის ძემ თეიმურაზ ბატონიშვილმა, პარიზის „სააზიო საზოგადოებისა“ და სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის საპატიო წევრმა, ისტორიკოსმა და გამომბრძნედილმა ღვთისმეტყველმა /აკადემიკოს მარი ბროსეს თავი მიაჩნდა მის შევირდად/ სოლიდურ ნაშრომში /14/ დაამოწმა თავისი თანამედროვე ეპოქის თვალსაზრისი და დაასკვნა: „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევითი რუსთაველი თვითონაც ქრისტიანი იყო და საქრისტიანო ქვეყნისა. და ეს ლექსები ამ წიგნში ამისათვის უთქვამს, რომ იცოდნენ ყოველთა წამკითხველთა „ვეფხისტყაოსნისათა“, რომელს რუსთაველი ასეთი ბრძენი ყოფილა, რომ საღმრთო წერილიც კარგად სცოდნია და ღვთისმეტყველებაცა“ /14.125/.

არა, განცვიფრებას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ შემდგომად ყოველივე ამისა, იმ დროსა და იმ ეპოქაში, როდესაც საზოგადოება თვით განუდგა ღმერთსა და რელიგიას, ზურგი აქცია ქრისტიანული სარწმუნოების ბურჯს – მართლმადიდებელ ეკლესიას, ურელიგიო საზოგადოებაში აღმოცენდა თვალსაზრისი რუსთაველის არადოგმატური რელიგიის აღმსარებლად დასახვასა ანუ ორთოდოქსული დოგმატურ-ფილოსოფიური ქრისტიანული მოძღვრების ეზოთერული ცოდნის განძის – „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის სარწმუნოებისაგან განდგომისა. განსაცვიფრებელი, ჩვენის ღრმა რწმენით ის არის, რომ მე-12 საუკუნის ფეოდალურ საქართველოში, სადაც ყველაფერი არაქრისტიანული ზღვარს მიღმა დარჩენილი, დაწუნებული და დამცირებული – აბუჩად აგდებულია /43, 82/, „მესიის მახვილად, მესიის თაყვანისმცემელად“ წოდებულ ბაგრატიონთა სამეფო კარზე მეფე თამარის კარის უმაღლესი რანგის მოხელე რელიგიის მიღმა დარჩენილად არის წამოვადგენილი.

არავითარი საფუძველი არ გააჩნდა და არ გააჩნია იმის მტკიცებას, თითქოს „სამღვდელოების წარმომადგენლებმა... საყვირი დაჰკრეს, რომ შოთა რუსთაველის მეოხებით შემოიპარა ის ცრუ ფილოსოფიური სწავლა, რომელიც საბერძნეთში ძველთაგანვე აღორძინდა და რომელიც დღეს საბერძნეთის საეკლესიო და საღვთისმეტყველო სწავლას ზურგს აქცევს“ /46, 14/.

დაინტერესებულის დაკვირვებულ თვალს არ გაუჭირდებოდა აღმოჩენა და კიდევაც აღმოაჩინა წყაროსთვალის ვერსიისა ვეფხისტყაოსნის მეოხებით ცრუ ფილოსოფიური სწავლების შემოპარების მცდელობისა. იგი პლატონ იოსელიანისაგან მომდინარეობს. 1845-1870 წლებში საგაზეთო წერილებში პლატონ იოსელიანი ეხება „ვეფხისტყაოსანს“, ახასიათებს მას როგორც ქრისტიანული იდეებით გამსჭვალულ ქრისტიანულ ქმნილებას, მაგრამ ამასთან აღნშნავს „ვეფხისტყაოსანში“ ნეოპლატონური მოძღვრების ნაკადის არსებობასაც.

XIX საუკუნეშივე გაჩნდა თვალსაზრისი, თითქოს რუსთაველის პოემა მეფე თამარის ეპოქაშივე იდევნებოდა ქართული სასულიერო წოდების მიერ, ვითარცა ქრისტიანებისათვის მიუღებელი საერო ნაწარმოები – ამაოების აპოლოგია. ამ მოსაზრების ავტორი პროფ. ალ. ხახანაშვილია. /210, 200-223/; როგორც ცნობილია, აკად. ნ. მარი ხშირად იცვლიდა ხოლმე თვალსაზრისს, არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანზე“, არამედ საერთოდაც. თავდაპირველად, 1909 წელს ნ. მარმა წამოაყენა ვერსია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ნეოპლატონიკოსობისა და მაჰმადიანობისა. უფრო მოგვიანებით კი, უარყო თავისი ეს თვალსაზრისი და დაწერა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი წყარო ქართული წარმართობა უფროა, ვიდრე ნეოპლატონიზმი ანდა სხვა რაიმე უცხო გავლენა /221, 3-21; 54-415/;

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა თანმიდევრულად და მკაცრად გააკრიტიკა თავისი პედაგოგის აკადემიკოს ნიკო მარისეული თვალსაზრისი შესახებ რუსთაველის მაჰმადიანობისა. ეს თვალსაზრისი, ზემოთაც ითქვა, აკადემიკოსმა ნიკო მარმა შემდგომ თვითონვე უარყო. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქრისტიანული სამებისა და ღვთისმშობლის მოუხსენიებლობა პოემაში, რომელიც ეხება არაქრისტიანულ ქვეყნებს, საკმაო საბუთად ვერ ჩაითვლება პოემის ავტორის მაჰმადიანობის დასამტკიცებლად. გამანადგურებელი პასუხი გასცა ივ. ჯავახიშვილმა მარისეულ თეორიას „ვეფხისტყაოსნის“ ამბავის სპარსული წარმოშობის თაობაზე. დებულებები, რომლებიც მოჰყავს ნ. მარს საკუთარი თვალსაზრისის,

რუსთაველის მაჰმადიანობის, საყრდენად, იგ. ჯავახიშვილს მიაჩნია არა მაჰმადიანობის, არამედ ქრისტიანობის მამტიკიცებელ საბუთებად /168-38-421/;

თავის „რუსთველიანაში“ პავლე ინგოროყვა ადგას შეხედულებას რუსთაველის სექტანტობისა, კერძოდ, მანიქველობისა. მეცნიერის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი „ეკუთვნოდა მანის ფილოსოფიურ-რელიგიურ ორდენს, რომლის ერთ-ერთი მთავარი დოგმატი იყო უარყოფა ღვთაებაში ყოველგვარი ატრიბუტების“ /54-26; 57-261/;

ზურაბ ავალიშვილი უარყოფს პავლე ინგოროყვას ზემოთ დამოწმებულ თვალსაზრისს და გვთავაზობს კიდევ უფრო განსაცვიფრებელ თვალსაზრისს რუსთაველის კოსმოპოლიტიზმისას. ავტორი ამტკიცებს, რომ, თითქოს, მისი თანამედროვე საზოგადოების აზროვნებას „რუსთველისმიერი თეიზმი და კოსმოპოლიტიზმი სულ ბუნებრივად შეეფერებოდა. სამებაზედაც, ისე როგორც მუჰამედის აღსარებაზედ, სდუმს მისი კალმის ხმა, იმიტომ, რომ კერძო სარწმუნოებისაგან უკვე დამოუკიდებელია მისი პოეზია“ /8, 26, 62/;

მკვლევარ კონსტანტინე კაპანელს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით არა მარტო მანის მძღვრებას, არამედ ალექსანდრიის დიდ იდეოლოგიურ განვლენას, აღმსოავლეთის კოსმოლოგიურ და ასტრონომიულ იდეებს; მითრას, დიონისეს, როგორც თვითონ წერს, აპოლოს კულტებს /58-26.62/.

„ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარსა და გამოცემელს, კონსტანტინე ჭიჭინაძეს მიაჩნდა, რომ „ვეფხისტყაოსნის ავტორი არის ცვეულებრივი ქრისტიანი, მისი სექტანტობის არავითარი მაჩვენებლები, ნიშნები პოემაში არ მოიპოვება, მით უმეტეს, ზედმეტია ლაპარაკი რაიმე საბუთებზე... ღმერთი „ვეფხისტყაოსანში“ იხსენიება ორასოცდახუთჯერ. მზე რუსთაველისათვის არის მხოლოდ ერთ-ერთი მნათობი, რომელიც იმდროინდელი პოეზიის თაანხმად, ადამიანური სილამაზისა და ბრწყინვალეების გამოხატულებას წამროდგენს. არც შეეხება სამების ერთარსულად მოუხსენიებლობას, არც ესაა სწორი. პროფესორი კ. კეკელიძე პ. ინგოროყვასთან კამათის დროს მიუთითებდა სტრიქონზე „ერთარსებისა ერთისა მის უჟამოსა სჟამისად“ და სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ეს უკვე

სამების ერთარსულად ხსენებას წარმოადგენს“ /158-65/.

„ვეფხისტყაოსნის“ განგების იდეა პროფ. ვუკოლ ბერიძის თვალსაზრისით, ნეოპლატონურია /29,308/.

განსხვავებით აკადემიკოს ნ. მარისაგან, რომელმაც შოთა რუსთაველს თავიდან მაჰმადიანობა დასწამა, შემდეგ კი საკუთარი თვალსაზრისის უმართებულობას თვითონვე მიხვდა და აუარყო იგი, პროფ. იუსტ. აბულაძე ბოლომდე თანმიმდევრულად იცავს რუსთაველის პერსონაჟების მაჰმადიანობის თვალსაზრისს. მისი აზრით: ავთანდილი ლოცულობს მიზგითაში და ეს მაშინ, როცა სიტყვა „მიზგითა“ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში არ მოიხსენიება. მიზგითა მოიხსენიებოდა მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი თავის სათაურში. შემდგომ, „მიზგითა“ აკად. ი.ორბელის წინადადებით, ვეფხისტყაოსანში ანომალიად და ჩანართად იქნა მჩნეული და სიტყვა „მიზგითა“ ერთხელ და სამუდამოდ ამორიდებული იქნა ვეფხისტყაოსნის ტექსტიდან. აკად. ნ. მარისაგან განსხვავებით, რომელსაც ავთანდილის ლოცვა მუჰამედის რელიგიის გამახსრებად და ამდენად, მაჰმადიანობისაგან ასეთი მლოცველის განკვეთის საბუთად მიაჩნდა. პროფ. იუსტინე აბულაძეს იგი მიაჩნია მაჰმადიანის ტიპიურ ლოცვად და ეს მაშინ, როცა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია რის, რომ მაჰმადიანთა ღმერთის ალაჰს 99 სახელი აქვს და სახელი „უფალი უფლებათა“ არ მოიხსენიება ამ სახელთა შორის; და ეს მაშინ, როცა იოანეს „გამოცხადების მიხედვით“ დედამიწაზე არა მონად, არამედ უკვე ღმერთად მოსულ მეორედ მოსულ ქრისტეს, რომელცი იოანემ, მოციქულმა და ღვთისმეტყველმა სულში იხილა, თეძოს თავზე აწერია საკუთარი სახელი: „უფალი უფლებათა“ /გამოც. 19,16/.

როგორც ცნობილია, არაბი „ავთანდილი“ თავის ღმერთს სახელდობრ ასე მიმართავს /809/.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტექსტი ავთანდილის ლოცვისა მკვლევარს, როგორც ჩანს, მოჰყავს ზეპირად, რის გამოც მასში შეტანილი აქვს სტრიქონებიც ავთანდილის წერილიდან ფრიდონისადმი. აი, ასეთს წარმდგომებზე დაყრდნობით აცხადებს პროფ. იუსტინე აბულაძე, რომ რუსთაველის გმრიები

არიანს ტიპიური მართლმორწმუნე მაჰმადიანები და რომ პოემა ყურანის გამოხატულებაა /5,3; 7, 10/;

პროფ. იუსტინე აბულაძე არის აგრეთვე ავტორი ფანტასტიკური დებულებისა რუსთველისეული „მზიანი ღამის“ სეფასიანთა ასტრალური კულტიდან მომდინარეობისა. უნდა ითქვას ისიც, რომ პროფ. იუსტინე აბულაძე თვითონ პოემის ავტორის ქრისტიანობას აგრეც ვერ უარყოფს /4, 236/.

XX საუკუნეში შემუშავდა თვალსაზრისიც, რომ შოთა რუსთაველი, თითქოს, იყო სტოველთა ფილოსოფიის მიდმეგარი, და რომ ღმერთი რუსთაველის მიერ თითქოს გაგებულია სტოიკურად. ამ თვალსაზრისის ავტორია პ. ცინცაძე /147-99.100/.

პროფ. მ. გოგობერიძის აზრით, „რუსთაველის ღმერთი განგებისა და გონების სინთეზია. ღმერთი, როგორც შემოქმედი ძალა, მასში მცოემულია არაბული არისტოტელიზმის მიხედვით. „ვეფხისტყაოსანში“ თუმცა ქრისტიანული გაგების ღმერთის ცოდნა გამოსჭვივის, რუსთაველი გვერდს უვლის ქრისტიანობას, მის სრულ იგნორაციას ახდენს“ /38. 47-121/.

აკადემიკოს შ. ნუცუბიძე თავიდან ბოლომდე იმ თვალსაზრისს ადგას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მკვიდრობს წამრართული სულისკვეთება. მას ეკუთვნის დებულება რუსთველის ე.წ. „მზიური წარმართობის“ ე. ი. „სოლარული პაგანიზმის თაობაზე“. მიეს მერ წამოყენებული დებულების თანახმად, „ვეფხისტყაოსანში“ მზე და მთვარე იგივეა და ღმერთის განმარტება ემთხვევა მზის განმარტებას. რუსთაველის ლტოლვა მზისკენ არის მზის ნამდვილი გაღმერთება, მზის თავყანისცემა.

მეცნიერს აქ წმინდა ბიბლიის ტექსტი რომ მოემარჯვებინა, სახელდობრ მისი ეს დაკვირვება იქნებოდა მიმყვანი რუსთაველის ჭეშმარიტ ქრისტიანად აღიარებამდე, რამეთუ, თეოლოგიური დებადით ცდომილი მზის ნათელი იესო ქრისტეს კანონიკური, არაორგანული ხატია, განკაცებული მნათობის, რუსთველური ტერმინოლოგიით „მზე ხორციელის“ /შდრ: 133,2/ „რგული ხის“ /შრდ. : 153,2/; ოდენ სიმბოლოა, რამეთუ დავთის ფსალმუნი გვასწავლის: „რადგან მზე და ფარია და უფალი ღმერთი“ /83,12. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამცოემა, ტბ. 1989 წელი/.

აკადემიკოს შ. ნუცუბიძისთვის კი მზის თავყანისცემა დაიყვანება ნეოპლატონობამდე. ამასთან, იგი თვლიდა, რომ ნეოპლატონიზმი, რომელიც, მისივე თქმით, ეროტიკულ-მისტიკურ იდეოლოგიად გადაიქცა მას შემდეგ, რაც გადამუშავდა ე.წ. არეოპაგიტულ თხზულებაში, „ძირითადი იდეოლოგია იყო ოფოციალური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული“. უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერის დამოწმებული დებულება მიუღებელია ქრისტიანული ფილოსოფიისათვის. ფსევდოდონისე არეოპაგელის სიკეთის მონიზმის კონცეფციასთან დაკავშირებით, რომელსაც იზიარებს და რომელზედაც კიდევაც მიუთითებს შოთა რუსთაველი, /შდრ. : 1492/ „ამას საქმეს დაფარულსა ბრძენი დივნოს გაცხადებს, რემრთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არდაბადებს“. ეს ფაქტი სპეციალური საუბრის თემაა. აკადემიკოს შ. ნუცუბიძეს ეკუთვნის აგრეთვე იდეაც რუსთაველის ე.წ. პანთეისტური მატერიალიზმისა /91,1-62; 203, 357/.

XX საუკუნის მეცნიერული აზრის კორიფეები აკად. ივ. ჯავახიშვილი და აკად. კ. კეკელიძე თანმიდმევრულად იცავდნენ თვალსაზრისს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ქრისტიანობისას. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ საერთო დასკვნამდე ეს ორი მეცნიერი სხვადასხვა გზით მივიდა, რაც იმისი დასტურია, რომ ფილოლოგიას გააჩნია ჭეშმარიტების მოკვლევის მეთოდები.

1937 წელს გაზ. „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ წერილში აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერს: „რუსთაველი აღსარებით ქრისტიანი ჩანს, თუმცა ქრისტიანულ ღოგმებს არ ქადაგებსო“ /184,3/.

აკად. კ. კეკელიძე კატეგორიული წინააღმდეგი იყო რუსთაველის გამოცხადებისა ნეოპლატონიკოსად, მანიქველად, სუფისტად, სუფასიანელად, ან კიდევ სხვა რომელიმე წარმართული თუ ერეტიული სექტისა თუ მიმდინარეობის წარმომადგენლად. რუსთაველის მანიქველობის მტკიცებისათვის იგი აკრიტიკებდა პავლე ინგოროყვას და ასაბუთებდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არავითარი კვალი მანიქეიზმისა არ მოიპოვება და პ. ინგოროყვას მთელი კონცეფცია საქართველოში მანიქველობის შესახებ

ემყარება არასწორად წაკითხულ ისტორიულ ცნობებს“ /64, 29-37/.

საკუთარი თვალსაზრისი რუსთაველის სარწმუნოებრივი მრწამსის შესახებ აკად. კ. კეკელიძემ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „როდესაც ჩვენ რუსთაველის ქრისტიანობის შესახებ ვლაპარაკობთ, შემდეგი გარემოება უნდა გვახსოვდეს. რუსთაველი მთლიანად ემყარება ქრისტიანობის პრიველ წყაროს, ბიბლიას, „საღმრთო წერილს“. ამ მხრივ, ის წარმომადგენელია ე. წ. „ბიბლიური ქრისტიანობის“ და თეოლოგიისა, მისთვის უცხოა ფოგმატიკურ-ეკლესიური ქრისტიანობა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიო კრებათა საფუძველზე და შემდეგი დროის სქოლასტიკურ-მისტიკურ აკრობატიკაზე. მისთვის უცხოა მთელი ის ბალასტი, რომელიც ქრისტიანობას შეეზარდა შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში“ /66, 204/.

აკად. კ. კეკელიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობაზე საუბრისას საჭიროა ზედმიწევნით ცოდნა საღვთო წერილისა და ღვთისმეტყველების სპეციფიკური საკითხებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხსნილია გზა ფანტაზიისათვის და შეცდომაც გარდაუვალია.

აღბათ ჟამი შედგა, გაცხადდეს: თუ რომ „ვეფხისტყაოსანში“, იდენტურად ძველი აღთქმისა, დაფარულ ღმერთებად რჩებიან მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა ღმერთი. უნდა ვინიშნოთ ნიში: საიმდროოდ უმთავრესი – სარწმუნოებრივი მრწამსი მიგვანიშნებს: „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები მეფე თამარისა და რუსთაველის თანამედროვეებზე გაცილებით ძველები არიან. ამ ნიშნით, აუცილებლად ქრისტეშობამდელნი მაინც, რადგან ქრისტეშობის მეცნიერება მის შემქნელთაგან ქრისტეს ხორციელად შობამდე დაცული იყო ვიწრო წრეში /ნეტარი ავგუსტინე/.

რაც შეეხება ტერმინს „ბიბლიური ქრისტიანიზმი“, მის შესატყვისად ორთოდოქსული ქრისტიანული აღმსარებლობა ოპერირებს ტერმინით: „დაუსაბამო ქრისტიანიზმი“, რამეთუ ქრისტიანული რელიგიის აპოლოგეტებს საკუთარ ძველ აღთქმაში დაფარულ ღმერთში – დაუსაბამო ღმერთის სიტყვაში – ეთერულ ქრისტეში თავი დაუსაბოლვე მიაჩნიათ.

ხომ არ დადგა დრო, შევისმინოთ შოთა რუსთაველის მიერ პოემის ეპილოგში /1667/ გამხეილი ჭეშმარიტი არსი ვეფხისტყაოსანი მოყმის ტარიელისა და ვეფხის ხატის ნესტან-დარეჯანის მიჯნურობისა? რუსთაველის სისტყვივით, მიჯნურობის ეს იგავი „დავითის ქანანია“. „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წ.გ/დ. ქართულიშვილისეულ გამოცემაში, დამოწმებულ სტროფში გვაქვს „დავითის ქანარი“. ყველა შემდგომ გამოცემაში კი, უცვლელად, „დავითის ქანანი“. ამ შესწორების დაკანონებით რუსთველოლოგიური ლიტერატურა აღიარებს, რომ პოემის ავტორის მიერ შექმნილია არატრადიციული „პლატონის ენა“. „დავითის ქანარი“ არამედ და სახელდობრ – „დავითის ქანანი“ ანუ, შემდგომ, ვით რუსთაველი თვითონვე განმარტავს „უცხო მზე – ხელმწიფეთა უცხო ამბავნი“ კანონიკური ტექსტით: ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა ქალდეველთა სახლის პატრიარქ აბრამთან ერთად მამის, ბიბლიური დავითის, მეფისა და წინასწარმეტყველის გვარის მეფეთა ქება, „პირველ ზნენი და სამქენი“.

ძველ ეგვიპტური მისტერიებითა და ორთოდოქსული მოძღვრების ღოგმებით, ქალდეველთა რელიგიური სიმბოლო არის ვეფხის ტყავი, ხოლო სიმბოლო მათი ღმერთისა არის ვეფხი: „მით, რამეთუ მე ვარ ვითარცა ვეფხი ეფრემისსა და ვითარცა ლომი სახლისა იუდაისსა“. შემთვევით არ გვასწავლის ვეფხისტყაოსნის ტექსტი: ტყვე ვეფხის ხატის, ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან დახსნის წინ ვეფხისტყაოსანი მოყმის ხელით უნდა მოიკლას ერთი ვეფხი, ერთი ლომი. უნდა მოიკლას, ცხადია, თეოსოფიურ პოსტულატებზე დაყრდნობით, რამეთუ თაობის რელიგიური სიმბოლოში აქ ყოველგვარი ეჭვს გარეშეა.

პროფ. შ. ხიდაშელის შეხედულებით, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის ძირითადი ტენდენცია მიმართულია დუალიზმის /ხესთასოფლისა და სოფლის/ ამქვეყნიური სინამდვილის საფუძველზე დაძლევისაკენ და, მამასადაძმე, ღვთაებაც ამქვეყნიურ სინამდვილესთან უნდა იყოს შერწყმული /162, 3-4/.

წიგნში „რუსთაველი და ფოლკლორი“ პროფ. ი. მეგრელიძე რუსთაველის მსოფლმხედველობასთან მიმართებით წერს: „ჩვენ ვიცავთ

თვალსაზრისს, რომლითაც რუსთაველი არ არის წარმართობის /მისი სოლარიზმის სახით/, მანიქველობის, სუფიზმის ან მაჰმადიანობის დამცველი, ვემხრობით იმ აზრს, რომ „რუსთაველის ღმერთიც ქართულია და მზეც“ /მ. გოგობერიძე/, ე. ი. მათ უცქერის ქართველის თვალთა და ზომავს ძირითადად მაინც ქართველის გონებით. რელიგიური წარმოდგენები, ისევე, როგორც რუსთაველის ჰუმანიზმი, ანარეკლია მე-12 საუკუნის საქართველოს ცხოვრებისა. მართალია, ის სამპიროვან ღმერთს არ ახსენებს, რადგან ავტორს პოემის გმირთა მოქმედება მუსულმანურ ქვეყნებში გადააქვს, ცდილობს, დაიცვას სათანადო რეალიები, მაგრამ იქვე კიდევ უფრო მეტად მჟღავნდება ქრისტიანული რეალიები, მას სწამს განგება, როგორც უზენაესი ძალა და არა როგორც პერსონა, ის მომხრეა არა დოგმატიკური ქრისტიანობისა და მისი ქრისტიანული ცერემონიებისა, არამედ „ბიბლიური ქრისტიანობისა“ /კ. კეკელიძე/ /75, 291-242/.

„ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებაში“ ვიქტორ ნოზაძე დგას რუსთაველის ორთოდოქსული ქრისტიანობის თვალსაზრისზე. ამ გამოკვლევის მიხედვით, რუსთაველის სარწმუნოებრივი მრწამსი არის არა ოდენ ე.წ. „ბიბლიური ქრისტიანობა“, არამედ – მართლმადიდებლური ქრისტიანობა. ნაშრომში გამოწვლილვით არის გაანალიზებული თითქმის ყველა გამონათქვამი. „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი პერსონაჟების მსოფლმხედველობრივი მრწამსის ამსახველი და გამოტანილია საერთო დასკვნა: „არ არსებობს არავითარი საფუძველი რუსთაველის არაქრისტიანად გამოცხადებისა“ /90, 549/.

პროფ. ე. ხინთიბიძე ამოდის პროფ. მ. გოგობერიძისეული თვალსაზრისიდან შოთა რუსთაველის ე.წ. „უკომპრომისო მონოთეისტობისა“. მისი ტერმინოლოგიით ეს ნიშნავს ანტიტრინიტარისტობას, რაც კანონზომიერად გამორიცხავს ვეფხისტყაოსნის ავტორის ქრისტიანულ მსოფლმხედველობას. აქედან გამომდინარე განიხილავს იგი რუსთაველისეულ „ერთარსება ერთს“. ავტორის შეხედულებით, არ შეიძლება აქ იგულისხმებოდეს ქრისტიანული ღმერთი. მისი სიტყვით, ძნელი გასარკვევია, ქრისტიანულ ერთარსებას გულისხმობს რუსთაველი თუ ნეოპლატონურს /166, 156-161/;

იმაში დასარწმუნებლად თუ რომელ ღმერთს ლოცულობს მოცემულ შემთხვევაში „არაბი“ ავთანდილი, დაგაკვირდეთ შემთხვევებულ ლოცვას: /836/ „იტყვის“, „ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად, ვის გმორჩილობენ ციურნი, ერთის იოტის წამისად, (და) ბედსა ნუ მიცვლი მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად“.

სრულიად აშკარაა, რომ ლოცვა ავღლენილია ცთომილი მზისადმი, რომელიც ციურ ხომლთა მეუფედ არის დასახული. ქრისტიანული დებადით, ზემოთაც ითქვა, ცთომილი მზის ნათელი ძე ღმერთის არაორგანული კანონიკური ხატია. ეს აღიარებულია მოძღვრების დოგმებით, მაშასადამე, საკამათოც არაფერია. ამჯერადაც დავჯერდეთ ჩვენს მიერ ერთხელ უკვე დამოწმებულ დავითის ფსალმუნს (83,12), ქვემოთ დამოწმებული ქინება სხვა დოგმებიც. „რადგან მზე და ფარია უფალი ღმერთი /83,12; ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ. 1989/.

ფსალმუნის „ფარი“ და რუსთაველის „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ აქ ადეკვატური ტერმინებია და მიგვანიშნებს, რომ ცთომილი მზე ნათქვამი არის ხატად მესიისა; სადაც არის ნათქვამი, ჩვენ უკვე დავასაბუთეთ. ხოლო „მზიანი ღამედ“ ქრისტე ღმერთი ნათქვამი არის იოანეს „გამოცხადებაში“. ანგელოსმა „როცა მეექვსე ბეჭედი მოხსნა შევხედე, და აი, მოხდა დიდი მიწისძვრა, მზე შავი გახდა, როგორც ბალნის ძაძა“ /6,12/. „ცა დაიგრაგნა და მიზას დაემხო. ცის მყარის ვარსკვლავები, მათ შორის მზე და მთვარე ჩამოგვცვივდა“ „ქალაქს არ დასჭირდება არც მზე, არც მთვარე, რომ ანათებდნენ მასში რამეთუ ღმერთის დიდებამ გაანათა იგი და მისი ლამპარი კარავია“ /22, 23; 22, 5. ეს. 60, 11. 20 -თარგმანი და ანალოგები - ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტისაა/.

ღმერთის ლამპარი – მზე ქრისტიანობისა, მესია და მაცხოვარი ქრისტე დღე და ღამ ანათებს ზეციურ ქალაქში და ეს ნათელი, ცხადია, აღემატება ცთომილი მზის ნათელს, იგი ღამესაც დღესავით ნათლად აქცევს; ამიტომაც არის ეს სულიერი მზე ნათქვამი ხატად ზეცათა სასუფეველის მზიანი ღამისა.

„უჟამო ჟამის“ შემთხვევაში, ვფიქრობთ, აღარაფერია გასარკვევი, რადგანაც სამეცნიერო

ლიტერატურაში დიდი ხანია ცნობილია, რომ ამ ტერმინით აღინიშნება დაუსაბამო ქრისტიანული ღმერთი; ძე ღმერთი, ვინც ქრისტიანული დებადით ერთი იპოსტასთაგანია ერთარსება სამპიროვნული ქრისტიანული ღმერთისა, ქრისტიანული წმინდა სამებისა /ცნებისა/; ამდენად, ცთომილი მზის ნათელი, შესაძლოა, მიჩნეული იქნეს აგრეთვე ქრისტიანული წმინდა სამების /ცნების/ ინკარნაციადაც.

ხოლო ნეოპლატონიზმი რომ აქ არაფერ შუაშია, ამის საბუთად მოვიტანთ კითხვას, რომელიც, ამასთან დაკავშირებით, კარგა ხანია დასმულია სამეცნიერო ლიტერატურაში: „საინტერესოა, რატომ არის ეს ანალოგია მზის ღვთის ხატად დასახვა - ავტ. /მაინც და მაინც ნეოპლატონიზმიდან მომდინარე, როდესაც ბიბლიაში პირდაპირ ვკითხულობთ: „Ибо Господь Бог Солнце и щит“/1466154.

დასმული კითხვის პასუხი, თქმა აღარ უნდა, არც ერთმნიშვნელოვანი და არც მშრალი არ შეიძლება იყოს, რამეთუ იგი უნდა მოიცავდეს პასუხს აგრეთვე კითხვებისა: რატომ არის ზემოთ მოტანილ დოგმაში დავითის ფსალმუნი დამოწმებული რუსულად; რატომ ახლავს ეს ფსალმუნი ბიბლიის ყველა სხვა-ენოვან თარგმანს, როგორც სამართლიანად შენიშნავს ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველების“ ავტორი და არასოდეს ითარგმნება ქართულად. მას ვერ იპოვი ბიბლიის ქართული თარგმანის ვერცერთ სხვა ტექსტში, გარდა ძველებრაულიდან ახლახან თარგმნილისა.

ეს საიდუმლო ითხოვს ამოხსნას. ამისი მცდელობა შეძლებისდაგვარად ქვემოთ იქნება მოცემული.

პროფ. ნ. ნათაძე აღიარებს, რომ რუსთაველი აღმსარებლობით ქრისტიანია. აღნიშნავს ქრისტიანული რელიგიის გავლენის კვალს „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ, ამავდროულად, თანმიმდევრულად ავითარებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვით, რუსთაველის მსოფლმხედველობა უფრო ნეოპლატონიზმს ენათესავება, ვიდრე ქრისტიანობას, განსაკუთრებით მიმართებით საიქიოსთან, სად მოხვედრასაც ნესტან-დარეჯანი შვებად მიიჩნევს, რამეთუ იმედოვნებს: /307 4 „და დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“. ნესტან-დარეჯანი დღისით

და ღამით ქრისტიანულ-ღმერთს „ხედვას“ ნატრობს; ხოლო ავტორი ამტკიცებს: „რუსთაველი ანტიკური ფილოსოფიის აზროვნების წესს ხშირად უპირატესობას აძლევს ქრისტიანულთან შედარებით და უგულვებელყოფს ქრისტიანული თეოლოგიისა და მთარული მსოფლგაგების მრავალ არსებით მომენტს“ /85, 72/.

არ შეიძლება აღმსარებლობით ქრისტიან რუსთაველს დავაბრალოთ, რომ მისთვის ცნობილი არ არის, ანუ მის მიერ უგულვებელყოფილია მოძღვრების ეგზოთერული ცოდნა: „ხოლო ჩვენ ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს, იუდეველებისათვის საცთურს შივ და ბერძნებისათვის უგუნურებას“ შივ /I კორ I, 23; ეს. 8, 14.საქმნ; 17, 18; რომ; 9, 27 - თარგმანი და ანალოგები ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტისაა/.

აკად. წ/კ სარგის ცაიშვილი ხაზს უსვამს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ქრისტოლოგიურ ლიტერატურაში ჩახედულებას; „რუსთაველის ტროპიკის კავშირს“ დასავლეთ - ფილოსოფიურ და ქრისტიანულ ტრადიციებთან /85, 119-121/. მკვლევარი წერს, რომ ვეფხისტყაოსნის „პერსონაჟების მოქმედებაშიც არ არის დაცული რელიგიური სიზუსტე; ისინი ხშირად აზროვნებენ და მეტყველებენ სწორედ ქრისტიანული ეკლესიის წიაღში შემუშავებული ცნებებით. ეს იმიტომ, რომ პოემაში ქრისტიანული ლიტერატურული ელემენტები მეტია, ვიდრე მუსულმანური. როცა პოემის გმირები ღმერთს ევედრებიან, ან ლოცულობენ, ადვილი დასანახია, რომ ამ „მუსულმანებს“ ქრისტიანული ლოცვა და ვედრება აკვრიათ პირზე /პროფ. მ. გოგიბერიძე/. თავისი ამ შეხედულების საბუთად მეცნიერი იმოწმებს არაბი ავთანდილის ლოცვას /145, 20/.

ნაშრომში „რუსთაველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები“ პროფ. ი. ლოლაშვილი იკვლევს კლასიკური ხანის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას, ფილოსოფიურ-თეოლოგიური დებადის თავისებურებებს და გამაოქვს საერთო დასკვნას: რუსთაველის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შეხედულებები სახელდობრ ასეთ საფუძველზე აღმოცენდა „რუსთაველი დგას ეროვნულ ნაიდაგზე. ის არის ქრისტიანი, მისი ღმერთია სამპიროვანი ღვთაება, სამება ერთარსება და,

მამასადაძმე, მისი თეოლოგიური მოძღვრება არ არის ერეტიკული, რის გამოც არ შეიძლება რუსთაველი სარწმუნოებიდან განდგომილად გამოეცხადებინათ /71, 86/.

მაია რაფაეა იხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობის ნათესაობას იოანე დამასკელთან, კერძოდ ნაშრომთან, „წყაროი ცოდნისაი“ და დაასკვნის: „ირკვევა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გარკვეულ სტროფებში მოცემული მსოფლმხედველობრივი პრობლემების წყაროს ქრისტიანული თეოლოგია, ორთოდოქსალური მოძღვრება წამროდგენს“ /101-122/.

ზვიად გამსახურდიამ კრიტიკულ-მეცნიერულად შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურენოვანი თარგმანები. მონოგრაფიაში, რომელიც ძირითადად შესრულებულია უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, მიზნად დაისახა აგრეთვე რუსთაველის მსოფლმხედველობის ზოგიერთი ისეთი საკითხის გარკვევა, რომლისთვისაც მანამდის სათანადო ყურადღება არ დაუთმიათ მკვლევარებს. პატრისტიკის ავტორიტეტებისა და საზღვარგარეთის გამოჩინებულ რელიგიის მკვლევართა შრომებზე დაყრდნობით, ნაშრომში წარმოდგენილია რომ „ვეფხისტყაოსანში“, ისევე, როგორც ძველ აღთქმაში, დაფარულ ღმერთებად რჩებიან ძე ღმერთი და სულიწმინდა ღმერთი /31/;

მკვლევარი იკვლევს რუსთაველისა და ანტონ პირველის შეხედულებათა ურთიერთობას პოეზიის საღმრთო წამროშობასა და დანიშნულებაზე, ღვთისმეტყველებისა და ჭეშმარიტი პოეზიის განუყრელ ერთობაზე, რაც შუა საუკუნეთა იდეოლოგიისათვის უაღრესად არსებითი და დამახასიათებელი ტენდენცია იყო /რუსთაველი და ანტონ პირველი, „მაცნე“, თბილი, 1984, №1; №3; №4/.

სამი საჯარო ლექციის გამოქვეყნებულ ტექსტში ლექციებზე წამროდგენილი მასალა

შეეხება ღვთისმეტყველების, მითოლოგიის, ჰერმენეუტიკის, რელიგიის ისტორიის საკითხებს; ქართული ცხოვრების ქრონიკის უდიდეს მოვლენებს, მათ სპირიტუალურ არსს და იმ ზეგავლენას, რომელიც მათ მოახდინეს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. პირველმა ლექციამ მთლიანად შეცვალა ქართველი ხალხის დღევანდელი სულიერი განწყობილება და თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე განახლებული ქრისტიანული იმპულსი შემოიტანა /32/;

ახლახანს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში, როგორც ავტორი წერს, „ნაშრომის მიზანია ანტიურობისა და შუასაკუნებში გავრცელებული ალევორიებისა და სიმბოლოების დაკავშირება ვეფხისტყაოსანთან“ /33/.

საკუთარდ რუსთაველის მსოფლმხედველობისადმი მიძღვნილ წერილში პროფ. ა. გაწერელიას მიერ გამოწვლილვით არის გაანალიზებული ქრისტიანული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან კავშირში. იგი რუსთაველს უწოდებს მართლმადიდებელი ერის დიად შვილს /34/.

ნაშრომში „მზიანი ღამე“ „ვეფხისტყაოსნისა“ და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი“, მანანა გიგინეიშვილი ანვითარებს თვალსაზრისს, რომ „ვეფხისტყაოსნის ავტორის შემსწავლელს სჭირდება ეზოტერული და ეგზოტერული ქრისტიანული ცოდნის გათვალისწინება: „ბოლო დროს სადაოდ აღარ ითვლება რუსთაველის ქრისტიანული აღმსარებლობა, მაგრამ როცა მის ქრისტიანობაზე ან არაქრისტიანობაზეა მსჯელობა, პირველ რიგში საჭიროა გათვალისწინება თვით ქრისტიანობის არსისა. ქრისტიანული არსი კი ეგზოტერული ფარგლებით არ ამოიწურება“ /35, 66/.

ამ კუთხით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ჯერ არ არის შესწავლილი.

ილუმენი ენეში (პერისტი)

არსებობს თუ არა „ნორმალურობის კრიტერიუმები“

წიგნიდან – „შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში“

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ნორმის განსაზღვრება ყველაზე რთული საკითხების რიცხვს განეკუთვნება. თუმცა, ეკლესიის წიაღში შეიძლება შეხვდეთ ადამიანებს, რომლებსაც სჯერათ საკუთარი „არანორმალურობისა“, ასეთი განსაზღვრება (ან დადასტურება) მათ მოძღვრისგან, სულიერი მამისგან მიიღეს.

„ღვთისმსახურის სამაგიდო წიგნი“ არსებობს გაფრთხილება მოძღვრის მიერ რომელიმე ადამიანის „ნორმიდან გადახრის“ დიაგნოზის დასმასთან დაკავშირებით.

„ინტელექტუალური განვითარების ნორმის მიღმა არიან როგორც ჭკუასუსტი, ისე გენიალური ადამიანები. ასევე შეიძლება ე.წ. ინტუიციური სულიერ ნორმასთან დაკავშირებით გადახრად ჩაითვალოს როგორც ეშმაკეული, ისე ნეტარი. ამიტომ, მოძღვარ-ალმსარებელს უნდა გააჩნდეს გარკვეული სულიერი გამოცდილება, ქრისტიანული ინტუიცია, უნდა იცნობდეს მართლმადიდებლური სულზე მზრუნველობის ძირითად საფუძვლებს და ერკვეოდეს ზოგიერთ, თუნდაც ძალიან ზოგად ფსიქიატრიულ განსაზღვრებებში. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, მოძღვართან მისული ადამიანის სულიერ ჯანმრთელობაზე უაღრესად ფრთხილად, თითოეული კონკრეტული ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალსიწინებით უნდა მსჯელობდნენ“.

ერთ-ერთ მეტ-ნაკლებად ნათლად გამოხატული ნორმის კრიტერიუმად, გარკვეული პირობითობით, შეიძლება ჩაითვალოს ახალ სიტუაციასთან ადაპტაციის უნარი.

„მაგრამ, შეგუებულობა – ანტონ სუროჟელის აზრით – ძალიან რთული ცნებაა. იმიტომ, რომ შეგუებულობის გაგება შეიძლება

ისე, როგორც ეს ყველას ესმის, მაგრამ მისი დანახვა შეიძლება იმაში, რომ შენ გაქვს საკმარისი პიროვნული, ობიექტური მსჯელობის უნარი იმისათვის, რომ წინ აღუდგე ყველას რაღაც კანონზომიერებით: უბრალოდ ირგვლივ ყველა კი არ ჩაწიხლო, არამედ იმსჯელო და შესაბამისად იმოქმედო. ამ ორ უკიდურესობას შორის არსებობს უამრავი ტონალობა, მაგრამ, ასე თუ ისე, ნორმას ყოველთვის მეტ-ნაკლები შეგუებულობა განსაზღვრავს. ეს ძალიან პირობითი განსაზღვრებაა, რადგან ის წმინდა პრაქტიკული ხასიათისაა. მაგალითად, ასეთი განსაზღვრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უამრავი დიდი ადამიანი და წმინდანი იყო. რა თქმა უნდა, საბოლოოდ ისინი ნორმალურები იყვნენ, ჩვენ კი – არა.

თუმცა, როცა ჩვენ ადამიანს განვიხილავთ, როგორც საკმაოდ ნორმალურს, დგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი, პასუხისმგებლობა თავისი საქციელის გამო ადამიანებისა და ღვთის წინაშე“.

ცნობილი უპატივცემულობა „ნორმალურობის კრიტერიუმებთან“ მიმართებაში ჯერ კიდევ ძველმა ავტორებმა გამოთქვეს. მაგალითად, ფრანგი ფსიქიატრი კიულერი ამბობდა, „სწორედ იმ დღეს, როცა ამ ქვეყნად აღარ იარსებებენ ნახევრადნორმალური ადამიანები, ცივილიზებული სამყარო დაიღუპება, დაიღუპება არა სიბრძნის, არამედ უშუალობის უკმარისობით“. იტალიელი ფსიქიატრი ჩეზარე ლამბროზო კი ირონიულად შენიშნავდა: „ნორმალური ადამიანი – ესაა ადამიანი, რომელსაც კარგი მადა აქვს, წესიერი მუშაკია, ეგოისტია, რუტინული, მომთმენი, ძალაუფლების პატივისმცემელი ცხოველი“.

დ. ე. მელეხოვი შენიშნავს, რომ გენიალური ადამიანების უმეტესობა მათი ფსიქიკური სნეულების მიუხედავად იყო ასეთი, რადგან საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების განხორციელება შეძლეს.

„ფორმალური ნიშნებით თითქმის ყველა გენიოსს შეიძლება დაუვსვათ ფსიქიატრიული დიაგნოზი, რაც არაერთხელ მოხმდარა. ფსიქიატრებმა სწორედ ასე დაუსვეს 20-იან წლებში დიაგნოზი: პუშკინს – ფსიქოპათიის, ტოლსტოის – შიზოფრენიის, ტურგენევის – ისტერიის, დოსტოევსკის – ეპილეფიის.

კლინიკური სურათი ამ შემტვევაში ზუსტად ემთხვევა მწერალთა სულიერ ცხოვრებას. მაგრამ ფსიქიატრებმა მთავარი ვერ შენიშნეს – გენიოსის სული არ თავსდება ფსიქიატრიის კატეგორიების ჩარჩოებში“.

თუმცა, არსებობს ნაშრომის თვისობრივად განსხვავებული გაგება. ეს მაშინ, როცა სხვადასხვანაირად გაიგება ცნებები „ადამიანი“ და „პიროვნება“. ამ დროს, ეს უკანასკნელი შეგვძლია განვიხილოთ როგორც ადამიანური არსებობის ინსტრუმენტი, ორგანო, იარაღი“.

„ამ შემთხვევაში, პიროვნულობის დახასიათება, მისი „ნორმალურობა“ თუ „ანომალია“ დამოკიდებულია იმაზე, როგორ ემსახურება ის ადამიანს; მისი პოზიცია, კონკრეტული ორგანიზაცია და მიმართულება ხელს უწყობს თუ არა ადამიანის მიახლოებას მის მოდემისეულ არსთან, თუ პირიქით: აშორებს ამ არსს, აძნელებს და არღვევს მასთან კავშირს. აქედან გამომდინარე, ნორმის გაგება სხვა მიმართულებას და ვექტორს იძენს: ეს კი სტატისტიკას, ადაპტაციასა და მისთანებს არ უკავშირდება, არამედ ადამიანის არსს წარმოდგენას, ადამიანის კულტუროლოგიურ ხატს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის პიროვნების ნორმალურობის პრობლემები დგება ადამიანის ნორმალურ განვითარებასთან მიმართებაში. ეს უკანასკნელი გაიგება როგორც განვითარება, რომელსაც ადამიანური არსის შექმნასთან მივყავართ“.

„როდესაც ადამიანის განვითარებაზეა საუბარი, მაშინ პიროვნება – ზემოთ შემოთავაზებული გაგების მიხედვით – არის ამ განვითარების სპეციფიკური ინსტრუმენტი, იარაღი,

და როგორც ინსტრუმენტი, ფასდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ ასრულებს თავის ფუნქციას, ხელს უწყობს თუ არა ადამიანის ურთიერთობას მის არსთან. თავის მხრივ საჭიროა, პიროვნება გამოვყოთ „ფსიქიკურისაგან“, ამას მოითხოვდა ა. ნ. ლეონტიევი, რადგან თვლიდა, რომ პიროვნება, ეს განსაუთრებული განზომილებაა. ამიტომ, შეიძლება ადამიანი ფსიქიკურად აბსოლუტურად ჯანმრთელი იყოს, „კარგად იმახსოვრებდეს და აზროვნებდეს, ისახავდეს რთულ მიზნებს, იყოს საქმიანი, იხელმძღვანელოს გაცნობიერებული მოტივებით, მიაღწიოს წარმატებას, თავი აარიდოს წარუმატებლობას და ა.შ. და ამავე დროს იყოს პიროვნულად დაზიანებული, ავადმყოფი (არ მიმართავდეს საკუთარ სიცოცხლეს ადამიანური არსის მისაღწევად, შეწყვიტოს მასთან კავშირი, დაკმაყოფილდეს სუროგატებით და ა.შ.) თანამედროვე საზოგადოების ტენდენციებით რომ ვისაუბროთ, უნდა ვალიაროთ, რომ ძალიან ბევრი ადამიანისათვის დამახასიათებელი ხდება ეს დიაგნოზი: ფსიქიკურად ჯანმრთელი, მაგრამ პიროვნულად ავადმყოფი“.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რაზეც მიგვითითებს მართლმადიდებელი ფსიქიატრების გამოცდილება: **ფსიქიკური პათოლოგიების უმეტესობა სხვა არაფერია, თუ არა მიშვებული ცოდვილი ვნებები (სიამაყე, ამპარტანება, დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე, ვერცხლის მოყვარება, მრუშობა, მოწყინება და ა.შ.), რომლებსაც ადამიანს საყოველთაოდ მიღებული გონიერებისა და სწორი თვითშეფასების ზღვარზე აყენებს.** ამიტომ, ამა თუ იმ პათოლოგიური ჯგუფების თავისებურებების შესწავლა, შეიძლება საკუთარი ვნებების აღმოფხვრისათვის ღირებულ საფუძვლად იქცეს.

„მორწმუნე ადამიანი, რომელიც ჯანმრთელი სრულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, – წერს პროფესორი მელეხოვი – გამუდმებით აკონტროლებს თავს, გულის მდგომარეობას, ყურს უგდებს სინდისის ხმას, სულიერ ზრდასთან ერთად აცნობიერებს საკუთარ ცოდვებს, შეუძლია ჰქონდეს ძლიერი სინანულის განცდა („ცოდვებზე ტირილი“), მაგრამ ლოცვაში, სინანულში, ლიტურგიაში პოულობს შვებას. განთავისუფლებას და სიხარულს („ღვთისგან

ბოძებული მწუნარება წარმოშობს შეუცვლელ მონანიებას, რომელსაც ხსნისაკენ მივყავართ“ – მივყავართ სულიერ გამოჯანმრთელებამდე). სხვა სახის სინდისს ამქვეყნიურ დარდს – დეპრესიას, რომელსაც არ შველის ლოცვა და სინანული, ადამიანი მიჰყავს მოწყინებამდე, სასოწარკვეთილებამდე, გულგატეხილობამდე და „სიკვდილს შობს“ – თვითმკვლელობის აზრებს აჩენს.

სასურველია, რომ მოძღვარმა მასთან მისულს დაანახვოს დეპრესიის ხასიათი, ხომ არ არის ეს დეპრესია ამა თუ იმ დანაკარგზე (ახლობელი ადამიანის, ძვირფასი ნივთების, ქონების), მძიმე ფიზიკურ დაავადებაზე გადამეტებული რეაქციის შედეგი. თუ ეს დეპრესია ტვინის ფუნქციონირების დარღვევის შედეგია, ვიტალური ენდოგენური, ცირკულარული, ან შიზოფრენიულია (ანუ მომდინარეობს ბუნებიდან – ბუნებრივია), ასეთ შემთხვევებში, გარდა მედიკამენტოზური მკურნალობისა, აუცილებელია დაავადებულს გამუდმებით შევხსენოთ, რომ ეს ავადმყოფობაა და რომ ის გაივლის. აფექტური ფსიქოზები ახლა უკვე ექვემდებარება თერაპიას.

ასევე საჭიროა ავადმყოფის გაცნობიერება ზემოთმოყვანილი სიტუაციისაგან რადიკალურად განსხვავებულ სიტუაციებში. ასეთებია: აღზნებულობა, საკუთარი ძალების გადაფასება, ამპარტავნება, ბოღვითი აზრები საკუთარ სიმდიდრეზე, განსაკუთრებულ უნარებზე, საქვეყნო მნიშვნელობების შეძენა, საგნებისა და მოვლენების არსის განსაკუთრებული გაგება და ყველას სწავლების უფლება. ამ შემთხვევებში საჭიროა, რათა ავადმყოფი საკუთარი მდგომარეობის თვითკრიტიკულ შეფასებამდე მივიყვანოთ“.

საჭიროდ ვთვლით, შევნიშნოთ კიდევ ერთი რამ, რაც უშუალოდ მოძღვრისადმი, სულიერი მამისადმი მიმართული. პროფესორ მელეხოვის აზრით, „აუცილებელია, მხედველობაში მივიღოთ ადამიანების ინდივიდუალური თავისებურებები და ტემპერამენტი და ყურადღებით მოვეკიდოთ ფსიქიკური დაავადებების გამოვლინებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი თავისუფალია მხოლოდ ღმერთისკენ მიმავალი გზის ან ღმერთის უარყოფის არჩევანში. მაგრამ, სულიერ სფეროში ის დეტერმინირებულია (თანამედროვე მეცნიერება გვიჩვენებს ბიოქიმიურ, ენდოკრინულ, გენეტიკურ და ცერებრალურ მექანიზმებს, რომელნიც განაპირობებენ ადამიანის სულიერ აგებულებას). ამაზევე მეტყველებს ყველა მოღვაწეობრივი გამცოდილება. საკუთარი ხასიათის, აფექტების, ვნებების და მისწრაფებების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საკუთარ თავზე ხანგრძლივი, შეუწყვეტელი მუშაობის შედეგად, სისტემური ასკეტური მიდგომით, რომელიც ზემოქმედებს არა მხოლოდ ფსიქიკაზე, არამედ სომატიკაზე როგორც სულზე, ასევე სხეულზე, ნებისმიერი აზრი საკუთარი ბუნების ადვილად შეცვლის შესაძლებლობაზე უსაფუძვლოდ ითვლება და სულიერი გამოცდილების არარსებობითაა ნაკარნახევი.

მაშ ასე, სულიერი აშლილობის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოძღვარი უნდა მოქმედებდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, აღივსოს თანგრძნობის სულით, ყურადღებით და შინაგანი ტაქტის გრძნობით, ცრუ ოპტიმიზმისა და თვითდაჯერებულობის გარეშე“.

თარგმნა სოფიო გოგიჩაიშვილმა

სიმონ ჯაფარიძე

„ბ უ ლ გ უ ლ ა“

(ეტიმოლოგიური ვერსიები)

საქართველოში არაერთი გეოგრაფიული სახელწოდება გვხვდება, რომელიც ვაზთანაა დაკავშირებული; თვით ჩვენს დედაქალაქში გვაქვს „ვაზისუბანი“; ვაზისუბანი ჰქვია სოფლებს სამტრედიასა და გურჯაანში. ტოპონიმი „ვაზიანი“ გვხვდება გარდაბანის, ჩოხატაურისა და მცხეთის რაიონებში; „ნავენახევი“ – თერჯოლის რაიონში.

ცნობილი საეკლესიო საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ეძღვნება და ღვთისმშობლის ძის – დემეტრეს მიერ არის შეთხზული.

გამოცხადებით, ღვთისმშობლისაგან ვაზის ჯვარი გადაეცა საქართველოს განმანათლებელს, მოციქულთა სწორს – წმინდა ნინოს. ნინოს ჯვარი დღეს თბილისის სიონის ტაძარშია დაცული.

ვაზი ქართველი კაცის სალოცავია, ხოლო ვაზის ჯვარი – ორმაგი სალოცავი.



წმიდა ნინოს ჯვარი

„ქალწული ჯვარს ვაზის ნასხლავისაგან გამოსჭრის. სხვების ჯვარი: ან ქვისაა, ან რკინის, ან უბრალო ხის, ყოველთვის მშრალი და წუთხე; აქ კი: ჯვარი – ვაზის! ვაზი ზომ სახეა: მიწის – ნიადაგის – სიცოცხლის. სხვაგან ჯვარი წამებისა და დასჯის ნიშანია. ჩვენში ჯვარი ღვთისა...“ – წერს გრიგოლ რობაქიძე და განაგრძობს:

„ეს კიდევ არაფერი...“

ქალწული ვაზის ნასხლავს თავისი თმებით შეკრავს, თითქოს ჭრილობა შეუხვია ნასხლავს: რომელიც იცრემლება.

ჯვარი – ქალის თმებით შეკრული! მიჩვენეთ სხვა სახე – უფრო მწველი და უფრო ლამაზი! ჯვარი ვაზის ნასხლავისაგან გამოჭრილი.

ჯვარი – ქალის თმებით... ქალის თმები ზომ სახეა: ...ქალობის – ქალწულობის – დედობის!“

სახარებისეული რწმენით, სიმბოლო ქრისტეს ხორცისა და სისხლისა – პურია და ღვინო...

ძვ. წ. VI საუკუნიდან ახ. წ. IV საუკუნემდე პერიოდს საქართველოში მეღვინეობის აყვავების ხანად მიიჩნევენ მკვლევარები.


ფოლკლორში მრავალფეროვანი მეტაფორა – ეპითეტებით ამკობდნენ ვაზსა და ღვინოს:

„მამა მიგრეხილ-მოგრეხილი, დედა მარგალიტი, შვილი – გადარეული“ – ვაზზე, ყურძენსა და ღვინოზე უთქვამთ...

ხუთიათასწლოვანი ხნოვანების არქეოლოგიური მონაპოვარი გვაქვს ვანსა და მეღაანში, – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ორი მინიატურული სკულპტურა – ორი ღვთაების გამოსახულება ზეაწეული ყანწით ხელში, თითქოს ერთიანი საქართველოს სიმბოლოურ სახედ წარმოგვიდგება თვით უშორესი წარსულიდანაც...

„არგონავტიკა“ მიუთითებს, რომ ღვინო შადრევნებად გადმოდის კოლხეთში; ჩვენში ნაპოვნია ბერძნული ამფორები. დიონისეს – ღვინისა და ლხინის ბერძნულ ღვთაებას სრულყოფილებას მატებს აგუნასა და ბადაგონის ქართული მითოლოგიური სიუჟეტები...

უხსოვარი დროიდანვე არც მტერი აკლდა ჩვენს ქვეყანას და უპირველესად, ვაზს მტრობდნენ მომხდურები:



ვაზის კარი.
მღვიმევი.

„დავიპყარი ქვეყანა... აჩრებ ვენახები, გავანადგურე ქალაქები...“ სიამაყით აცხადებს ასურთა მეფე საქართველოზე ლაშქრობისას...

მიუხედავად აღნიშნულისა, ვაზი ალამაზებს საღვთო ბაღების ფლორას, ვაზის კარი ამშვენებს ქართულ ეკლესიებს:

„ეკლესია შემკული ყოვლითა საეკლესიო წესითა, ჰკიდავს ზღუდის კარი ბჭესა მისსა, რკინისა, აღმაშენებლის მოტანილი დარუბანდიდამ და ეკლესიის ბჭეს ჰკიდავს კარი მთლად ერთის ვაზისაგან გამოთლილი, უცხოსა ხელოვნებით ქანდაკებული“ – გადმოგვცემს გელათის მატიანე.

ვაზის მოჩუქურთმებული კარი ამშვენებდა ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიისა და მღვიმევის დედათა მონასტერს.

უფლის ნება და ღვთისმშობლის კალთა იფარავდა საქართველოს ავბედობის დროს, ვაზი კი, თითქოს სიმბოლურად აკავშირებდა მტრისათვის გადაულახავი და რისხვად მოვლენილი მდინარის ორ ნაპირს:

„ხოლო ოდეს მოაშთო ცხენნი ანაკო-ფიილამ უკმოქცეულის ყრუს სპათა... ამისათვის უწოდეს ცხენის – წყალი. არამედ წყალი ესე, ვინაიდგან არა უტევებს ხიდსა ქვი-სასა და ხისასა, ამისათვის შესწვნენ ვაზისაგან და გააბმენ ამიერ კიდით იმიერამდე, და გაუბმენ ვაზისგანვე სახელურებსა აქეთ და იქით, და ვლენან ქვეითნი მას ზედა, და ექანების მკიდარებისაგან ფრიად ხიდი იგი, გარნა უწყიან ოდიშსა შინა ხშირად ხიდი ესე, და უწოდებენ ბონდსა“ – წერს ვახუშტი ბაგრატიონი. იგი საქართველოს მთასა და ბარს შორის ზონების აღსანიშნავად და განსასაზღვრავად, მიჯნად სახავს ზონას, სადამდეც ვაზი ხარობს, ხოლო ზემოთ – მთის ზონად მიიჩნევის.

საქართველოს სიმბოლო ვაზია – ისევე, როგორც: გერმანიაში მუხა, კანადაში ნეკერჩხალი, ჰოლანდიაში – ტიტა, ჩინეთში იორდასალაში, იაპონიაში ქრიზანთემა, საბერძნეთში დაფნა, ინდოეთში ლოტოსი, ეგვიპტეში პაპირუსი...

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ქვეყანა, სადაც არ მოიპოვება ველური ვაზის ჯიში, არ შეიძლება ვაზისა და ღვინის სამშობლოდ ჩათვალოს. ჩვენში 25 ჯიშის ველურ ვაზს იცნობენ ბოტანიკოსები. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში გვხვდება ველური ვაზის სახელები: „ძალღყურძენა“, „კრიკინა“, „უსურვაზი“, „ბაბილო“ და ა. შ.

8000 წლის წინანდელი კულტურული ჯიშის ყურძნის წიპწებია აღმოჩენილი დმანისის ერთ-ერთი ნამოსახლარის არქეოლოგიურ ფენებში.

უფრო შორეული წარსულის გზა ჩვენში მილიონობით წლებს ითვლის: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გოდერძის უღელტეხილზე, ბათუმ-ახალციხის გზის 130-132-ე კილომეტრზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე, აღმოჩენილია გაქვავებული ვაზის ღერო, რომელიც 15 მილიონი წლის წინ ვულკანიდან ამოფრქვეულ ლავას დაუმარხავს სხვა მცენარეებთან ერთად.

ღროის ამ უზარმაზარი მონაკვეთის განმავლობაში, როდესაც ბუჩქებად და ბალახებად იქცნენ გიგანტური გვიმრები და ქაფურის ხეები, გაქრნენ ან გადაგვარდნენ ცადაჭრილი მცენარენი, ვაზმა თითქმის უცვლელად მოიტანა თავისი გენეტიკური თვისებები დღევანდლამდე და ჩვენი წინაპრების ხელით მრავალფეროვან ჯიშებად გარდაქმნილნი აოცებენ მსოფლიოს უმაღლესი თვისებების ღვინის პროდუქციით.



200 წლის ვაზი სიღნაღში. ქართული „თითა“.



ისტორიული ქვევრები. სოფელი გულგულა.

ქართული ფენომენია ქვევრის ღვინო, ანუ ღვინის დაყენების ქართული წესი.

ღვინის დაყენებისა და მოხმარების ხელოვნებაში მულაენდება ერის შინაგანი კულტურის გამოვლინების მაღალი დონე.

ღვინომასალისაგან დამზადებული ბრენდებია: ჩურჩხელა, ტკბილი კვერი, თათარა, ბადაგი და სხვა.

„იუნესკოს“ მიერ ქართული ქვევრი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი; ყოველივე ეს წარმოადგენს ერის კულტურის განუყოფელ ფასეულობას, რომელიც უშორესი წარსულიდან თანამდევია ქართველი კაცის ცხოვრებისა...

ვაზის ან სხვა მცენარეთა თვისებებზე და მათს ევოლუციურ განვითარებაზე როცა ვსაუბრობთ, საჭიროა საბუნებისმეტყველო დარგის სპეციალისტებს მოვუხმოთ და დავიმოწმოთ.

ქართული ენციკლოპედიის შესაბამის სტატიაში აღნიშნულია (ქსე ტ. 9, 1985 წ. გვ. 559): სტელა არის „ბოტანიკაში, უმაღლეს მცენარეთა ღეროსა და ფესვის ცენტრალური ანუ ღერძული ნაწილი, რომელიც შედგება გამტარი და მექანიკური ქსოვილებისაგან და გარემოცულია პირველადი ქერქით, იგივეა, რაც ღერძული ანუ ცენტრალური ცილინდრი.


სტელას უმეტეს ნაწილს შეადგენს გამტარი ქსოვილი: ქსილემა (მერქანი) და ფლოემა (ლაფანი). მის შემადგენლობაში შედის აგრეთვე პერიციკლი, გულგულის სხივები და გულგული. სტელას გარს აკრავს პირველადი ქერქი.

სტელას ევოლუციაში დიდი როლი ითამაშა გულგულის ჩამოყალიბებამ და გამტარი ქსოვილის ვიტალიზაციამ, მასში ცოცხალი პარენქიმული უჯრედების წარმოქმნამ“.

ქართული ენციკლოპედიის მეცნიერული ტერმინოლოგიის ტექსტში ყურადღებას იპყრობს „გულ“ ფუძეზე დამყარებული სიტყვა „გულგული“ – ანალოგი ქართველი კაცის მეტყველებაში დამკვიდრებული სიტყვებისა: „გულის გული“, „გულიანი“, „უგულო“ და სხვა.

სწორედ ამ სიტყვიდან ნაწარმოები სახელი – „გულგულა“ ჰქვია თელავის რაიონის ერთ დასახლებულ პუნქტს, რომლისადმი მიძღვნილი გამოკვლევების ავტორები მასზე აღნიშნავენ: „უძველესი დროიდან გამრჯე და ძლიერი ხალხი ცხოვრობდა, რომლებმაც შრომაც კარგი იცოდა, ბრძოლაც და სიმღერაც“ (ზ. გიგიტელაშვილი, ბ. ნანობაშვილი, სოფელი გულგულა“, თბ. 2010 წ. გვ. 6).

ამავე ავტორებს მიაჩნიათ, რომ გულგულა მას ადგილის თავისებურებების გამო შეერქვა: „გულგულა იყო ბორბალოს მთიდან წამოსული მთაგრეხილის „გულისგული“ ადგილი, რომელიც მთავრდებოდა კარდენახის ხევთან, ხოლო ეს ხევი კი მას შუაზე ჰყოფს“. ავტორები ასკვნიათ, რომ ამ რეგიონში დასტურდება „ძვ. წ. XIV – XII ს. საყურადღებო ნასახლარები და სამარხები, უძველესი ქვევრები, მატერიალ-



„ნიჟარები გულგულისათვის“
„მაღალაანთ“ ტაძართან აღმოჩენილი მეტალის
მაშა და ბრინჯაოს ყალიბი.

ური კულტურის და ყოფის დამადასტურებელი ნივთები, რაც სოფლის მდიდარ ისტორიულ წარსულსა და ადგილობრივი მოსახლეობის მაღალ კულტურულ დონეზე მიუთითებს“.

დღევანდელი გულგულა, თელავიდან 6 კმ-ზე, ზ/დ 485 მეტრზე, ალაზნის ვაკეზე, მდ. თურდოს მარჯვენა მხარეს მდებარეობს.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ე. წ. „ოლიების“ ტყეშია გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი, რომელიც გაითხარა 1956-72 წლებში, გამოვლინდა 29 ორმოსამარხი. მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ ბრინჯაოს იარაღი და სხვადასხვა საჭურველი „როგორც სავარაუდოა, მოსახლეობის ერთ-ერთი საარსებო წყარო მეთუნეობა უნდა ყოფილიყო“ – გვამცნობს ქართული ენციკლოპედია.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოთ ნახსენები ვაზის მერქანის „გულის გულისაგან“ ან მეთუნეობასთან დაკავშირებულ ტერმინ „გულგულასაგან“ მოდიოდეს სოფლის ისტორიული სახელი, რის შესახებაც ქვემოთ ვაგრძელებთ საუბარს.

მკვლევარი მარიამ საგინაშვილი აღნიშნავს: „ძვ. წ. IV ს. დასასრულიდან... თიხის სანელსაცხებლების (უნგვენტარიუმების) წარმოება ფართოდ გავრცელდა მთელ სამყაროში და შემორჩა რომაულ ხანამდე, როცა ისინი საბოლოოდ გამოდევნა ხმარებიდან მინის ნელსაცხებლებმა.“

უძველესი მინის სანელსაცხებლებს ამზადებენ ე. წ. „ქვიშის გულგულის“ გამოყენებით, რაც შემდეგში მდგომარეობდა: ვიდრე ჭურჭელს დაამზადებდნენ, ქვიშასა და თიხისაგან წინასწარ აკეთებდნენ ფორმას – „გულგულას“, ან ქსოვილის პარკს ავსებდნენ ქვიშით; მას ამაგრებდნენ ლითონის ღეროს კონუსურ ბოლოზე (ის ჭურჭლის ყელს შეესაბამებოდა და ამოაველებდნენ მინის ცხელ მასაში)... ამგვარად მიღებული სანელსაცხებლის გარკვეულ ფორმას უკვე აძრობდნენ ლითონის ღეროს, რის შემდეგაც დარჩენილი ვიწრო ხვრელოდან გამოყრიდნენ ქვიშას...

სადღეისოდ ცნობილია თრიალეთში (წალკა), რაჭაში (ბრილი), ვანში, ფიჭვნარსა და თბილისში აღმოჩენილი სანელსაცხებლები, რომლებიც ქვიშის გულგულის მეთოდით არის

დამზადებული და შემოტანილი (ფინიკია, ეგვიპტე)..."

ჩვენს პუბლიკაციაში სხვადასხვა მკვლევართა საკმაო მოცულობის მასალის მოხმობა დაგვჭირდა იმისათვის, რომ წარმოგვეჩინა ტერმინ „გულგულას“ რაობა, ანუ სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიური საფუძველი, ტოპონიმის წარმოშობის ისტორია, რამდენადაც წერილებში მოთხრობილ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული შინაარსის ტექსტებში ტერმინი „გულგულა“ გულისხმობს მოცემული საგნების „ცენტრალურ სივრცეს“, ანუ ერთ შემთხვევაში, – მცენარის ღეროს გულგულის სხივები და გულგული, რომელსაც გარს აკრავს მერქანი და პირველადი ქერქი, ხოლო მეორე შემთხვევაში ჭურჭლის დასამზადებლად წინასწარ გაკეთებულ ფორმას – „გულგულას“,

რომელსაც ამოავლებდნენ მინის ცხელ, თხევად მასაში და აძლევდნენ შესაბამის ფორმას, რის შემდეგადაც ჭურჭლის გულიდან გამოყრიდნენ „გულის გულს“ – პარკში ჩაყრილ ინერტიულ მასას...

ამ ორი გასათვალისწინებელი არგუმენტის შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ რომ ტოპონიმი „გულგულა“ დამკვიდრდა იმ ტერმინის საფუძველზე, რომელიც შემოგვინახა ქართულმა მეტყველებამ და რომლის შინაარსი უცილობლად ვაზის „გულის გულთან“, ანუ სტელის ქსოვილის ცენტრალურ გამტარ არხთანაა დაკავშირებული, საიდანაც გაზაფხულის პირზე გადმომდინარე ნაჟური, მხატვრული წარმოსახვის ნიჭით უხვად დაჯილდოვებულმა ჩვენმა წინაპრებმა „მეტის ლხენით ატირებული“ ვაზის ცრემლებად მონათლა...



ლიტერატურული ნოვატი



თამარ შაიშქელაშვილი

დედაო ჩემო...*

ცრემლი აია-სოფიას კართან

ცა მტრედის ღულუნს აქ აღარ ისმენს,
 ნისლი დაბურავს იასამნისფერს...
 ამოსევდილა მზერა ძე ღმერთის,
 ამ განსაცდელზე მხოლოდ შენ გეტყვი:
 თეთრი ზამბახით მიმზერ ხატიდან,
 სამი წლის ხარ და მთაზე ასდიხარ...
 დიდია კიბე ცად მიმავალი,
 ლურჯია კაბა, ლოცვით ნავალი...
 ამ სილურჯიდან პირველ სხივებით
 მოგვეხილვები მაღლმოსილებით...
 მაგრამ აია-სოფიას ცრემლი...
 ღაღადისია, სამყაროს, ვრცელი...
 მინავლულია ნათელი იგი,
 „ბნელსა შინა სჩანს“ და მაინც... მიდის!
 და მაინც ახალ სასწაულს ირგებს
 და გაიცოცხლებს ღვთის წმინდა სიბრძნეს...
 გუმბათი ისევ ნათობს სივრცეში,
 კამარობს ცაში და სამოთხეში...
 ...დაბურულია ნაღვლით თვალები,
 დედაო ჩემო, მწედ ხარ მთა-ველის...
 შესამოსელი ხარ ძოწეული –
 ხარების დიდი დედა წვეული...

* გამოქვეყნდა ქრისტიანული პოეზიის X ფესტივალის კრებულში „წმინდა ნინოს ჯვარი“. 2020 წ.

ილიას სახლი საგურამოში

ის ხელმეორედ შობა სიკვდილმა
 ხან-მრავალი და სამრეკლო ახლის...
 შრიალებს ცაცხვი,
 კვლავ გვეგებება
 საგურამოში ილიას სახლი...
 მებაღე არ ჩანს,
 იღუმალ ნაძვებს
 ჩაუვლი კრძალვით და
 გულის ღელვით...
 სად ყვაილებში რუსავით კრთება
 არტურ ლაისტის ნაბიჯის ხმები...
 საუკუნოა ესე სავანე,
 ჩვენ კი სუყველა კაცნი – მგზავრები...
 შევეხიზნები აგვისტოს სიცხეს
 ილიას
 ცრემლებდანამგზავრები...

ილია ჭავჭავაძეს

შენს მოვლინებას ცამ უგალობა,
 თვალდაშრეტილი მომეზმანები,
 და გამომიხმობს საგურამოდან
 თავგანწირული მღერა ზარების...
 დაბინდულია ჩემი სარკმლიდან
 დრო ფეხშიშველა, ეკლებზე მდგარი...
 შენ საქართველომ მოვისაკლისა -
 კლდე იღუმალი, სულშეუდგამი...
 მონსალვატის მთას რწმენით მოჰკავადი,
 თუ ბედისწერას ასე ენება...
 ვით ქარიშხლებში თეთრი ხომალდი,
 შევეგებები შენს გათენებას.
 ზეცა ჩიტივით ისევე მძალავს,
 ქარს მონატრების გაუუმხელ სურვილს,
 გამიასკეცებს სიცოცხლის ძალას
 მზეოკვანე მფრინავი სული...



ზურაბ გორგილაძე (1937-2006)

აბოს ფერფლი

შენ ყოფილხარ კალოთას?

შენ ყოფილხარ ნენიას?

შენ პირველი გალობა, სულზე მოგიფრენია?

იმ დიდ ჟამიანობას, იმ დიდ ჟრიაბულობას,
როსმე გამოესარჩლე, შინაურს და შენიანს?..

თვალში როგორ მიყურებ, –
როგორ არა გრცხვენია!

ჯვარცმით შეზავებული,
მზის და ვაზის გენია,

შენ გზაფრავდა ქარგები,

დაბაძელს და ლელიანს?

შენ ხირხათის ნანგრევის, გამწარება გტკენია?

რა პირით მადლეგრძელებ, –

როგორ არა გრცხვენია!

მავედრალის დაღლილი,

ნათელი რომ შთენია,

აქ, გონიოს კედლებთან,

საბას სუნთქვა ჰფენია,

სხალთა! – ჩემი ბერდელა,

სისხლში მომიწვდენია,

რა ყალბად მაღიარებ, –

როგორ არა გრცხვენია!

– იესო თუ ისლამი –

ცული ცას შეჰკიოდა,

სამთვეს მაჭახლისწყალი,

ზღვისკენ წითლად დიოდა,

სამასი წლის ყორანმა

ჩემს თავზე იტრიალა,

ქრისტეს ძვლებით მოხაფრა,

ხეობები მთლიანად,

ცხრა მარაბდას მორწყავდა,

მე რომ სისხლი მდენია,

ქვევრებთან მოქირქილევ, –

როგორ არა გრცხვენია!

ახლა, ამ ჭრილობების, ვითომ გახსნა მინდოდა?

ჩონგურზე თავმიდებულ

კახაბერის მინდორთან?

ჩალაბულას ლეჭვებით, ძირგამომპალ ზვინებით,

საყდარი თუ მეჩეთი, მნერწყვავ და იღრინები,

აღმოსავლეთს, დასავლეთს,

აბოს ფერფლი ჰფენია,

ამ ფერფლზე მოფაშფაშევ, –

როგორ არა გრცხვენია?!

... კოლხი ქალის კივილი,

ცხრა მთას როგორ მიასკდა,

რამდენ ხვიჩას ვბორკავდით,

ყვიდდით ანაკლისთან,

ან ვის გადაუქნო,

ცოდვა ცოდვის მტვირთავი,

ძმებს თავს ვაყრევინებდით,

თუ რძლებს ცოლად ვირთავდით?!

ვის ბორბალს ატრიალებს,

ან ვის გვირგვინს სჭირდება,

ამ ქართული მზვავობის

სირცხვილი თუ კირთება?

ხსოვნა დიდთა გულების,

რა ქუსლებით გავთელო?

კართემობა ღუპავადა, ერს, ბერს

და საქართველოს!

მოვდებივართ, ძმობილო,

აბა რას და აბა რას...

ცრემლი ტაო-კლარჯეთის,

კვლავ გვისველებს ფაფანაკს.

აქაც ღვიძლი მთებია და ზვავები ფაფარა,

სულს ამ ზვავთა ზათქებით,

ხშირად უნდა გაბანვა,

სიკვდილის წინ, აკაკიმ,

– გახსოვს რა დაგაბარა?!

ის ანდერძი ჩემეულ ყველა

ფესვში სვენია,

სანთელს საით იღერებ,

როგორ არა გრცხვენია!!!



დეკანოზი ილია ჩიქეაძე

ფრაგმენტი ლირიკული კოედიდან „ფოლიანტები“

დგას ათასცხრაასცხრამეტი წელი,
თვალთაგან მოსჩქეფს ცრემლები მწველი...

აკიაფდება მზის სხივი უმაღლ,
და მე ამ მზისკენ გაფრენა მინდა...
ოთახში დედა შემოდის ჩუმაღ,
ბავშვებო, ფეხზე ჩაიცვით წინდა.

ჩვენ ერთმანეთში ვბრუნავდით მაშინ,
მართლაც ბავშვები ვიყავით თურმე,
ზე ავდიოდით სიწმინდით ცაში
და მივყვებოდით ფეხდაფეხ ურმებს
თრიალეთისკენ მიმავალ გზებზე...
ემზერდით მჭმუნვარე მამებს და პაპებს,
მე ახლაც იმ ძველ განწყობებს ვეძებ
და ჩიტი უსტკვენს: „თესე და კაფე“...

გადაიდარებს ბინდი თუ ბუნდი,
აწ უკვე ღვინის სურნელით ვთვრები,
მზით აელვებულ ყინულის გუნდებს
ერთმანეთს კუშტად ესვრიან მთები...

ცხოვრება ნუთუ კვლავ გაგულისდა?!
და მენატრება სიცოცხლით დაღლილს
სინარულის და, სიყვარულის და,
სათნობის და სიწმინდის სახლი...

ეს იყო მაშინ... წარსულის მზეა...
თვალეზე ცრემლის კიაფობს თრთვილი...
ოთახში მდაბლად შემოდის ზეო
და დიდი ხონჩით შემოაქვს ხილი...
და მერმე ხვდება, როდესაც მარტო
დარჩები მათთან, წინაპრის ძვლებთან,
როდესაც წლები, ხმაური ქართა
წარსულის მწარე ტკივილებს შეერთავს,
ხვდება, რომ მართლაც წარსულით გმართავს,
აჟღერიალება წინაპართ ძვლების,
რომ თავზე დიდი ჭალარა გათოვს
და გაფრენილან ბავშვობის წლები...

ფოლიანტებზე ასოებს ვწერდი,
ბავშვობის მზით და პატარა ხელით,
მე გვერდით მეჯდა ჯუზეზე ვერდი
და სამშობლოში ჰლვიოდა რთველი...
ვენახი მწიფდა, მწიფობდა რთველიც,
იმ წარსულიდან მოვდივართ აქეთ,
თვალთაგან ცრემლი სისხლივით მწველი
და გაპობილი ვარდისფრად ბაგე...

ჩვენ ვუყურებდით ათასგვარ ფილმებს,
ნათქვამი გვქონდა წიგნებთან ძმობა,
და სიჭაბუკის ავსებდა ხილვა
სამშობლოსათვის გაწაღდულ მცობადს,
ჩვენ არასოდეს ვტიროდით წარსულს
და გვანარებდა მაცხოვრის შობა...

უეცრად მთაში მდინარე შედგა,
გაბრწყინდა დედა ოქროსფერ მზეში –
და ხეში წყალი როდესაც ჩადგა,
– გარდაიცვალა თებერვლის თვეში...

დედამ სიცოცხლე წაიღო დიდი,
იქ, სამარეში აფერფლდა მზეც და...
შენდობა ბრძანა ძალიან მშვიდად
თუ მასთან ვინმე ოდესმე შეცდა,
იმ ღამეს ნისლი ელაგდა ცაში
და ქარიშხალი კარიბჭეს ლეწდა.

თითქოს ცხოვრება დამთავრდა უცებ,
მე ამ ცხოვრებას ტკბილ-მწარედ ვთვლიდი,
ვმლი საწარსულედ ფირფიტა-ფურცლებს,

ქანდაკებად და ლოდად რომ ვთლიდი,
დღეს წარსულსა და მომავალს შორის
გადებულია სიცოცხლის ხიდი...

ღვინობისთვეში წავიდა ნიკოც,
მე დღესაც ვტირი გარდასულ ძმობილს,
გადავდიოდით სიმღერით რიკოთს
და გვახარებდა მგზავრობის ჰობი,
რა მშვენიერი დღეები იყო,
სამშობლოსათვის ტანჯვის და თრობის.

მე დღესაც ცრემლით მივტირი თამარს,
მივტირი ეთერს, ლუკას და გივის,
მივტირი მამულს – ყველაზე მთავარს
და გულში დიდი ჭრილობა ღვივის

გადაღვითქულა ლოცვებით ტვერი,
სჩანს ცისარტყელა გარდავლილ ღროთა,
ჩვენ გვახარებდა ძალიან ბევრი,
და გვამწუხრებდა ძალიან ცოტა...

ცხოვრება ეგრე რად გაგულისდა?!
და მენატრება სიცოცხლით დაღლილს
სიხარულის და, სიყვარულის და,
სათნოების და სიწმინდის სახლი...

ჩვენ დავიბადეთ დიდი ხნის წინათ,
ეს განცდა მთელი ცხოვრება მსდევდა,
ბავშვობის მზე და ბავშვობის წვიმა
და ბავშვობაში დარჩენის სევდა...
ახლაც ბავშვობით დამეებს ათევეს
აბრწყინებული მზესავით ჭიქით,
გავდივართ მთისფერ მდინარე-ფლატეს,
გავალწევთ ზეცის და ღრუბლებს იქით,
აღიმართება გოლგოთა მალე,
ვარ მოგონების ბადაგით მთვრალი,
და ზეცისაკენ აღპყრობილ თვალებს
ყოვლადმოწყალე მეუფის თვალი
მზედ დაადგება... ბრწყინდება სახე,
თოვლისფრად ელაგს წლები და თმები,
სამშობლოს თავზე აღმართულ მახვილს
ჩამოლეწავენ წინაპართ ძვლები,
ცას უერთდება გული და ზრახვა
შენც ამ იდუმალ სინათლით თბები...

გამოდარებულ დღესა და აწმყოს
წარსულის მზეთა ნათელი ახლავს,
შეიკრიბება ტამარში საძმო
და გული ლოცვით მიიწევს მალლა...
შემოსჯარვია ღრუბელი ნოსტეს,
გარდავალს ნისლი ადრე თუ გვიან...
და თაობიდან თაობებს მოსდევს
თვალები მზე და ჭრილობა ღია...

ბავშვობის ჟამი მზის დისკოს მოჰგავს,
ეფრქვევა სხივი ბინდისფერ სენაკს,
და მარნის მზეში სიცოცხლე მოჰყავს
პაპის დარგულ და დამყნობილ ვენახს...

* * *

სიხარულიდან სიხარულამდე
და სიცოცხლიდან სიცოცხლის მზემდე,
ჩამომისხივე სხივი გულამდე
და განმიახლე ათას წლის შემდეგ
ტკივილ-ჭრილობა, რომელსაც შენვე
ამღულარებდი შენს სიყვარულში –
მზისფერ დღეებში დაყურდა გმინვა
– და განაახლე ის მზე მამულში,
რომელიც მისდევს ოცნებებს ცამდე,
ცამდე და ამ ცის კიდევს იქით...
ბავშვობის ჩრდილი შვილივით დამდევს
და კლდე-ქარაფზე ტორტმანებს ჯიქი,
შენ სამომავლოდ ფიალას მივსებ
და მიბრდღვიალებ ლალისფერ ჭიქით...

ამ მზე-ჭიქაში სამშობლო მოჩანს,
ღვთიურ ნათლით და სულიერ მზეთი,
წინაპართ მაღლი ანათებს დრო-ჟამს
და კანდელიდან იღვრება ზეთი...

მაღლი და ზეთი გეფრქვევა თავზე,
ელვარებს მზერა დღეების მშვიდის,
სიცოცხლეს დიდი იმედით ავსებს
და გზა-სავალიც მთებისკენ მიდის...

გველოდებიან მთები და მაღლით
გახსნიან მკერდს და გვიკრავენ გულში...
თიბავენ ყანებს, კვერავენ სახნისს
სამომავლოდ რომ მარხავენ ხნულში...

ამ ხნულში ქართულ მომავალს თესენ,
არ ჩერდებიან წუთით თუ წამით,
და წინაპართა ადათს და წესებს
იმეორებენ დღისით და ღამით...

და წინაპრებზე ვფიქრობ და ვდარდობ,
მათ საფლავებზე შემდგარან მთები...
ხსოვნაში თვალებს ახელენ ფართოდ
წარსულში მოყვრად ქცეული მტრები,
შენ ეს ლამაზი ფიქრები გათბობს
და ამ უწმიდეს ბადაგით თვრები.

ცხოვრება დგას და ცხოვრება მიდის,
წრებრუნვის არსი ნიადაგ დამდევს...
და მოსესავით ღინჯად და მშვიდად
აღპყრობილია ხელები ცამდე...

და მთებზე ღვება მზიანი ღამე,
მზიანი დღე და მზიანი დილა...
და საათებში გარდაქმნილ წამებს
გაიხსენებენ თბილად და ტკბილად...
ჩამოიხსნიან ყველანი ნიღბებს,
აქ სინამდვილეს მითებიც ერთვის
და წინაპართა ადათებს მიღმა
კიაფობს ცა და ბრწყინდება ღმერთი...



დეკანოზი დიმიტრი

წმინდა მოძღვარი

დეკანოზ დიმიტრი აბაიშვილს

შენი ჭაღარის უწმიდეს ნათელს –
თვალს ვინ შეავლებს, ვინ შემოწვდება?!
– გარიჟრასისას იხილავს მნათე,
იხილავს მნათე... და გაოცდება...
...მერმე დარჩება წმინდა მოძღვარი,
ქვაბულ-სენაკში მარტოდ შთენილი,
მარად მართალი, მუდამ ცოცხალი,
ღაწვებზე ცრემლ-სისხლ ჩამოდენილი...
ამ სამყაროდან იმ სამყარომდე
მაცხოვრის მაღლად გადაფენილი...

2 დეკემბერი, 2020 წელი



ქეთევან ღოლიძე

ცრემლების ბარათები

გიორგი მთაწმიდელს

1065 წელს გიორგი მთაწმიდელმა საქართველოდან ათონში აღსაზრდელად 80 უღელმამო ბავშვი წაიყვანა, ისინი ჯერ უფალს, შემდეგ კონსტანტინოპოლის იმპერატორს შეავედრა და გარდაიცვალა. მისი წმიდა ნაწილები მთაწმიდის ივერთა მონასტერშია დაკრძალული.

ქართველთა მნათობო, ნეტარო მამაო,
ათონის ივერთა მონასტერს აბრწყინებ,
ოთხმოც ბავშვს დაედე წამლად და მალამოდ...
და მერე ემთხვევინე შენს წმიდა ნაწილებს.

კალაპოტს მიჰქონდა ქვითინი ღვარებად...
ბავშვებმა გაწვიმეს ცრემლი და გალობა, —
კაცთაგანს არ ახსოვს ასეთი წყალობა...
და იყო ივნისი... და პეტრეპავლობა.

სიბრძნით და სიკეთით აპურე მშვივრები...
და მათაც გულწრფელი თვალებით გიმშობლეს,
უდედო, უმამო, ქართველთა შვილების
ცრემლების ბილიკი უნახავს ღვთისმშობელს...

მრავალმა მათგანმა ათონზე იღვაწა,
მადლი დაუბრუნდა სამცხეს და თრიალეთს,
ყველა ბერად შედგა? — იკითხავს ვიღაცა,
ხოვმა მთარგმნელებად, მწერლებად იალეს...

ცოდნის წყაროსთვალო, ნეტარო მამაო,
ათონის ივერთა მონასტერს ანათებ...
შენი საქართველო უფსკრულზე ქანაობს...
გულიდან გიგზავნი ცრემლების ბარათებს...

იოანე ნათლისმცემელს

„უდაბნოს ნერგო“, იოანე,
მზეო-სანთელი
და სულიწმიდით ანთებული
ღმერთის კანდელი.

წინამორბედო, ქრისტეს ძმაო,
ვაზო თავკვერო,
კანკელო უფლის,
იორდანეს გულის სარქველო.

დამაბერტყინე, სულის ფუთა
ნაფლეთ-ნატკენი...
შემადლებინე, განრღვეული
გული გაკვერო.

არ მისცე ნება
საქართველოს, ცოდვამ გაქელოს,
ევედრე უფალს,
სინანულით რომ გაგვამრთელოს.

გადარჩები...

წმიდა პეტრეს შეავედრე გული
და გონება შეავედრე პავლეს,
გადარჩები, თუნდაც იყო კრული,
გადარჩები, თუნდაც იყო სავლე...

ხომ არ გინდა დედამიწა — ბერწი?!
ნულარ იტყვი, — არ ვიცი და რავი...
თმიდან აღარ ჩამოგცვივა ბეწვიც,
გადარჩები მგლის ხროვაში კრავი.

გადარჩები! — შენ უყვარხარ უფალს,
შენც არ იცი, ისე ტირის შენთვის...
ეს — ცრემლები მოდის ლაპა-ლუპად...
ენანები ჯოჯოხეთის ბჭისთვის.

გადარჩები, თუნდაც იყო სავლე...
გადარჩები, თუნდაც იყო კრული,
და გონება შეავედრე პავლეს,
წმიდა პეტრეს შეავედრე გული.

მერაბ მიქელაძე

– ანთროპოლოგიის დოქტორი (2012), საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი. 1992 წელს დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი ფრანგული და ინგლისური ენების სპეციალობით. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1996-1999 წლებში იყო საფრანგეთში საქართველოს საელჩოს კულტურის ატაშე. 2003 წლიდან ეწევა სამეცნიერო-კვლევითსა და ლიტერატურულ საქმიანობას. მის მიერ ითარგმნა და გამოიცა შარლ ბოდლერის „სევდა და იდეალი“ (2008), კლოდ ლევი-სტროსის „ტოტემიზმი დღეს“ (2010), ჟან დე ლა ფონტენის იგავ-არაკები (2020), ივ ბონფუას პოეზიის კრებული „მოდრაობა და უძრაობა დღვისა“ (2021).

„საქართველოს მოამბე“ გათავაზობთ ცნობილი ფრანგი პოეტების ლექსების თარგმანებს მერაბ მიქელაძის კრებულიდან.

არტურ რემბო

ოფელია

I

სადამოს ტალღა, სად ვარსკვლავებს ერევათ ძილი,
მიარწევს სხეულს ოფელიას, როგორც დუმფარას,
ირწევა მშვიდად თეთრ ვუალზე გადაწოლილი,
– ტყეში საყვირი მონადირის ამხელს მუქარას.
ათასი წელი მიილია, რაც ოფელია,
დაბინდულ ტალღას მიუყვება – თეთრი აჩრდილი,
ათასი წელი ნაზი ვნება ვერ შელევია,
არ გაუმხილოს ღამის ნიავს გულისწადილი.
უკონცის ქარი მას ძუძუებს და როგორც ყვავილს,
გადაშლის ვუალს, ტალღებისგან მდორედ დარწეულს,
შიშველ მხრებს ძეწნა ცრემლს აპკურებს რიდით და კრძალვით,
თავს უხრის ლელი მოწიწებით მეოცნებე შუბლს.
ოხრავენ ირგვლივ ლოტოსები, მოეცვათ თალხი,
თვლემამორეულს ხის ტოტებში ზოგჯერ აკრთობენ,
პატარა ბუდეს, სადაც ფრთების ისმის ფართხალი
და ოქროსფერი ვარსკვლავები ჰაერს ათრობენ.

II

ჰოი, ფერმკრთალო ოფელიავ, თოვლივით სუფთავ,
წყალმა მოგტაცა სილამაზე გამოუთქმელი,
შენ ნორვეგიის ზვიად მთების ჩაგესმის სუნთქვა,
როგორც ჩურჩული დაწყევლილი თავისუფლების.
თავნება სიომ გაგიშალა ეგ დალალები,
უცხო ხმაურით შეარხია ჰანგები სულის,
გულში ბუნების ჩაგესმოდა გულისნადები,
ხეთა ჩივილი, სევდიანი გალობა მწუხრის.

შეშლილი ზღვების ხმა საზარი, ქარი და დელგმა
 გინგრევედა ბავშვურ გულისფიცარს, თბილსა და სათნოს,
 უცხო რაინდი, ფერმიხდილი, აპრილის დილას,
 საბრალო შლეგი ჩამოგიჯდა მუხლებთან ახლოს.
 კარი გაუღე, ჰოი, ზეცავ, უმანკო ზრახვას,
 ფიფქივით დადნი, მოგერია ცეცხლის ალები,
 ყმაწვილქალური გულჩვილობა ოცნებას აჰყვა,
 მარადისობამ არ დაინდო ლურჯი თვალები.

III

ამბობს პოეტი, რომ ვარსკვლავთა კაშკაშა სხივზე
 კრეფდი ყვავილებს, ვით შეშლილი ღამის ფერია,
 წყალზე სარეცლად გაგეფინა გაშლილი რიდე,
 არწევდა ტალღა დიდ დუმფარას – თეთრ ოფელიას.

სეზუმი მძინარე

სადაც მძინარე მწვანე ჭალას სიმღერით ართობს,
 ლურჯი ბალახი დაფერილა სადაც ვერცხლისფრად,
 სადაც ამაყად მდგარ მწვერვალებს ცხელი მზე ათბობს,
 მთებში მოქცეულ ხეობასაც თვის გულში იკრავს,
 წევს ჯარისკაცი, თავშიშველი, სახემცინარე,
 ყვავილთა ტევრში დაშლილ ქოჩორს სიო თუ ეძებს,
 ცისქვეშ, ბალახში გამოტილი მშვიდად მძინარე,
 ჩაჰკონებია სასიკვდილო მწვანე სარეცელს.
 ბალახი სუსხავს უძრავ ფეხებს; ღიმილი ძილში
 სახეს უნათებს ვით სნეულ ბავშვს და გრძნობს მთის ძირში,
 ეალერსება, მთლად გაყინულს, ბუნება არწევს.
 სურნელით თრობა აღარ ძალუძთ უძრავ ნესტოებს,
 შეხსნილ გულისპირს ხელი ფარავს, ხელი ვერ ტოვებს,
 მშვიდია, თითქოს ნატყვიარის დარდიც არ აწევს.

განცდა

ზაფხულის პირას, ლურჯ საღამოს, მინდორში წასულს,
 დამჩხვლეტს თავთავი და გავთელავ ბალახს ნაფერებს,
 ამყვება მიწის სიხალისე ოცნებით გართულს,
 თავს გაშიშვლებულს მოთარეშე ქარს მივანებებ.
 არცრას ვიფიქრებ, არც მოვცდები სალაპარაკოდ,
 რადგან უსაზღვრო სიყვარულით მევსება სული,
 წავალ... შორს წავალ და გავიხდი ოცნებას სარჩოდ,
 ისე ვით ქალთან, ბუნებასთან შეუღლებული.

პოლ ვერლენი

ბოლო იმედი

სასაფლაოზე ერთი ხე ხარობს,
ტანაყრილია, თავისუფალი,
არ მოსავს გლოვის თავსაბურავი,
მოწყენილ ფიქალს ნიავეთ ართობს.

ხეს ღღენიადავ ჩიტი ეწვევა,
ნაზი გალობით გული ეწვევა,
გალობს და წარსულს უხმობს ერთგულად,
ამ ხეს, ამ ჩიტსაც თითქოს ჩვენ ვგავართ,

შენ – მოგონება, მე კი – არყოფნა,
ნუთუ ეს არის, რაც დრომ გვამყოფა,
მსურდა ეგ კალთა სასთუმლად კვლავაც!

ეგ სითბოც მსურდა ჩემად მეგულება, –
თუკი ყოველი ქარით დაიბნა,
მითხარ, შენს გულში თუ შემრჩა ბინა?

* * *

მოულოდნელად*
თავი ჩემი
მოიცვა ძილმა.
უმაღ ჩათვლიმა
ყველა ვნებამ,
ყველა სურვილმა.
ველარც ვერაფერს
ველარ ვხედავ,
ხსოვნა მიქრება,
კეთილს და ბოროტს
ველარ ვარჩევ,
გული მიკვდება.
ასე მგონია,
ვარ აკვანი
ვიღაც რომ არწევს,
სადღაც მღვიმეში,
სიჩუმეში,
უკუნი მაწევს.

* Un grand sommeil noir...

შარლ ბოდლერი

შემოდგომის სიმღერა

I

ცივი წყვდიადი ჩვენში მალე დაისადგურებს,
რა ხანმოკლეა მზით გამთბარი

ზაფხულის დარი!

გლოვის ზარივით გულსაკლავად

ჩაესმის ყურებს,

როგორ ეცემა ქვაფენილზე ფოთოლი მკვდარი.

დაეუფლება ჩემს არსებას ზამთარი სრულად,
ვერ გაექცევი ჯაფას, ბოლმას,

ზიზღსა და ნაღველს,

მზე პოლარული, გარინდული, ეძლევა ურვას

და ჩემი გულიც ემსგავსება ყინულის ნატეხს.

ცახცახი მიპყრობს, ხმელი ტოტი როცა ეცემა,

ისეთი ხმა აქვს, თითქოს სადღაც

დგამენ ეშაფოტს,

ჩემი გონება იმ განწირულ კოშკს ემსგავსება,

ნგრევის მანქანა რომ წაუქცევს

ყველა საყრდენ ბოძს.

ასე მგონია, დარწეული ხმით შემზარავით,

ჩქარობდეს ვიღაც, რათა კუბო

ლურსმნებით შეკრას,

უეცრად დგება შემოდგომა ზნით შემპარავით,

და განშორებას სურს, ნატანჯ სულს

იარა შეხსნას.

II

მოგრძო თვალების როგორ მიყვარს

მომწვანო სხივი,

დღე გამითენდა, ჩემო ერთავ, მწარე სიცივის,

ვერც შენი ტრფობა, ბუღუარი თუ კერა თბილი,

ზღვის ზედაპირზე მოლივლივე

მზეს ვერ შემიცვლის.

გიყვარდე მაინც, სათნო გულო! იყავი დედა,

უმაღურს, ბოროტს, გამინათე გზები სავალი,

მომეცი სითბო, დავ და სატრფოვ,

ხანმოკლე დღეთა,

სევდანარევი შემოდგომის, მზის ჩამავალის.

დაელო ზღვარი ძალისხმევას! სამარე გველის,

ნება მომეცი, შენს კალთაში რომ თავი ჩავრგო,

მსურს გამოვიხმო სინანულით

ზაფხული მწველი,

წარსული წლები სხინათელი

ფიქრით მოვქარვო!

ვიქტორ ჰიუგო

ღარიბებს

(ფრაგმენტი)

გაეც, მდიდარო! დობილია წყალობა ლოცვის,
როდესაც მოხუცს აღარ შესწევს უნარი მოცდის,
შენს სახლს გარშემო ხელგაწვდილი ამოდ უვლის,
როცა ბავშვები, სიცივისგან გათოშილები,
შენს ნასუფრალზე დარჩებიან მაინც მშვიერები,
მაშინ დაგტოვებს საბოლოოდ წყალობა უფლის!
გაეცი! ღმერთი მიანიჭებს ყველაფრის მქონე
შენს ქალიშვილებს სათნობას, შენს ვაჟებს – ღონეს,
რომ არ დაკარგოს სიტკბოება შენმა ვენახმა,
შენი ბელელიც რომ გაევისოს ხორბალს ჭერამდე,
რომ ჩაძინებულს შეგძლებოდეს ისე ამაღლდე,
როგორ ჩაგივლის ანგელოზი რომ დაგენახა!
გაეცი! რადგან მიწა ფეხქვეშ გამოგეცლება,
წყალობა კიდევ ცაში მადლად გადაგექცევა,
გაეცი! ეთქვათ: „მოგვეკიდნენ ჩვენც გულისყურით!“
რომ უპოვარი, გათოშილი ამაო გარჯით,
ანდა ღარიბი, შენი ღმერთის შემყურე ტანჯვით,
შენს სასახლის კარს მიაშტერდეს ნაკლები შურით!
გაეცი, რადგან შენი ხატი – ღმერთი ახარო,
რათა ბოროტმაც შენ წინაშე თავი დახაროს,
გაგეთბოს კერა, ხოლო გამვლელს ბინა ეთხოვოს,
გაეცი! იქნებ მიჯაჭვული სიკვდილს საწოლზე,
ცოდვების გუდა, შეგდებული განსჯის სასწორზე,
ერთი ყარიბის შესანდობარს გადაეწონოს!

როს ორი გული სიყვარულით**მშვიდად ბერდება**

როს ორი გული სიყვარულით მშვიდად ბერდება,
ო, რა მყუდროა, რა მწველია ბედნიერება!
სულთა კავშირი უნაზესი დროს არ ნებდება,
ტრფობის ალები კი არ ქრება, ოდნავ ნელდება.
ეს ორი გული სიყვარულმა ერთად აქცია,
მოგონებებიც, დროის ნაჟმა ერთად არწია!
ცხოვრების გზაზე მუდამ ერთად უნდა იარონ,
– ჩემო ძვირფასო, ეს ცხოვრება გვაქვს საზიარო!
დილით ნათდება, უშფოთველად ისევ ღამდება
და მეგობრობაც სიყვარულთან ერთად მყარდება!

რა გველის ბოლოს?

სიცოცხლე გველის თუ სამარე ბოლოს განგებით?
 ტალღა დაგვარწევს? იქნებ ბნელში დავიკარგებით?
 თუ გამოჩნდება ხეტიალის ბოლოს მიზანი?
 იქნებ აკვნიდან უკვე გვმართავს ბედის მისანი?
 ჩვენს ტკივილებში, სიხარულში, ნეტავ ვართ რანი?
 უფლის რჩეულნი თუ უბრალოდ – ბედის ზვარაკნი?
 ჰოი, უფალო, გაგვიმხილე, ძლიერო, მშვიდო,
 მიტომ დაგვბადე მძიმე სვედრი ზურგით რომ ვზიდოთ?
 იქნებ გოლგოთა გველოდება უკვე ბაგაში?
 მოვლილი ბუდე, მოლიცლიცე დილის კამკამში,
 სადაც საცაა ყვავილწნულში ბარტყი გაჩნდება,
 თუ ჩიტს ეკუთვნის, მონადირეს რატომ დარჩება?

პიერ დე რონსარი

როცა მოხუცდებით

როს სანთლის კრთომა მოგაგონებთ წლების სინაზეს,
 მოხუცებული ბუხრის ალთან ხელსაქმეს მიჰყოფთ,
 ჩემი ლექსები გულს ბუნარზე მეტად გაგითბობთ,
 იტყვიან – რონსარი აღმერთებდა ჩემს სილამაზეს.
 თქვენი მოახლე როს ჩემს სახელს ძილში გაიგებს
 ქანცმილეული უმაღ ზეზე წამოფრინდება,
 სანამ ძილ-ბურანს თავს დააღწევს, გაირინდება
 და თქვენთვის კვლავაც უმურველად ხოტბას გაიღებს.
 მე მაშინ მხოლოდ უსხეულო ვიქნები ჩრდილი,
 უკუნი ძილით დავიძინებ მიწამიყრილი,
 თქვენ კი, ბუნართან ჩამომჯდარი, მოხრილი დარდით,
 ინანებთ, გრძნობას გულგრილობით რომ უპასუხეთ.
 თუ მერწმუნებით, ტრფობის წალკოტს წყალი ასხურეთ:
 ქარს ნუ გაატანთ, დღეს მოწყვიტეთ ლამაზი ვარდი.



ჯიბო ჯიპერი (ნეტარბე) (1933-2015)

მაგარი პურის ჭამა

ნამდვილი ამბავი

ჭიათურა-საჩხერის ლიტერატურული გაერთიანების შეკრება-მეცადინეობა ცოტა დროზე ადრე დავამთავრეთ. მალაზიიდან მალაზიაში დავეხეტებოდით, მაგრამ ვერსად პური ვერ ვიყიდეთ. ყველგან პურის გაყიდვა დამთავრებული იყო. ეს არის იმ საუკუნის 60-70-იანი წლები, როცა პურის მალაზიებთან გრძელი რიგები იდგა. პური საკმარისი არ ცხვებოდა, იმას კი არავინ კითხულობდა, რისგან აცხობდნენ და როგორ. თანაც პურს ყიდდნენ არა ცალობით, არამედ დაჭრით და სასწორზე აწონით. წონით გაყიდვაში ვინ ვის, რამდენს და როგორ ატყუებდა, ამის გამკითხავი არავინ იყო.

აი, ასეთ ვითარებაში სამი პოეტი ვდგავართ ქუჩაში მშვივრები და ვეძებთ პურს. შამშე აბაშიძემ თქვა: ვიყიდოთ თითო ბოთლი ღვინო, ცოტა ყველი, მწნილი და ვიღაც ნაცნობს მივადგეთ სტუმრებად, ერთი ნაჭერი პური როგორ არ ექნებათ ოჯახშიო. ამას გუგული დეკანოიძეც დაეთანხმა, მე რა გზა მქონდა არ დავთანხმებოდი. დავიწყეთ ჯიბეების მოჩხრეკა და უცებ თავზე წამოგვადგა პოეტი პლატონ ჩადუნელი, რომელიც სამუშაოდან ადრე წამოსულიყო, რომ კულტურის სასახლეში ჩვენთვის შეკრებაზე მოესწრო. გაირკვა, რომ მოგვემატა მეოთხე მშვიერი პოეტი.

– ნაგუთის დასახლების ერთ მალაზიაში ნაცნობი გამყიდველი მყავს, ავიდეთ, რაღაცას გვიშველისო, – თქვა პლატონმა და წავედით. წარმოიდგინეთ, იქ უარესი ამბავი დავგვხვდა. ხალხს პური არ ყოფნიდა და დახლები დიდი ჭყლეტის გამო ისე მიედრიც-მოედრიცათ, რომ რამდენიმე კაცი ძლივს ასწორებდა. უსიტყვოდ მივხვდით ყველაფერს, მაგრამ მაინც ვკითხეთ: ცოტა პური მაინც თუ გაქვთ-თქო.

– პური გაგვითავდა, გვაქვს მარტო მაწონი. სხვანაირ პასუხს არც მოველოდით, მაგრამ პლატონმა გამყიდველის ნათქვამ წინადადებას ისე მოარგო თავისი სა-ხელდახელო სწრაფულა, გეგონებოდათ გამყიდველმა დაიწყო და პლატონმა იმავე რიტმით და საზომით გააგრძელაო:

„თქვენი რა ბრალია, სულ არარაობას კიდევ კარგია, რომ დაგრჩათ ეს მაწონი. სხვა არაფერი გაქვთ, თუმცა აი აგერ მწვანელი გქონიათ, არც მთლად მოსაწონი, ყველაზე ცუდია, რომ არ გაქვთ მთავარი – პური არც ცალობით, და არც ასაწონი.“

ამ მოსწრებულ სწრაფულაზე, ყველას გაგვეცინა: ჩვენც, გამყიდველსაც და იმ მუშებსაც, რომლებიც დეფორმირებულ დახლებს ასწორებდნენ. ასე დავრჩით უპუროდ ოთხი მეგობარი პოეტი.

გუგული დეკანოიძემ გვირჩია:

– ავილოთ ეს მაწონი, თითო ბოთლი ღვინო მეორე სექციიდან, ცოტა ყველიც და წავიდეთ გინდ ჯიბოსთან, გინდ ჩემთან, მეც მარტო ვცხოვრობ, იცით, და ვწრუპოთ ნელ-ნელა. თან ლექსებიც დავაყოლოთ ხოლმე და, რომ დავიღლებით, დავგვიძინება მერე აბა, რა ჯანდაბა მოგვივა. ხვალამდე გავძლებთ, ხვალ ადრე ჩავდგეთ რიგში და ავანაზლაუროთ დღევანდელი შიმშილობა.

– არც აგრეა საქმე, – თქვა პლატონ ჩადუნელი, – ავილოთ მაწონი, თითო ბოთლი ღვინო, ცოტა ყველი და დანარჩენი ჩემზე იყოს; ჩემთან გეპატიჟებით. რადგან ასე გაფუჭდა ჩვენი საქმე, გაპირდებით, სამახსოვროდ მაგარი პური ვჭამოთ.

– შე კაცო, მაგარი პურის ჭამა კი არა, კუჭი შიმშილით გვიხმება, ერთი ლუკმა პური

ვერ ვიშოვეთ, შენ რა, სახლში პურის საცხობი გაქვს თუ გვაშაყირებ – ცოტა გამწყრალმა ჟარგონულად წაუქუჩურა შამშემ.

– არა, არ გეხუმრებით, რადგან ამ დღეში აღმოვჩნდით, ამის სამახსოვროდ მინდა მაგარი პური გაჭამოთ, – არ იშლიდა თავისას პლატონი.

არ მოველოდით ვითარების ასე შეცვლას, იმედი მოგვეცა. ავიღეთ მაწონი, მიყრილ-მოყრილი მწვანელის ნარჩენები, მეორე სექციიდან ყველი, ექვსი ბოთლი ღვინო და წავედით.

კარები პლატონის მეუღლემ, ქალბატონმა ლატავრამ გაგვიღო, მაგრამ ოთხი კაცი რომ დაგვინახა, შევატყვე, ფერ-ფური დაეკარგა. ჩვენ მიტანილ ჩანთას რომ გადახედა და პური არ ჩანდა, სტუმართმოყვარე დიასახლისს ხასიათი გაუფუჭდა. ისეთი თვალებით შეხედა ქმარს, რომ უსი-ტყვოდ ნათქვამი ყველამ ამოვიკითხეთ: ეს რა მიყავი, რა გავახერხო ახლა მეო. ჩვენც დავიბენით, ვიცოდით ქალბატონ ლატავრას სტუმართმოყვარე ხასიათი, ყოველთვის გულუხვი მასპინძლობით გვხვდებოდა ხოლმე. ახლა? ახლა ისიც უხერხულ დღეში ჩავაყენეთ და ჩვენც თავი შევირცხვინეთ.

– რა იყო, ქალო! რავა ჩამოყარე ყურები. მთელი ქალაქი დავიარეთ, მართალია, პური ვერ ვიშოვეთ, მაგრამ ღვინო, ყველი, მწვანელი, მწნილი გვაქვს. ამ ბიჭებს შევპირდი, დღეს მაგარი პური უნდა ვჭამოთ-მეთქი.

– პლატონ, ცოტა ფქვილი გქონდა, ბავშვებს ფაფა მოუდულე და ისიც აღარ გვაქვს. რა უნდა გავახერხო ახლა? – სიტყვიერი საყვედურიც გაბედა დიასახლისმა.

– შენ დიდი ქვაბით წყალი დაადგი ღუმელზე და მე ვიცი რაც უნდა „გავახერხო“. პირობას ხომ ვერ გადავალ, დღეს სამახსოვროდ ამ ბიჭებს მაგარი პური უნდა ვაჭამო, – თქვა

პლატონმა და აივანზე გავიდა. ყველა ფრთა-მოტეხილი ბელურებივით ვიბუზებით. შემოდის პლატონი და მოაქვს სავსე, უჯრედებიანი ბაღურა, ტომარა, რომელიც მაგიდაზე კაჟის ქვებივით დაახრიალა. ეს იყო გამხმარი პურის ნატეხები, ვინ იცის როდინდელი გაკიდებული მზეში, ქარსა და ყინვაში. ყველას აგვიტყდა ხარხარი, მაგრამ რა ერქვა ამ სიცილს, ან რა ხასიათის სიცილი იყო, ამის ზუსტი განსაზღვრება არ შეიძლება. ერთი რამ ყველამ ვიგრძენით, რომ „მაგარი პური უნდა გვეჭამა“.

– მე ხომ შეგპირდით, მაგარ პურს გაჭმევთ-მეთქი. ჰოდა, ესეც მაგარი პური, – თქვა პლატონმა და პატარა კვერთხი დაუწყო პურის ნატეხებს მტვრევა, შიგადაშიგ მწვანედ დაობებულ ნაწილებისაგან გამორჩევა. ჩვენც მივიღეთ ამ შრომა-გარჯაში მონაწილეობა და ერთი დიდი გობი გავავსეთ სალი ნატეხებისაგან. ქალბატონ ლატავრას დაუბრუნდა თავისი ჩვეული ხალისიანი იერი. მან მდულარე წყლის ორთქლზე ისე ჩააბუჭბუჭა ნაწილ-ნაწილ ეს რიყის ქვებივით პურის ნატეხები, რომ პურის სურნელვამ გავგაბრუა.

ჩვენს მოტანილ მცირე სანოვაგეს დიასახლისმა ოჯახური რაღაც-რაღაცეებიც შემოუმატა და სუფრა დაიტვირთა. შიმშილის გრძნობას რომ წირვა გამოვუყვანეთ, მხიარული, ჩვენთვის ჩვეული, თავისუფალი განწყობილება დაგვეუფლა; მოტანილ ღვინოს საღვინე, პატარა ჭიქებით შევექეცით და სადღეგრძელოებს სადღეგრძელოები ცვლიდა, ლექსს-ლექსი, ანეკდოტს – ანეკდოტი. იყო სჯა-ბასი ცხოვრების უკუღმართობაზე, გამრუდებულ პოლიტიკაზე. შიგადაშიგ პლატონის გიტარაც გაიჟღერებდა ხოლმე. ასეთ უსაზღვრო მხიარულ ქეიფში შემოგვადნა ღამე და განთიადისას დავიშალეთ.

მართლაც რომ, მაგარი პური ვჭამეთ.

ხათუნა პატაშური

წ ი ზ ო რ უ ი

(ნაწყვეტები მთიულური დღიურიდან)

აქ სად მოეხეტე, ნასახლარებზე რაღას დაეძებ, რა დაგრჩა განუცდელი და განსაცდელი. იჯექი ამ ნანგრევებზე და შამბნარს ჩაჰყურე: შენს ნასახლარს, პაპაშენის ნაფუძარს. ეს დისონანსიც შენ გაიგე, ბოლომდე განიცადე. რას დაეხეტები კალმითა და ბლოკნოტით. რას ვერ გაიგებდი და დაინახავდი, თუნდაც დაბლა, ვაკეზე მდგარი? რას იპოვი, რას გამოსცდი განუცდელს მხოლოდ აქ და ახლა. იქნებ ფოტოები გეკმარა? აქ ვინ შეგიწყნარებს, ამდენს რას დაეხეტები. ჰო, ისევ კალმით სცადე და გამოსცადე შენი უმწეობა: ისევ, ხელახლა, თავიდან, არაფერი გამოგრჩეს. თუნდაც ასე იყოს: მთები – გოლიათები, ანდა მთები ბუმბერაზები – ხეებით ჩათხრილი, თეთრ ზოლებად დასერილი გულმკერდით, ფერდობებს ზათქით მიდევნებულნი. განაგრძე! გესმის ხმა თუ თრითინი ჭრიჭინობელათა? დაწერე! ხვლიკები განაბულან ხავსით დალაქულ ნანგრევთა ლოდებზე. ახალა? შენია? განუცდელი ხმებია? აღწერე! დამეხილ ხეებზე რას იტყვი? წერა გააგრძელე, ამხელა აღმართი ამოვივლია. დროის – არა, განწირულების სევდა დასტყობია ნასოფლარის ოდინდელ ბაღებს: ჭანჭურებიც კი დახავსებულან. ზოგან გამხმარან და ჩაჩხილან, მაგრამ, სადაც განედლებულან, იქ თავგამეტებით მოუსხამთ, გახელებით – დახუნძლულან. ნაყოფი საღი აქვთ. თითქოს ასეთი თავგამოდებით მთიელებს უხმობენ უკან: დაბრუნდითო! აქ, რა ვერ ნახეთ და, იქ რას გაედევნეთო. ხევი რას მოგძახის, ხმა თუ იცანი? არაგვისგან რით გამოარჩევდი. ისიც შენსავით თავის გზას, თავის ხსნას ეძებს, სანამ დიდ მდინარეში ჩაიკარგ-ჩაილეწება. კარგი! ისევ დღიურის მშვიდ მდინარებას გაჰყევი და მოჰყევი ერთი სოფლის, ნასოფლარის – „წი-

ფორის“ (ალბათ, წიფლიანის) ამბავს. ჩემი დიდი პაპის დიდ სახლობასა და ნასახლარზე თეთრმა არაგვმა იცის. ყველაფერი დაწვრილებით ემახსოვრება. სოფელს „წიფორი“ რატომ ჰქვია, არ ვიცი. მგონი, არც მიკითხავს, თორემ ის მაინც მეცოდინებოდა, რატომ არ ვიცი. არადა, ფოლკლორის გამოცდაზე გამომცდელს დავპირდი, მთიულეთს შევისწავლი, ყველა სოფლის სახელს ჩამოგითვლი, ოღონდ დამსახურებულ ნიშანს ნუ დამაკლებ-მეთქი. ხომ ვთქვი უკვე „წიფორი“ თეთრი არაგვის ხეობისაა. ნანგრევებად ქცეულ ნასოფლარში ორი სახლილა იმაგრებს თავზე ჭერს. აქედან ასახლებულა დიდი პაპა: კოფა პატაშური და მარიამ ბუჩუკური. პაპაჩემი ნიკოლოზი ცხენზე გადაკიდებული ხურჯინით წაუყვანიათ კახეთში. იქაურ მკვიდრთ დღემდე ახსოვთ პატაშურთა ამ შტოს ისტორია და გოლიათ ძმებზე ლეგენდებს ჰყვებიან. დიდი ბაბო – მარიამი ავქალად მოიხსენეს; ის რომ ჩხუბს დაიწყებდა მთის წვერზე, ხმის ექო ჩვენამდე აღწევდაო. ტიპიურ ოთარაანთ ქვრივად წარმომიღვა ბებიჩემის მონათხრობიდან. სოფელი რომ უძველესია, ამას სოფლის ეკლესიაც მოწმობს. გადმოცემა მის მშენებლობას თამარის მეფობას მიაწერს. წარწერა აღნიშნავს, რომ ის 1870 წელს განუახლებიათ. იქვე მოშორებით, ზედ მთის ქიმზე, ქვის ჯვარია აღმართული. დახავსულ, დაქარაგმებულ წარწერას სიპის ქვით ვფხეკ და ძლივს ვკითხულობ: „1876 წელსა ოკლომბრისა/5 დღესა სადღეგრძელოთ/სულისა და ხორცისა ჩვენისა/მეუღლისა და შვილთა ჩვენთა/და ბიძაშვილისა ჩვენისა შევსწირეთ წიფორის წმინდა გიორგის ეკლესიასა ჯვარი ესე წარსაგებელი ჩვენი. მხილველნო ვითხოვ ყოველთაგან რათა გვითხ... ღნ ცოცხალთათ-

ვის დღევრებლობა და მიცვალებულთათვის“.
 ყოველი გოჯი ჩუმი იღუმალებით სუნთქავს.
 ლეგენდებად ქცეულა – ნასახლარებად დარჩე-
 ნილი. აკლდამათა კვალს იპოვი ამ ლეგენდათა
 გასაცოცხლებლად, თუმცაღა კლდეში ჩათხრილი
 ორმოებიდან აღარც აკვნები მოჩანს და, აღარც
 – ადამიანის ძვლები, მხოლოდ ანწლი ბიბინებს.
 მოგვიანებით, აკლდამები ოქროს აკვანთა მაძიე-
 ბელთ გაუთხრიათ, თუმცა არავინ იცის, იპოვეს
 თუ არა იქ ის, რასაც ეძებდნენ. გვალვის დროს
 აქედან ამოჰქონდათ ბავშვებს ადამიანის ძვლები,
 ხეში აღბობდნენ და წვიმაც მოდიოდაო, ოღონდ,
 თუ მას ხევის წყალი მოსტაცებდათ, დიდხანს
 აღარ გადაიღებდა „გაინიჟებდა“. წვიმის შემდეგ
 კი, ძვალს თავის ადგილას აბრუნებდნენ. ვცდი-
 ლობ ჩავწერო ყველაფერი: ქარის წისქვილიდან
 მოყოლებული – დღეობათა მსვლელობის რიტუ-
 ალამდე. „წიფორზე“ არაფერი გამიგია წიგნე-
 ბიდან. არც ახლა ვიცი ვინმეს თუ გამოუქვეყ-
 ნებია მასზე რამე წერილობით. „გიორგობა“
 – წიფორში ყველაზე დიდი დღესასწაულია.
 კრძალვა და მოშიშება ეკლესიისადმი სასწაუ-
 ლებს განუმტკიცებით. მის მოსახილად წასულს,
 ბავშვი გამაყოლებს და გამაფრთხილებს: საქალო
 ბილიკს გაჩვენებს და იმაზე ახლოს ნუ მიხ-
 ვალო. ახლოს მისულს, ბილიკი საკმაოდ მეშორა
 და ვიურჩე. წარმართობად მივიჩნიე ამგვარი
 ტრადიცია და ეჭვით ვუმზერ და ვუსმენ აქა-
 ურთ. თეთრ ეკლესიას ეზომდე ვუახლოვდები.
 ჩავყურებ გაუქმებულ ქვევრებს და კკითხულობ
 წარწერას. ამაყად ფრიალებენ თეთრი დრო-
 შები. განცდათა აღწერის ვერ შემძლე, მცირე
 ჩანახატს ვაკეთებ და ფერდობის სასაფლაოთა
 უძველეს წარწერათა ამოკითხვას ვცდილობ.
 დრო-ჟამს ქვაც კი შეუჭამია. თითი შეეტევა
 გამორღნილ ბეტონში. სოფელში გვიან დავ-
 ბრუნდით. ცხადია არ მითქვამს, რომ გაფრთხ-
 ილება ყურად არ ვიღე. დილით მითხრეს, რომ
 გოგონას მთელი ღამე მაღალი სიცხე ჰქონდა და
 ათქმევინეს, რომ მათი გაფრთხილება არაფრად
 ჩავაგდეთ და საქალებო ბილიკს ავცდით.
 გიორგობის დღესასწაული ღამისთევით იწყება,
 დილით ხატს გამოაბრძანებენ და ეკლესიის

კარზე დააბრძანებენ. მერე მღერით მოჰყავთ
 რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებულ, მთაზე
 აღმართულ ქვის ჯვართან. ამ ჯვართან მოდის
 თოთოეული თავისი სავედრალით: ახვეწებენ
 ჭირთა და სნეულებათაგან განკურნებას. მო-
 შორებით საკლავები იკვლება. ხატის დასტურნი
 აღასრულებენ ამას, დეკანოზნი კი შეახვეწებენ
 შემოსაწირს, „დაამწყალობნებს“. წმინდა გიორგი
 ის არია, ვინც ურმის შინზე დააკრეს და მთიდან
 დააგორეს. მისი სხეული 363 ნაწილად დაი-
 ფლითა. დაგორებულ ურმის თვალს ღმერთმა
 თავისი მსტოვრები გააყოლა, იმათ აკრიფეს
 მისი დაფლეთილი სხეული და თითოეულ
 ეკლესიას ჩაატანეს საძირკველსა და კედელში.
 წიფორის წმინდა გიორგის ეკლესიაში მარჯვენა
 მხარია ჩატანებული, ჩოხის წმინდა გიორგის
 ეკლესიაში – ენა, დიდ ლომისაში – თავი.
 გიორგობას წიფორში უბრალო ჯვარს გამოაბრ-
 ძანებენ. ნაწილიანი ჯვარი კი ოქროს ჯაჭვით
 ჰკიდია დიდ ჯვარს. მას მხოლოდ აღდგომის
 ჟამს გამოასვენებენ. ეს პატარა „ნაწილიანი
 ჯვარი“ ხშირად უფრინდებოდათ. საყმოსთვის
 ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჯვარი და ეკლე-
 სია მრევლის ნამსახურით და ერთგულებით
 უკმაყოფილო იყო. ერთხელ გულშეძრული
 ხალხი მთელი თვე ეძებდა მას და აღდგომა
 ჩაიშალა. მოიყვანეს ცხრა მღვდელ-ღიაკონი
 და გაანათვლინეს ადგილი. სასწაული მაშინვე
 იხილეს: ჯვარი ეკლესიის წინ, ხეზე დაეკიდა,
 მაგრამ ხეს კლდეზე ჰქონდა ფესვები გადგმული
 და შეუძლებელი იყო მისი იქიდან დაძვრა.
 დაღონებული ხალხი დიდხანს ლოცულობდა.
 მერე ბიჭმა მოიფიქრა: კლდეზე ავცოცდები, ხეს
 მოვჭრი, ან იმ ტოტს მოვხერხავ, რომელზეც
 ჯვარი დაეკიდაო. დეკანოზმა იუარა. გამოიტანა
 63 თასი ეკლესიიდან. ხალხს ჩამოურიგა და
 ყველაზე დიდი ოქროს თასი თვითონ დაიჭირა.
 გაავსეს თასები და დაიჩოქეს. მხურვალედ ილ-
 ოცა დეკანოზმა, ხალხმა პირჯვარი გადაიწერა
 და ჯვარი მაშინვე გამოფრინდა და დეკანოზის
 მირონით სავსე თასში ჩავარდა, გულაღმა
 ამობრუნდა. ეს ხშირად მეორდებოდა. ჯვარი
 ხშირად უფრინდებოდათ და, სწორედ დღეობის

წინ, გაქცევით მიანიშნებდა ხალხს საკუთარ ცოდვებზე. „ყველათიდან“ მოსულმა კაცმა წიფორელთა გასაჭირი რომ გაიგო, ოქროს ჯაჭვი გააკეთა და ეს პატარა ჯვარი დიდ ჯვარს ზედ მიაკრა. ცოტა ხნის შემდეგ დედა-ბუდიანად ამოწყდა იმ კაცის მთელი ოჯახი, თუმცა კი, ჯვარი არავის აუხსნია და დღემდე იქ არის დაბმული. სამამულო ომის დროს გაუძარცვავთ ოქრო-ვერცხლით მდიდარი ეკლესია. დეკანოზს

ეს რომ შეუტყია, იქით გაქცეულა ჯვრის სანახავად და, როცა იქ ის ველარ დაუნახავს, თავში ხელი წაუშენია და სასოწარკვეთილი ამბიონთან ჩაჩოქილა. უცებ მოგროვილა თავზარდაცემული ხალხიც და, უცებ, რას ხედავენ: ჯვარი გამოძვრა იქვე კუთხეში მიგროვილი ქაღალდებიდან. გახარებულ ხალხს დიდი ზარ-ზეიმით გადაუხდიათ პარაკლისი, მადლობა შეუწირავთ...

1990 წელი.

გველთაგან გამოსსნილი

(ნაწყვეტები ფოლკლორული ჩანაწერებიდან: „მთიულეთი“ (წიფორი),


წიფორის თავზე ნიშია კვირაცხოვლისა. ერთხელ, ილიკო პატაშურს, ცხვრის მწყემსვის დროს მთაზე შემოღამებია და, უკან გზაზე, რიჟრაჟზე, ხატის ნიშთან გაუვლია და, რას ხედავს: ორი უზარმაზარი უხსენებელი მოსდევს. აუჩქარა ნაბიჯს, მათაც აუჩქარეს. იმედი სრულიად რომ გადაეწურა დაქანცულს და დაღლილობისგან ის იყო, უნდა დაცემულიყო, ახლა წინა მხრიდან გამოსრიალდა კიდევ ორი „მორის სიმსხო უხსენებელი და უკან მდევართ დაეჯახა“. გაიმართა დაუნდობელი ბრძოლა. დიდხანს და დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს. ბოლოს, მხსნელად მოვლენილებმა სძლიეს უკან მომავლთ და ამოხოცეს, თვითონ კი ტყეს შეეფარნენ. ჩემი ძმა ილიკო, ძალიან ალალი, უემშაკო კაცი იყო, ტყუილს თავის

დღეში არ იტყოდა და, ეს რომ მოგვიყვა, მაშინვე დაუუჯერეთ და ქადაგთან წავედით. მკითხავმა სანთელი აანთო და კვირაცხოველმა ილაპარაკა: „როგორ გაბედა, ღამით რომ შემომლახა, და ცხვრით ჩემს ახლოს გაიარაო. „მერე წმ. გიორგი ალაპარაკდა: „როგორ გავიმეტებდი ჩემი ყმის შვილს, იუდათათვის წასაწყმედად, მე ავაყოლე ჩემი იასაულები, მე ვისხენი ჩემი ერთგული ყმის შვილიო“. ასე იყო: გვიან ღამით გარეთ სიარული ეკრძალებოდათ წიფორლებს. ხატი უშლიდა „უდროო დროს“, შუალამისას მგზავრობას, ხშირად უნახავთ ერთი ხატიდან ამომავალი ნათელი „ბურჯღალი“ მეორე ხატთან, ტყეში, ჩასვენებული. მიზეზიც ამის გამო ეძლეოდათ შეგვიანებულ მგზავრებს.

1990 წელი.



აბაგდარი



საქართველოს სახალხო პოეტი ვალაკტიონ ტაბიძე (1891-1959), ქართველი პედაგოგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა (1872-1967), ქართველი პედაგოგი, ლიტერატურათმცოდნე და ორატორი იური ჩიკვაიძე (1923-1970).

ფოტო გადაღებულია 1956 წელს, თბილისში მუხმანის ფოტოატელიეში (ახლანდელ გ. ტაბიძის ქუჩაზე).

იპოლიტე ვართაგავა ღრმა მოხუცებულობამდე ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას. ათასობით ქართველს არამარტო ცოდნას, არამედ სულიერ საზრდოსაც უშურველად აძლევდა.

სიმფეროპოლის, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიებში ასწავლიდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრსა და მწერალთა კავშირის ერთ-ერთ დამაარსებელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავისი დროის თითქმის ყველა მწერალთან. ვაჟა-ფშაველასთან გარდა ლიტერატურული ურთიერთობისა, ნათელ-მირონიც აკავშირებდა – ცნობილი პუბლიცისტის ილია აგლაძის პატარა ქალიშვილი ვაჟა-ფშაველასთან ერთად მონათლა.

1917 წელს მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში.

მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უპველესი დროიდან

ამონარიდი იპოლიტე ვართაგავას პუბლიკაციიდან, „საქართველოს მოამბე“, №12, 1910 წ.

ცნობილია, რომ ზრდა და განვითარება რომელიმე ერის ლიტერატურისა მჭიდროდ დაკავშირებულია ამ ერის პოლიტიკურ და ეკონომიურ ზრდა-აღორძინებასთან. ბედი ლიტერატურისა დაკავშირებულია ერის ბედთან. ერის მომწიფება ლიტერატურის მომწიფებას იწვევს; ერის პოლიტიკური და ზნეობრივი ძალა ლიტერატურის გავლენას აფართოებს. ერის შესუსტებას და დაცემას პოლიტიკურად და ზნეობრივად აუცილებლად ლიტერატურის დასუსტება და ბოლოს დაცემაც მოსდევს. ეს ისტორიული და უტყუარი კანონია.

ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ საგანს, ქართულ გონებრივ სიძლიერეს საძირკველი უნდა ჩაჰყროდა დავით აღმაშენებლის მეფო-

ბაში და ამ საძირკველზე აუცილებლად აშენებულყო თამარ მეფის დროს კოპწია, მშვენიერის ჩუქურთმებით შემკულ-შეზავებული ნაყოფი გონებისა – ქართული ლიტერატურა.

„...ქართლის ცხოვ.“ უსაზღვრო აღტაცებით იხსენებს თამარს და მის საქმეებს. მანდატურთ უხუცესი ჭიაბერი („ქართლის ცხოვ.“, გვ.282), ერთს თვის გუჯარში, თამარს იხსენიებს „ღვთისა სწორად, მეფეთ-მეფედ.“ თამარის მხედრობა შეიქმნა რაღაც უძლეველი, ზღაპრული დევ-ბუმბერაზი, მის წინ გარბოდა თვით ხალიფას უძლეველი დროშა. მრავალ საოცარ ომთა შორის, ამ მეფე-ქალმა მოახდინა ორი, რომელნიც საუკუნოთ დარჩებიან საქართველოს ისტორიაში და რომელთა მზგავსი იშვიათად

ახსოვს თვით მსოფლიო ისტორიას – ომი შაჰის ამირ-ბუბაქთან 1203 წ. და სულთან ამირ-ბუბაქთან 1204 წ.

გავრცელდა ყოველ მხრივ ხმა თამარის დიდების და ქართველთა უძლეველობისა. შეკრთა და შეშინდა საქართველოს წინაშე მთელი აღმოსავლეთი. ამის შემდეგ დაცხრა ამაყი ირანი და მცირე აზია, ქედი მოიხარა მთელმა მუსლიმმა... თამარმა დაიმორჩილა ურჩნი და მოუსვენარნი მთიულნი. ქართველ მეომართან ერთად, კავკასიონის მთა-კლდეებში ჯვართ ხელში მიდიოდა ქართველი მღვდელი, რომელსაც შეჰქონდა მთებში სხივი ქრისტიანობისა და განათლებისა...

თამარის შრომასა და საქმიანობას არ ჰქონდა საზღვარი. გაიყვანა არხები, ააგო ციხე-კოშკები და ეკლესია-მონასტრები, ააშენა სოფლები და ქალაქები, ააგო მონასტრებთან შკოლები, გასცა ყველგან უხვი წყალობა, ხელი შეუწყო ვაჭრობა-მრეწველობის და მეურნეობის განვითარებას. ამ რიგად გაამდიდრა და ააყვავა თვისი სამშობლო... ერთის სიტყვით, როგორც ამბობს ვახუშტი, თამარმა „სიბრძნითა თვისითა დაამშვიდა და დაიმორჩილა ყოველნი“...

თამარის ბრწყინვალეობით დამონავებულია მთელი იმ დროის ლიტერატურაც. თუკი თამარის დიდებას და ბრწყინვალეობას აღტაცებაში მოჰყავდა უცხოელთა მწერალნი (მაგ. არაბთა მწერალი შიხაბედინ ილკაკაშენდი), განა გასაკვირველია, რომ ქართველმა პოეტებმა დაამდერეს ამ დიდებულ მეფეზე ფერადოვანი ხატობა და ვრცელო პოემები! განა გასაკვირველია მათ ექოთ-ედილოთ „ქვეყნის მპყრობელი: მხნე, ღმობიერი, ქველი, ძლიერი, მტკიცეთ მფლობელი, შარავანდ გმირი, ორგულთ გამემირი, მტერთა ქვესკნელად დამამხობელი, სხვათა მძლეველი, თვით უძლეველი, რიტორი, ბრძენი“ თამარი! (აბდულმესია – შავთელის სიტყვები).

ამ ნაირად საქართველო გაძლიერდა, აყვავდა პოლიტიკურად და ეკონომიურად. რიონის ნაპირნი, ველ-მინდორნი, მთა-ბორცვნი იმერეთისა, კახეთისა და ქართლისა მოიფინა ხუროთ მოძღვრების ტურფა და მშვენიერი ნაშთებით. გაძლიერდა საოცრად ქართველთა სული, გაშალა მან ლალი ფრთები; განვითარების უმაღლეს ხარისხამდის მიაღწია საერო და სასულიერო ლიტერატურამ: გაჩნდნენ ქართული მწერლობა-ხელოვნების დიდებული ნაწარმოებნი, რომელთაც განცვიფრებაში მოყავთ დღესაც მეცნიერ-არქეოლოგები და ორიენტალისტები. საქართველოს ასეთ აყვავებას და ბედნიერ დროს, რასაკვირველია, დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ მონასტრებზე და ბერებზე ათონის მთაზე პალესტინაში და სინას მთაზე. მეფენი და რჩეულნი აშენებდნენ და აახლებდნენ საყდარ-მონასტრებს; დაბალ ხალხს გულუხვად მოჰქონდა ეკლესიისათვის თვისი წვლილი. და არც გასაკვირველია. მაშინ ისეთი დრო იყო, – დრო სარწმუნოებრივ გამხნეებისა და აღტაცებისა. ცხოვრება მაშინდელ საზოგადოებისათვის მთლიანად განსაზღვრული იყო სარწმუნოებით. მაშასადამე ყველას აინტერესებდა სარწმუნოების და მწიგნობრობის ცენტრები – მონასტრები.

როგორც მოვისხენიეთ, ამ დროს ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურა გამაგრდა, აყვავდა. მართალია, მაშინდელ ჩვენს ლიტერატურას ატყვია ნიშანი სხოლასტიკისა, მართალია ის ცოტათი მოკლებულია სიცხოველეს და ბუნებრივობას, მაგრამ ასეთი იყო საზოგადო მიმართულება, სული დროისა!

ევროპაშიაც ამავე მოვლენას ვხედავთ. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი მხოლოდ ის არის, რომ საქართველომ შესძლო სრულად შეეთვისებინა მთელი მაშინდელი განათლება და მეცნიერება!

**წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის
სალიტერატურო ჟურნალი
„საქართველოს მოამბე“**

ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას

**მკითხველს ვთხოვთ, მოუფრთხილდეს ჟურნალს
მასში გამოქვეყნებული მასალების გამო**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:


ნორა თიგეშვილი
მანანა ღარიბაშვილი
გოჩა სოზიაშვილი

რეგისტრაციის № 34-4-114

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.



დეკანოზ ილია ჩიკვაიძის ღრმად-კურთხევით „საქართველოს მოაზრის“
ბიბლიოთეკა გავრცხ XIX სუკუნის პოეტის
სოლომონ გოშაძის (1880-1908) გაოუქვეყნებელ ლექსთა კრებული



„სოლო გოშაძე ერთი იმ მკლავრ პოეტთაგანია, რომელნიც
„ქარიუხალის მოციქულეზად“ იყვნენ ცნობილნი“.
იოსებ გრიშაშვიდი